რატომ ჩავიდა ჯუმბერ პატიაშვილი მოსკოვში A3

მსოფლიო ჩემპიონატზე ცვენამის დრო მოვიდა B1

სანამ წინდები ცერებზე დადგებიან B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 6 ივნისი, 2002 წელი. №4 — ფასი 50 თეთრი


## აფხაზებმა გაგრა და ბიჭვინთა ვერ გაყიდეს

ზაზა წულაძე

*მოსკოვში უშედეგოდ დასრულდა აფხაზურ-რუსული არაოფიციალური კონსულტაციები, გაგრისა და ბიჭვინთის საკურორტო ზონაში მსხვილი რუსული კაპიტალის მოზიდვის თაობაზე. სოხუმის მთავრობა რუსეთის კომპანიებს შეღავათიან ფასებში სთავაზობდა ცნობილი სასტუმროების, სანატორიუმებისა და აგარაკების ყიდვას. რუსულმა ბიზნესმა, ჯერჯერობით, აფხაზეთის ტურიზმის დარგში მსხვილი თანხების ჩადება ვერ გარისკა, რადგან, ამბოხებულ ავტონომიაში არ არსებობს შესაბამისი საინვესტიციო გარემო და საქართველოს კანონმდებლობით, ასეთი ფინანსური ოპერაციები უკანონოა.*

სოხუმის მთავრობამ ბოლო სხდომაზე რამდენიმე ტურისტული ობიექტის გაყიდვა გადაწყვიტა. მათ შორის, ისეთი ცნობილი ობიექტებისაც, როგორებიცაა: დასასვენებელი სახლები "გაგრა", "ნარტი", "მზიური", "ჟემჩუჟინა", სანატორიუმები "ამრა" და "უკრაინა", პანსიონატები "ენერგეტიკი" და "გეჩი", სტალინის სახელობის აგარაკი, ბალნეოლოგიური სამკურნალო (გაგრაში); დასასვენებელი სახლები "პიტიუსი" და "ალსარა", პანსიონატები "სამშიტოვაია როშჩა" და "სოსნოვაია როშჩა", აგარაკი (ბიჭვინთაში). პლიუს ამას, სტალინის სახელობის აგარაკი რიწის ტბაზე და ბიჭვინთის ცნობილი სანატორიუმების კომპლექსი. ამ ობიექტთა უმრავლესობა სხვადასხვა ქვეყნების (მეტწილად, რუსეთისა და თურქეთის დაწესებულებებსა და საწარმოებს) იჯარით აქვთ აღებული, რის გამოც აფხაზეთის ბიუჯეტში საკმაოდ მცირე თანხას იხდიან.

გაგრძელება A2 გვერდზე



*სოხუმი, 1993 წელი. რუსები ამ შენობების ყიდვას ვერ რისკავენ.*

## პარლამენტში დეპუტატი სანთლით საძებარია

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს პარლამენტის წევრებს არ უნდათ, დაიჯერონ, რომ მათი უშუალო მოვალეობა კანონშემოქმედებითი საქმიანობაა და არა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გარშემო ინტრიგების ხლართვა ან ცესკოს საქმიანობის განქიქება. მძიმე ბრძოლაგადატანილი "ხალხის რჩეულები" ქუჩებიდან სამუშაო კაბინეტებში დაბრუნებას არ ჩქარობენ. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ვერ ივიწყებს 2 ივნისის არჩევნების პერიპეტიებს და ამ შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფება. იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც დეპუტატებს პარლამენტის ზღურბლს იქით მაინც გადაუცდებათ ფეხი, სხდომათა დარბაზს სათოფეზე არ ეკარებიან. ამის გამო, კვორუმი თითქმის არასდროს არის და კანონშემოქმედებითი პროცესი, ფაქტობრივად, პარალიზებულია.*

2 ივნისის არჩევნების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში შექმნილ მდგომარეობას ნინო ბურჯანაძე "უმსგავსოს" უწოდებს და აცხადებს, რომ თუ ახლო მომავალშიც ასე გაგრძელდება, დღის წესრიგში დადგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხი. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, პლენარულ სხდომებს, ძირითადად, ისინი აცდენენ, ვინც ცოტა ხნის წინათ ხმამაღლა გაჰყვიროდა, კომიტეტების გადანაწილება იმიტომ გვინდა, რომ საკანონდებლო ორგანოს მუშაობის ეფექტურობა ამაღლდესო.

გაგრძელება A3 გვერდზე


მოდას აყოლილნი A4

ეუთოს ელჩი ბელარუსიდან გააძევეს A5

როგორ მოვიქცეთ პოლიციასთან ურთიერთობისას A7

რესტორანთან მუსიკოსის გვამი იპოვეს A7

სენსაციებს უკვე მივეჩვიეთ B3

კვება, როგორც ხელოვნება B6

ამერიკული დესანტის მოლოდინში B6

როცა მარტო ვრჩები, საქართველოში ვარ B6


### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 24° |
| ქუთაისი | 21° |
| ბათუმი | 17° |
| სოხუმი | 21° |
| ფოთი | 19° |
| თელავი | 23° |
| ზუგდიდი | 22° |
| გორი | 19° |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0846 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2363 |
| რუბლი | 0.0707 |

## ახალი რეალობა - გამოწვევა პრეზიდენტისთვის

ეკა კვესიტაძე

პრეზიდენტი არ აღიარებს, რომ 2 ივნისის ადგილობრივი არჩევნები, ფაქტობრივად, მისი დამარცხება იყო. შევარდნაძე ამბობს, რომ მას ისევ სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის მოძრაობისთვის ხმა არ მიუცია.

თუმცა, ფაქტი ჯიუტია. ის 29 პროცენტი, რომელიც მოქალაქეთა კავშირმა წინა ადგილობრივი არჩევნების დროს მოაგროვა, დღეს 2 პროცენტსაც კი ვერ აცილდა. ანუ, თუ წინა არჩევნებში პრეზიდენტი თავად წარმოადგენდა საკუთარი პარტიის ლოკომოტივს, დღეს უკვე პოლიტიკური პარტიებისათვის შემაფერხებელი ბარიერი გახდა მათთვის, ვისაც მომავალი გრძელ პოლიტიკურ პერსპექტივაზე აქვს გათვლილი.

ახალი რეალობა ახალ გამოწვევად იქცა პრეზიდენტისთვის.

შევარდნაძე არ ეკუთვნის პოლიტიკოსების იმ ტიპს, რომელიც ადვილად თმობს პოზიციებს და მოწინააღმდეგეებთან კაპიტულაციაზე თანხმდება. მიუხედავად იმისა, რომ მან ბოლო პერიოდის განმავლობაში საკმაოდ ბევრი საყრდენი დაკარგა - დემოკრატი მმართველის იმიჯის, სტაბილურობის გარანტის, უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური გუნდისა და მისი ფავორიტი, ძალზე გავლენიანი მინისტრების სახით, შევარდნაძეს ჯერ კიდევ დარჩა საკმარისი ბერკეტები და საკმარისი სივრცე პოლიტიკური ლავირებისთვის.

მაშინ, როცა ჟვანია-სააკაშვილი ყველაზე რადიკალურ და ორგანიზებულ ოპოზიციურ ფრონტს ქმნიან, რომელი ძალა შეიძლება გახდეს პრეზიდენტის ახალი დასაყრდენი?

**"ის, ალბთ, უფრო იმ ძალებს აირჩევს, რომლებიც არ იქნებიან მასთან რადიკალურად დაპირისპირებულები. მაგრამ ამ არჩევნებმა იმდენად ოპოზიციური სურათი დახატა, რომ შევარდნაძე კიდევ დიდხანს დაიცდის, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ახალი**

გაგრძელება A3 გვერდზე

## როგორ მოიგო კუჩმამ წაგებული საპარლამენტო არჩევნები

28 მაისს, უკრაინის ახლადარჩეულმა უმაღლესმა რადამ (პარლამენტი) სპიკერის პოსტზე პრეზიდენტის აპარატის ყოფილი ხელმძღვანელი ვოლდიმირ ლიტვინი აირჩია. არჩევნების შედეგი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თვით კომუნისტი დეპუტატები გამოვიდნენ წინადადებით, პარლამენტს წუთიერი დუმილით აღენიშნა უკრაინაში დემოკრატიის გარდაცვალება. ლიტვინის არჩევამ თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის აღშფოთება გამოიწვია. იუშჩენკოს განცხადებით, ეს არჩევნები ქვეყნის, ზნეობისა და დემოკრატიის მარცხი იყო.

უკმაყოფილებას არა იმდენად ლიტვინის პიროვნება იწვევს, არამედ ის მეთოდები, რომლითაც იგი ხელისუფლებამ სპიკერად გაიყვანა. ბლოკმა "ერთიანმა უკრაინამ", რომელიც ხელისუფლებას უჭერს მხარს და რომელსაც ლიტვინი ეკუთვნის, ოპოზიციასთან არჩევნები წააგო. გაიმარჯვა ყოფილი პრემიერ-მინისტრის იუშჩენკოს პარტიამ "ჩვენი უკრაინა", რომელმაც ხმათა 23,7 პროცენტი მიიღო. 20 პროცენტი მიიღეს კომუნისტებმა, 11,8 პროცენტი - "ერთიანმა უკრაინამ". პარლამენტში მოხვდნენ, აგრეთვე, იულია ტიმოშენკოს ბლოკი და სოციალისტები.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ქართველები სამხედროების მეექვსე როტაცია და მეოთხე წელი კოსოვოში

კობა ლიკლიკაძე
*რადიო "თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

***5 ივნისს თურქეთში გაემგზავრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ძალების სწრაფი რეაგირების 34 სამხედრო მოსამსახურე, საიდანაც, ორთვიანი მომზადების შემდეგ, კონტინგენტი კოსოვოში ჩავა და იქ მყოფ ქართულ ქვედანაყოფს საბრძოლო პოსტზე შეცვლის. ვინც არ იცის, თუ რას ნიშნავს მშვიდობის დაცვა "ევროპის სასაკლაოდ" მონათლულ კოსოვოში, ქართველების რიგით მეექვსე როტაცია, მან, შესაძლოა, მხოლოდ სასიამოვნო მივლინებად აღიქვას.***

ქართველი სამხეროები კოსოვოში განლაგებული სამშვიდობო ძალების(KFOR) შემადგენლობაში 1999 წლიდან მონაწილეობენ და ეს ქართული სამშვიდობო მისია ბალკანეთში, ძირითადად, თურქეთის ფინანსური დახმარებით ხორციელდება. აქ იგულისხმება ყველა როტაციის დროს ქართველი სამხედროების საჰაერო ტრანსპორტირება, ადგილზე მათი სრული სახით კმაყოფა, რაც, მხოლოდ სამჯერად კვებაზე, ყოველთვიურად 180 დოლარს შეადგენს, სამოსითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა, სასროლეთი და სპორტული მოედანი, აბანო და სტაციონარული სამრეცხაო და კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლი სოფელ მამუშში, რომელსაც ენა არ მოგიბრუნდება, კაცმა "ყაზარმა" უწოდო. ამას ემატება დღიური

გაგრძელება A3 გვერდზე

## არც ომი და არც მშვიდობა

### ყარაბაღი ვერ თავისუფლდება ომის სინდრომისგან

პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე ძველ კონფლიქტურ ზონაში, მთიან ყარაბაღში, ისევ შენარჩუნებულია სტატუს-კვო. რვა წელწადია აქ არც მშვიდობის ატმოსფეროა და არც ომის. მას შემდეგ, რაც 1994 წლის მაისში სომხეთი, აზერბაიჯანი და ყარაბაღი მივიდნენ შეთანხმებამდე, შეწყვეტილიყო ცეცხლი, სამხედრო მოქმედებები შეჩერდა. უნიკალურია ის, რომ ყარაბაღის კონფლიქტში სამხედრო მოქმედებების არგანახლება უზრუნველყოფილია მესამე ძალის ჩარევის გარეშე. ექსპერტების აზრით, ეს დროებითი, მყიფე მდგომარეობა ეყრდნობა რეგიონში სამხედრო პოლიტიკურ ძალთა ბალანსს.

მიუხედავად იმისა, რომ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე დღეს არ მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები, ომი ყოფიერი თუ პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა. ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა - ყოველივე ექვემდებარება ერთ მიზანს, რათა ყარაბაღი გათავისუფლდეს ომის გავლენისგან და ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ნორმების შესაბამის რესპუბლიკად.

1988 წლიდან მთიანი ყარაბაღი დე-ფაქტოდ წარმოადგენს აზერბაიჯანიდან გამოყოფილ სახელმწიფოს, რომელსაც მასთან არანაირი კავშირი აღარ აქვს. ოფიციალური ბაქო, მეზობელ სახელმწიფოს, სომხეთს, ადანაშაულებს აზერბაიჯანის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციაში, ხოლო ყარაბაღის ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით, დღეს აზერბაიჯანს უკავია ყარაბაღის ტერიტორიის 15 პროცენტი, ხოლო ყარაბაღის არმია აკონტროლებს აზერბაიჯანის ტერიტორიის 8,5 პროცენტს. მთიანი ყარაბაღისთვის ეს ტერიტორიები წარმოადგენს უსაფრთხოების სარტყელს. ყარაბაღის საგარეო საქმეთა სამინისტრო თანახმაა, ამ ტერიტორიების საკითხი განიხილოს მოლაპარაკებების მაგიდასთან, სხვა პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად; ესენია: ყარაბაღის უშიშროების პრობლემა, ყარაბაღის სტატუსი, აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთის კომუნიკაციების განბლოკვა და ლტოლვილთა და სხვა პირთა გადაადგილების პრობლემის მოგვარება.

1992 წელს შედგა ეუთოს მინსკის ჯგუფი, რომლის მიზანი იყო მოემზადებინა მინსკის კონფერენცია, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის

გაგრძელება A2 გვერდზე

## „ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი„ - გატაცებული ბიულეტენების ზღაპარი

მაია მოსიაშვილი

სიმშვიდე ქარიშხლის მოლოდინში - ასე შეაფასა რუსთავში დღეს არსებული სიტუაცია მერიის ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა. ორდღიანი ვნებათაღელვის შემდეგ ქალაქში სრულმა სიმშვიდემ დაისადგურა. პოლიტიკურმა ძალებმა ტაიმ-აუტი აიღეს და არც საზოგადოებას აწყენენ თავს წინასაარჩევნო აგიტაციით. მხოლოდ მერობის კანდიდატი მერაბ ტყეშელაშვილი და მისი მეგობარი ლაშა მინდელი არ ისვენებენ და ხმაურიან გასვლებს აწყობენ ქალაქის ბაზრებსა და ქუჩებში. ტყეშელაშვილის დაპირებას - თუ ამირჩევთ, შუქიც გექნებათ, წყალიც და ბუნებრივი აირიცო - რუსთაველები დიდი ხალისით იჯერებენ.

გუბერნატორ ლევან მამალაძის ფრთა ახალ სასამართლო ოდისეას იწყებს. საქმე ეხება მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლების რუსთავის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში აღდგენას. როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კახა გურგენიძე განმარტავს, გელა კვარაცხელიამ 8 მაისს თავისი რწმუნებულის საშუალებით დანიშნა კომისიების წევრები, მაგრამ იმავე დღეს უკან გაიწვია. საარჩევნო კოდექსის მოთხოვნით, უფლებამოსილი წევრის უფლებამონაცვლე 10 დღეში უნდა დაინიშნოს. "მოქალაქეებმა" ვადის გასვლის შემდეგ, 25 მაისს წარადგინეს ახალი სია. საოლქომ ამის თაობაზე ცესკო-ს

გაგრძელება A2 გვერდზე


A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B3 ფეხბურთი | B4 ტოტალიზატორი | B5 სტილი | B6 კულტურა | B7 კულტურა | B8 სხვადასხვა

# აფხაზებმა გაგრა და ბიჭვინთა ვერ გაყიდეს

პირველი გვერდიდან

**"ჩვენი ბიუჯეტით შეუძლებელია შევინახოთ ისეთი დიდი საკურორტო კომპლექსი, როგორიც, თუნდაც, ბიჭვინთაა. ამიტომაც უნდა გადავდგათ ყველა ნაბიჯი, პრივატიზაციის ჩათვლით, რომ არსებული მძიმე მდგომარეობა სასწრაფოდ გამოსწორდეს."** – ასე შეაფასა შექმნილი ვითარება სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ.

სოხუმის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმნენ მძიმედ ავადმყოფი ვლადისლავ არძინბა და მისი ქალიშვილი მადინაც, რომელიც, ტურიზმისა და კურორტების საკითხებში, სოხუმის ოფიციალური წარმომადგენელია რუსეთში. ომის შემდგომ, სწორედ მადინა არძინბას კომპანია "რუსალ-ტური" აკონტროლებს ტურისტულ ბიზნესს აფხაზეთში.

ამ წინადადებაზე რუსული ბიზნესის რეაქცია, რომელსაც აფხაზებმა დახმარებისთვის პირველს მიმართეს, საკმაოდ ფრთხილი იყო. აფხაზურ ინიციატივას მოსკოვში სამი ძლიერი ლობისტი ჰყავს: რუსეთის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი, ჩელიაბინსკელი ვიქტორ ხრისტენკო (მისი მეშვეობით ბიჭვინთის საკურორტო ზონაში უკვე ჩადეს ინვესტიციები ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანამ და საწარმოო გაერთიანება "სოჭი-ავიამ"); დუმის ფრაქციის "ოტეჩესტვო - ვსია როსიას" ლიდერი ევგენი პრიმაკოვი და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი. რუსეთის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე პარშუკოვმა აფხაზების წინადადებას საკმაოდ მიმზიდველი უწოდა. ინფორმაციისთვის: ერთი კვადრატული მეტრი მიწის ღირებულება აფხაზეთში, ექსპერტთა თქმით, თითქმის უტოლდება მონაკოსას და მონტე-კარლოსას. **"მე არ გამოვრიცხავ, რომ აფხაზეთის კურორტების პრივატიზაციის პროცესში მსხვილი რუსული ტურისტული კომპანიებიც ჩაერთონ, თუმცა, ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული ტენდერის პირობებსა და გამჭირვალობაზე. სავარაუდოა, ჩვენს ბიზნესმენებს ბევრი შეკითხვა გაუჩნდეთ აფხაზეთის იურიდიული სტატუსის თაობაზეც."** – განაცხადა პარშუკოვმა მოსკოვში სოხუმის წარმომადგენელ იგორ ახბასთან შეხვედრის შემდეგ.

მსხვილ რუსულ კომპანიებთან: "ცვეტლიტთან", სამრეწველო ჯგუფ "მაირთან", "გაზსტროისთან", "ტიუმენის ნავთობის კომპანიასთან", "ზუბმაშთან", "ტენეკოსთან" და სხვებთან პოზიციების მოსინჯვის შემდეგ, იგორ ახბასთვის ნათელი გახდა, რომ უახლოეს მომავალში რუსული კაპიტალის მასშტაბური დაძვრა აფხაზეთისკენ ნაკლებ სავარაუდოა. **"მოლაპარაკებები კვლავ გაგრძელდება. ძირითადად, საუბარი გვექნება გაგრისა და ბიჭვინთის ტურისტული ობიექტების გრძელვადიან იჯარაზე, თუმცა პრივატიზაციასაც არ გამოვრიცხავ."** – აღნიშნა ახბამ.

თბილისში გაგრისა და ბიჭვინთის ტურისტული კომპლექსის პრივატიზებაზე ატეხილ აჟიოტაჟს მშვიდად შეხვდნენ.

**"აფხაზეთის იურიდიული სტატუსის გარკვევამდე, ყველა ბიზნესმენი ხვდება, რომ ახლა შეძენილი ობიექტის გამო, მომავალში აუცილებლად მოუწევს დავა, ამიტომ გამორიცხულია იქ რაიმე მსხვილი კაპიტალის მოძრაობა. ისე კი, სიტუაციის დარეგულირების შემთხვევაში, მთელ საქართველოში, აფხაზეთი უცხოელი ინვესტორებისთვის ყველაზე მიმზიდველი ადგილი იქნება."** – მიაჩნია აფხაზეთის ქონების მართვის დეპარტამენტის თავჯდომარეს არჩილ ჭითავას. რუსულ კომპანიებს აფხაზეთის კურორტების პრივატიზებაში მონაწილეობას არ ურჩევს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც.

**"ვაფრთხილებ ყველა ქვეყნის, მათ შორის, რუსეთის კომპანიებს, რომ აფხაზეთში ნებისმიერი სახის პრივატიზაცია უკანონოა. ყველა ობიექტი, მათ შორის, ტურისტული ინფრასტრუქტურა, არის საქართველოს საკუთრება. ადრე თუ გვიან ყველა ასეთი უკანონო შეთანხმება გაუქმდება. აფხაზეთში პრივატიზების განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, როცა ღია ტენდერში მონაწილეობა ნებისმიერ კომპანიას შეეძლება, მათ შორის - ქართულსაც."** – აცხადებს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კახა სიხარულიძე.

ჯერჯერობით, აფხაზეთის უძრავ-მოძრავი ქონების ბაზარზე მხოლოდ მცირე კაპიტალის მოძრაობა შეინიშნება. უშიშროების სამსახურის მონაცემებით, სოხუმის ღვინის ქარხნის კომბინატი რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სერგეი კირიენკოს ნათესავმა იყიდა, რომელიც თავად სოხუმელია. გაგრისა და განთიადის დასასვენებელი სახლები "ისკრა" და "თამბაქოს სახლი", ასევე, სანატორიუმი "თბილისი" და "მამზიხშა" რუსეთის უცნობმა მოქალაქემ შეიძინა, სოხუმის სანაპიროს ნაწილი, შუქურადან გემთმშენებელ ქარხანამდე კი - თურქულმა კომპანიამ. თურქები ასევე დაეპატრონენ დასასვენებელ სახლებს: "აზხაზიას" - სოხუმში, "გოლუბაია დალს" - ბიჭვინთაში და მე-17 პარტიული ყრილობის სახელობის სანატორიუმს - გაგრაში. სანკტ-პეტერბურგელმა სომეხმა ბიზნესმენმა სოხუმში იყიდა სანატორიუმი "სომხეთი". რუსეთის არმიის გენერალმა დმიტრი მანილოვმა კი, ასევე სოხუმში, სსრკ არმიის ყოფილი სანატორიუმი გადაიფორმა. ობიექტების უმრავლესობა მოკლევადიანი იჯარით არის გაცემული, ძირითადად, რუსულ საწარმოებსა და უნივერსიტეტებზე.

**"იდეალური გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან იქნება, რომ აფხაზეთის სტატუსის გარკვევამდე პრივატიზაციის დაწყებისგან თავი შეიკავონ, რადგან ეს ხელს შეუშლის და გაართულებს ჩვენი დაახლოების პროცესს. კონფლიქტის მოგვარების შემდეგ, იმავე აფხაზისა და ქართველისთვისაც, გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება არა ის, რომ ამ ქონებას ქართველი თუ აფხაზი არ დაეპატრონოს ან ჩალის ფასად მაინცა და მაინც რუსზე გაიყიდოს, არამედ ისეთი მყიდველის მოძებნა, რომელიც საუკეთესო ფასს გადაიხდის და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ისეთ გეგმას წარმოადგენს, რომელიც ყველა ჩვენთაგანის ცხოვრებას გააუმჯობესებს."** – აცხადებს არჩილ ჭითავა.

# ცესკო საკუთარი გადაწყვეტილების წინააღმდეგ



იური ლობოდინის ფოტო

თამარ მჭედლიშვილი

*ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, შესაძლოა, საკუთარი გადაწყვეტილება არ შეასრულოს და არჩევნების შედეგები აღარ გადასინჯოს. "ცესკო" ვერ იღებს იმ წესს, რომელიც კომისიას არჩევნების შედეგების რევიზიის საშუალებას მისცემს. პარტიების წარმომადგენლები დადგენილების პროექტის თითქმის ყველა მუხლს აპროტესტებენ და უფრო მეტ გარანტიებს ითხოვენ.*

გუშინ დილიდან "იმელის" შენობის წინ საპროტესტო აქციას აწყობენ საარჩევნო ბლოკ "ერთობის" აქტივისტები. ისინი ამტკიცებენ, რომ მათი შედეგები შკარად გაყალბდა. ამის მიუხედავად, პატიაშვილი-ჭაჭიას მომხრეები არჩევნების მოსალოდნელი რევიზიის თაობაზე დიდ აღფრთოვანებას მაინც არ გამოთქვამენ.

"ცესკოს" გადაწყვეტილებას ეჭვით უყურებენ ქართველი ლეიბორისტები და კომისიას ულტიმატუმს უყენებენ -- რევიზია უნდა მოხდეს მედიის თანდასწრებით, ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ არჩენვებში მონაწილე პარტიების წარმომადგენლები და, პარალელურად, უნდა მოხდეს წინა არჩევნების შედეგების გადასინჯვა. ორივე პარტიას სჯერა, რომ რევიზიის დროს უფრო გაყალბდება შედეგები და ხელისუფლება და მისი სატელიტი პარტიები რეალურ ოპოზიციონერებს ხმებს საბოლოოდ დააკარგინებენ.

შექმნილია საკმაოდ გაუგებარი ვითარება. ერთის მხრივ, ყველა თანხმდება, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, შედეგების გადასინჯვას კი, ორი-სამი პარტიის გამოკლებით, თითქმის ყველა უფრთხის.

სხვათა შორის, გუშინ დილიდან "ცესკოს" კაბინეტებში დახურულ კარს მიღმა პარტიათა წარმომადგენლები საკმაოდ დიდ ხანს ბჭობდნენ. მოგვიანებით "ცესკოში" უკვე იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ, შესაძლოა, ორი დღის წინ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ ფარატინა ქაღალდად დარჩენილიყო. სხდომა, რომელიც 6 საათის განმავლობაში გრძელდებოდა, ღამის 12 საათისთვისაც კი არ იყო დასრულებული და უკვე ყველა გრძნობდა, რომ რევიზიის წესი არ დამტკიცდებოდა.

**"რეალურად, ცენტრალური საარჩევნო კომისია თავს ძალზე სულელურ მდგომარეობაში იგდებს. ერთის მხრივ, მას არ სურს გაყალბებული არჩევნების შედეგების დამტკიცება, მაგრამ არც ის უნდა, ეს შედეგები გააუქმოს. შეიძლება ითქვას, რომ, მთლიანობაში, არჩევნების გადასინჯვა არავისაც არ უნდა. ეს არ აწყობთ "ახლებს", არ აწყობთ "ლეიბორისტებს" და "აღორძინებას". რაც შეეხება "ერთობას", ცესკო შეეცდება, მათი პრეტენზიები მაქსიმალურად დააკმაყოფილოს, რადგან მას შესწევს ძალა, ქვეყანაში თუნდაც მცირე დესტაბილიზაციის პროვოცირება მოაწყოს. პარტიები, ალბათ კიდევ გარიგდებიან და ოდნავ შეცვლილ ოქმებს წარუდგენენ ამომრჩევლებს."** - ამბობს "სახალხოელი" გოჩა ჯოჯუა.

*კავკასიის ამბები*

# არც ომი და არც მშვიდობა

## ყარაბაღი ვერ თავისუფლდება ომის სინდრომისგან

პირველი გვერდიდან

მოგვარების მიზნით. მიუხედავად ათწლიანი გამოცდილებისა, მოლაპარაკების პროცესი ვერ მივიდა რაიმე საგრძნობ შედეგამდე. დღეს მინსკის ჯგუფი ცდილობს, განაახლოს მოლაპარაკებები სამმხრივ ფორმატში (სასომხეთი, აზერბაიჯანი, ყარაბაღი). აზერბაიჯანი კონფლიქტის ძირითად მონაწილესთან – ყარაბაღის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში მონაწილეობას არ თანხმდება. იგი ცდილობს წარმოაჩინოს ყარაბაღი, როგორც სასომხეთის და აზერბაიჯანის მოლაპარაკების ობიექტი. თავის მხრივ, სტეფანაკერტი ცდილობს, მოლაპარაკებებში მოიპოვოს სრულფასოვანი სუბიექტის უფლება. რამდენიმე დღის წინ, რობერტ კოჩარიანმა განაცხადა, რომ სასომხეთი აუცილებლად მიიჩნევს ყარაბაღის რესპუბლიკის მოლაპარაკების პროცესში ჩართვას. ხოლო შუამავლები – თანათავმჯდომარეები ეუთოს მინსკის ჯგუფიდან, რუსეთი, ა.შ.შ. და საფრანგეთი – არაერთგზის აცხადებდნენ, რომ როდესმე მთიანი ყარაბაღი, აუცილებლად ჩაერთვებოდა მოლაპარაკებებში, როგორც დამოუკიდებელი მხარე. რუსეთის წარმომადგენლის, ნიკოლაი გრიბკოვის თქმით, მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლად და, მითუმეტეს მათ წინააღმდეგ, მეამბოხე ავტონომიის პრობლემების მოგვარება შეუძლებელია.

დღეისათვის აზერბაიჯანის და სასომხეთის ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, გააგრძელონ დაწყებული დიალოგი პირადი წარმომადგენლების დონეზე. რას მოიტანს ეს კონსულტაციები, ჯერ უცნობია, რადგან მოლაპარაკებების ისტორიაში არის შემთხვევები, როცა აზერბაიჯანსა და სასომხეთს შორის მიღწეული შეთანხმებები უარყოფილი იქნა სტეფანაკერტის მიერ. ყარაბაღის საგარეო საქმეთა მინისტრი ნაირა მელკუმიანი არაერთხელ აცხადებდა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში უნდა იყოს ჩადებული სამი ძირითადი პრინციპი: გამორიცხულია ყარაბაღის ანკლავად ჩამოყალიბება, გამორიცხულია ვერტიკალური ურთიერთობები აზერბაიჯანთან, აუცილებელია მყარი საერთაშორისო გარანტიები ყარაბაღის ტერიტორიის და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე. სიტუაციას ამწვავებს ის, რომ მოლაპარაკებების განსაზღვრულ ეტაპზე, მხარეები უარს ამბობენ დათმობებზე და კომპრომისი არ მიიღწევა.

კონფლიქტის მოგვარების ტემპები კარგს არაფერს გვპირდება. თითქოსდა ყარაბახის ეკონომიკა ნელ-ნელა წინ მიიწევს: დასრულებულია მიწის პრივატიზება, გამოჩნდნენ ინვესტორები, არის მაგალითები წარმოებების პრივატიზებისა უცხოელი ინვესტორების მიერ (ძირითადად ესენი არიან სომხური დიასპორის წარმომადგენლები). პრემიერ მინისტრი ანიშევ დანიელიანის სიტყვებით, ყველაზე მსხვილი ინვესტიცია, კავშირგაბმულობის სფეროში ჩაიდო ლიბანის კერძო კომპანიიდან..

ძირითადად, ინვესტიციები იდება ისეთ დარგებში, როგორიცაა მევენახეობა, ხორცის და რძის წარმოება, საიუველირო საქმე, ალმასის დამუშავება და ტურიზმი; კაპიტალდაბანდებები ხორციელდება კულტურაში და განათლებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ კურსი დემოკრატიული სახელმწიფოს და საზოგადოების მშენებლობისაკენ აიღო, სიტყვები სიტყვებად რჩება. ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი პრესა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ ა.წ აგვისტოში ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები, ისეთი სიჩუმეა, რომ სურვილი გიჩნდება, მას საშისი დაარქვა. სახელმწიფოში არ არსებობს აშკარა და ძლიერი ოპოზიცია (ისევე, როგორც ძლიერი მთავრობა); არ არსებობს ლიდერი, რომელიც კონკურენციას გაუწევს დღევანდელ პრეზიდენტს არკადი გაუკასიანს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა 1992 წლიდან საომარი მდგომარეობის რეჟიმშია, მაინც ყველაზე აქტუალურია აფორიზმია - "თუ მშვიდობა გინდა, მზად იყავი ომისათვის!"

*კარინე ოგანიანი*
*სტეფანაკერტიდან*



ყარაბაღი - მყიფე მშვიდობა.

# „ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი" - გატაცებული ბიულეტენების ზღაპარი

პირველი გვერდიდან

ს აცნობა, ამ უკანასკნელმა კი კვარაცხელია უარით გაისტუმრა. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება მან ვერ მოასწრო და საარჩევნო კომისიებში "მოქალაქეთა" ინტერესების დამცველები არ იქნენ შეყვანილნი. არჩევნების გადადებამ მამალაძის მხარეს ბრძოლის გაგრძელების საშუალება მისცა. მათ გუშინ შეიტანეს სარჩელი სალქო სასამართლოში, რომელმაც საქმის განხილვა დღის 12 საათისთვის დანიშნა. თუ გელა კვარაცხელია თავისას მიაღწევს, მამალძის ფრთის შანსი, შეიცვალოს საუბნო საარჩევნო კომისიებში ინტერესთა ბალანსი, რა თქმა უნდა, გაიზრდება. მით უფრო, რომ გუბერნატორის მხრიდან სხვადასხვა პარტიების გადაბირების თაობაზე მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები კარგა ხანია ხმამაღლა საუბრობენ.

"ალიბაბა და ორმოც ყაჩაღად" მონათლული 2 ივნისის ინციდენტის გამოძიება საკმაოდ უხმაუროდ მიმდინარეობს. გუშინ სამხარეო პროკურატურამ და პოლიციამ საქმე რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაულოცა. მიზეზად მამალაძის მხრიდან თავისი სამხარეო სტრუქტურების საქმიანობაში ჩარევის შესაძლო ვერსია სახელდება. როგორც ცნობილი გახდა, გარდაბნის პოლიციის უფროსი (დაყაჩაღება გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე მოხდა) ლევან მამალაძესთან მეგობრობს, ხოლო "მერსედესის" მიკრო-ავტობუსი, რომელიც საქმეში ფიგურირებს, "რუსთავცემენტის" მომარაგების სამსახურის კუთვნილება აღმოჩნდა. ამ სამსახურის უფროსი კი საკრებულოს წევრობის ერთ-ერთი კანდიდატია და მამალაძის მხარდამჭერთა რიგებში მოიაზრება. გარდა ამისა, 2 ივნისსვე გავრცელდა ინფორმაცია, დაყაჩაღებაში სამხარეო პოლიციის თანამშრომლების შესაძლო მონაწილეობის შესახებ. ეს ჭორი ჭორადვე დარჩა, მაგრამ მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე, როგორც ჩანს, გარკვეული გავლენა მაინც იქონია. რუსთაველი სამართალდამცველები გამოძიებაში საჭიროების შემთხვევაში ჩაებმებიან.

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია 9 ივნისის არჩევნებისთვის ემზადება. გუშინ იქ საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებისა და ადგილობრივი პოლიციის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. რუსთავის პოლიციამ წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა კიდევ ერთხელ აიღო. იმედია, რომ საარჩევნო ბიულეტენები დანიშნულების ადგილამდე ამჯერად მაინც მშვიდობიანად მიაღწევს.

# ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობა იწყება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის თურქული ნაწილის მშენებლობა 19 ივნისს დაიწყება, - განაცხადა თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა. ამავე დროს, აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის პრეზიდენტი ვუდვორდი აცხადებს, რომ ამჟამად კომპანია განიხილავს იდეას ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გამტარუნარიანობის 10%-ით - დღეში 160 ათას ბარელამდე გაზრდის შესახებ.

კვლავინდებურად უცნობია იმ კომპანიის ვინაობა, რომელიც ააშენებს და მართავს ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენს, - განაცხადა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა ნატიკ ალიევმა

გაზსადენის მშენებლობა 2004 წელს უნდა დამთვარდეს, მისი სიგრძე 1050 კილომეტრი იქნება (490 კმ. აზერბაიჯანი, 280 – საქართველო, 280 - თურქეთი). პროექტის ღირებულება 2,6 მილიარდი დოლარია. შაჰდენიზის პროექტში შემდეგი კომპანიები მონაწილეობენ: ბრითიშ პეტროლეუმი - 25,5%, სტატოილი (ნორვეგია) - 25,5%, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია - 10%, ლუკოილი - 10%, ტოტალფინაელფი (საფრანგეთი) - 10%, ირანის სახელმწიფო ნავთობკომპანია - 10%, ტპაო (თურქეთი) – 9% (თურანი).

# ბაჰჩელი: ჩვენ არაფერს დავთმობთ

ახლოვდება ის დრო, როდესაც თურქეთმა უნდა შეასრულოს გაწევრიანების კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკავშირის მიერ წაყენებული მოთხოვნები: სიკვდილით დასჯის გაუქმება, კვიპროსის პროგრამის მოგვარება და ქურთულ ენაზე განათლებისა და მაუწყებლობის დაშვება. ვადის მოახლოებასთან ერთად, ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიებს შორის უთანხმოება სულ უფრო ღრმავდება. გუშინ, მმართველი კოალიციის უფროსი პარტნიორის - ეროვნული ქმედების პარტიის ლიდერმა და ვიცე-პრემიერმა - დევლეთ ბაჰჩელიმ განაცხადა, რომ მისი პარტია ამ საკითხების გადაწყვეტას მხარს არ დაუჭერს. ბაჰჩელიმ მკაცრად გააკრიტიკა "ტუსაიდი" - ინდუსტრიალისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია, რომელიც, თუნდაც დათმობების ფასად, ევროკავშირში ინტეგრაციას უჭერს მხარს.

ამასობაში, პრემიერი ეჯევითი კვლავინდებურად ავადაა. მის პარტიაში (დ.ს.პ.) ვრცელდება ხმები, რომ ეჯევითის წასვლის შემთხვევაში მისი ადგილი შეიძლება მისმა მეუღლემ, რაჰსან ეჯევითმა დაიკავოს.

# ქუთაისი - „მოქალაქეთა" ქალაქი

ეკა ბაძაღუა

გუშინ ქუთაისში, საოლქო საარჩევნო კომისიის წინ, საპროტესტო აქცია გაიმართა. მანამდე კი კომისიის წევრებმა იქაურობა მიატოვეს. რომ არა ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ნდობით აღჭურვილი პირები, არავინ იცის, რა ბედი ეწეოდა დაულუქავ, ხელახლა გადასათვლელ ბიულეტენებს. აქციის მონაწილეებმა იქვე გაათენეს ღამე და პასუხისმგებლობა აიღეს უბნის უსაფრთხოებაზე. ხელახალი გადასინჯვის შედეგად ისევ აღმოჩნდა სერიოზული დარღვევები. თუ თბილისში "მოქალაქეთა კავშირმა" მიზერული ხმები მოპოვა, "ინდუსტრიის მშენებელი" ქალაქი, სავარაუდოდ, მათ აიღეს ხელში. საკრებულოს თავმჯდომარედ ბონდო შალიკიანი მოიაზრება. არავინ იცის, რა რეაქცია მოჰყვება ამას თემურ შაშიაშვილის მხრიდან. ერთი კი ფაქტია, თანაქალაქელების არჩევანით განცვიფრებული გუბერნატორი, ჯერჯერობით, დუმს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

## პარლამენტში დეპუტატი სანთლით საძებარია

პირველი გვერდიდან

პარლამენტის სპიკერს არ სჯერა და არც აკმაყოფილებს "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერის დავით გამყრელიძის დაპირება, რომ 2 ივნისის არჩევნების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ამ კვირაში ჩაცხრება და პარლამენტარები სხდომებზე ივლიან. ამიტომ, მდგომარეობის გამოსასწორებლად, ბურჯანაძე მოითხოვს, გამცდენი დეპუტატების მიმართ ფინანსური სანქციები გატარდეს და მათ ხელფასის დიდი ნაწილი დაუკავდეთ. ისე, უდისციპლინო პარლამენტარებს მსგავსი საფრთხე ადრეც დამუქრებიათ, მაგრამ მუქარა არასდროს შესრულებულა. თუმცა, სოციალისტი ზაქარია ქუცნაშვილის წინადადებაა, დაქვითული თანხის ნახევარი უდედმამო ბავშვთა ფონდს ჩაერიცხოს, მეორე ნახევარი კი აქტიურ პარლამენტარებს გადაეცეთ, რომელთა შორისაც ვახტანგ რჩეულიშვილის თანამებრძოლი, რა თქმა უნდა, თავის თავსაც მოიაზრებს.

იმის გამო, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ასეთი სადამსჯელო ოპერაციის ეფექტურობაში მაინც ეჭვი ეპარება და უდისციპლინო ფრაქციების თავმჯდომარეებს ასეთ წინადადებას სთავაზობს: გამცდენი დეპუტატები, რეგისტრაციის გავლის მომენტისთვის, ათიოდე წუთით მაინც მოიყვანონ სხდომათა დარბაზში და მერე, კენჭისყრის პროცედურის დაწყებამდე, სადაც უნდათ, იქ გაუშვან, ან შეიმუშავონ განრიგი, რათა ცნობილი იყოს, რომელ დღეს ვინ ივლის პარლამენტში და ვინ – არა (?!).

ის არგუმენტი, რომ კვორუმის პრობლემის შექმნაში, საარჩევნო ვნებათაღელვასთან ერთად, ბრალი ამჟამად მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატსაც მიუძღვის, ნინო ბურჯანაძეს სასაცილოდ არ ჰყოფნის: **"მე მაბრალებენ, 10 წუთით რომ აგვიანებ დილის სხდომაზე მოსვლას, დანარჩენი პარლამენტარებიც შენ გბაძავენო. ამ დროს მე ჩემს კაბინეტში ვზივარ და თანაშემწეები მეუბნებიან, რომ სხდომათა დარბაზში მხოლოდ 20 პარლამენტარი ზის. რა აზრი აქვს ასეთ სიტუაციაში თავმჯდომარის სავარძელში ჩემს ჯდომას?"**

ერთი სიტყვით, პარლამენტის მუშაობაში არითმია თვალშისაცემია და საეჭვოა, ამ მოწვევის სესიის დამთავრებამდე დარჩენილ მცირე დროში, რაიმე უკეთესობისკენ შეიცვალოს.

## ქართველები სამხედროების მეექვსე როტაცია და მეოთხე წელი კოსოვოში

პირველი გვერდიდან

ჯიბის ფული, რაც ჯარისკაცებზე 5, ხოლო ოფიცრებზე - 26 დოლარს შეადგენს. მეტი სიზუსტისთვის დავძენთ, რომ დაახლოებით იმავე ოდენობის თანხას ღებულობენ ქართველი მშვიდობისდამცველები საქართველოს ხელისუფლებისაგან, რომელმაც წინა წლებში ამ უმნიშვნელო ფინანსური ვალდებულების შესრულებაც რამდენჯერმე ვერ შეძლო.

საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, კოსოვო პასუხისმგებლობის ოთხ ზონად და ტაქტიკური კონტროლის სექტორებად იყოფა, რომელსაც KFOR-ის დაახლოებით ორმოცდაათათასკაციანი კონტინგენტი აკონტროლებს. მთელი ამ არმადის მართვა კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში დისლოცირებული ძირითადი შტაბიდან ხორციელდება. თუმცა არსებობს სათადარიგო შტაბიც მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში და ბრიგადის შტაბები, რომლებიც, თავის მხრივ, ბატალიონის დონეებად იყოფა.

ერთ-ერთი ასეთი ბატალიონით არის წარმოდგენილი ბალკანეთზე თურქეთის სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებიან ქართული და აზერბაიჯანული ოცეულები.

საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კოსოვოში ძალიან მკაცრი მანდატი მოქმედებს. საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე საბრძოლო მორიგეობაზე მყოფ ცისფერჩაფხუტიანებს უფლება აქვთ, გააჩერონ, გაჩხრიკონ და საბუთები შეუმოწმონ ნებისმიერ მძღოლს. მათვე ევალებათ შეიარაღებული ძალების განიარაღება, უკანონო ემიგრაციის აღკვეთა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა.

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილე რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტისგან განსხვავებით, KFOR -ში მონაწილე ყველა ქვეყანა თავს ვალდებულად მიიჩნევს, კოსოვოს ეკონომიკურ აღორძინებაზეც იზრუნოს. საერთაშორისო ექსპერტების გათვლით, საერთო თანხის მოცულობა, რაც ყოველწლიურად კოსოვოში განლაგებული საერთაშორისო ძალების შენახვაზე იხარჯება, დაახლოებით 50-100 მილიონ დოლარს შეადგენს. მაგალითად: მხოლოდ თურქულმა ბატალიონმა, რომლის შემადგენლობაში ქართველი სამხედროებიც შედიან, სამი წლის განმავლობაში აღადგინა ერთი სკოლა, ოთხი სპორტული მოედანი, ოთხი მეჩეთი და მოაპირკეთა 190 კილომეტრის სიგრძის გზა.

გარდა ამისა, ეუთოსა და ნატოს მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში, გამალებული ტემპებით მიმდინარეობს იმ სახლების მშენებლობა, რომლებიც კონფლიქტის შედეგად საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა. სამშვიდობო მისიების ხელშეწყობით, ოპერაციის დაწყების მეორე წელსვე გახდა შესაძლებელი მუნიციპალური არჩევნების ჩატარება, ჩამოყალიბდა ადგილობრივი მართვის ორგანოები და პოლიცია, რომლებსაც თანამიმდევრულად გადაეცემა საერთაშორისო ადმინისტრაციის ფუნქციები.

ესაა ის მოდელი, რის ფორსირებასაც აფხაზეთში უშედეგოდ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება. ისევე, როგორც დღემდე, ვერ ხერხდება საერთაშორისო გამოცდილებამიღებული ქართველი სამხედროების მონაწილეობა აფხაზეთისა და ყოფილი "სამხრეთ ოსეთის" სამშვიდობო მოწესრიგების პროცესში, რის გამოც კოსოვოდან დაბრუნებული სამხედოები იძულებული ხდებიან, ან საშტაბო კარიერა აირჩიონ, ან საერთოდ გამოემშვიდობონ სამხედრო საქმიანობას.

## ლეიბორისტები „ნაციონალურ მოძრაობას" შევარდნაძესთან ალიანსში ადანაშაულებენ

ლიკა კობალაძე

**"კარუსელის" პოლიტიკოსებმა, პიარის დიდოსტატებმა - შევარდნაძემ და სააკაშვილმა, ადგილობრივ არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის წარმატებით გულგასიებულებმა, ტრადიციულ ტექნოლოგიურ სქემებზე დაყრდნობილი ახალი შავი პიარი დაგეგმეს, რომლის მიზანია ეჭვის ქვეშ დააყენოს ლეიბორისტული პარტიის მხარდამჭერი 80 ათასი თბილისელის გადაწყვეტილება და გააბათილონ არჩევნების შედეგები."** - განაცხადა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ლეიბორისტების ლიდერის თქმით, 3 ივნისს ბიულეტენების გადათვლა სააკაშვილის დაჯგუფებამ, შევარდნაძის დავალებით, მას შემდეგ მოითხოვა, როცა დარწმუნდა, რომ ვერ გადიოდა პირველ ადგილზე. ნათელაშვილმა ვარაუდი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ცესკოში (ანუ, როგორც იგი უწოდებს, **"გაყალბების პირამიდაში"**), ალბათ, უკვე შეცვალეს საარჩევნო ბიულეტენები და ოქმები, რათა, ახალი გადათვლის შემდეგ, არჩევნების შედეგები ბათილად ცნონ.

**"ჩვენ, რა თქმა უნდა, ამგვარ პროვოკაციებს ველოდით, მაგრამ არა ასეთი უზნეო და სწრაფი ტემპებით. ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ შევარდნაძე, სააკაშვილი, ჟვანია და დანი და ძმანი მისნი, არიან ერთი ჯგუფი, ერთი ბანდა და მათი მოცილება ქვეყნის მართვის სადავეებიდან არის ქართველი ერის უპირველესი ამოცანა."** – განაცხადა ნათელაშვილმა.

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ლეიბორისტები ბიულეტენების ხელახალ გადათვლაზე თანახმანი არიან, ოღონდ იმ პირობით, თუ გადათვლის წესში შეტანილი იქნება რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტი:

1. გადათვლა მოხდეს პირდაპირი ტელეეთერის საშუალებით; 2. გადათვლის პროცესში მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში რეგისტრირებულმა ოცივე პარტიის თითო წარმომადგენელმა. თუმცა, არჩევნების შედეგების გაუქმების შემთხვევაში, მან **"შევარდნაძე, სააკაშვილი და მთელი მისი ბანდა"** გააფრთხილა, რომ კონტროლზე აიყვანს ლეიბორისტული პარტიისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მეხუთე თუ მეოთხე შეთქმულების პროცესს (მხედველობაში ბიულეტენების გადათვლა ჰქონდა) და ის 80 ათასი კაცი, რომელიც იმ წვიმიან დღეს საარჩევნო უბნებში მივიდა, მიაკითხავს მათ სამსახურების კაბინეტებთან, პარტიულ ოფისებთან და იმ სასახლეებთან, რომლებიც გაფორმებული აქვთ სხვის სახელზე. ნათელაშვილი 100პროცენტიან გარანტიას იძლევა, რომ **"ბელგრადი თბილისში გადმოვა."**

პრესკონფერენციაზე "ნაციონალური მოძრაობის" მისამართით კიდევ ერთი ბრალდება გაისმა. ნათელაშვილმა მოძრაობის ლიდერები მათი (ლეიბორისტების) ლოზუნგების მითვისებაში დაადანაშაულა: **"ჩვენი ლოზუნგებით დადიან, რამაც ჩვენი ელექტორატის დაბნევა გამოიწვია.**

ლეიბორისტების ლიდერის განცხადებაზე კომენტარი სააკაშვილის თანაგუნდელმა ვანო მერაბიშვილმა გააკეთა: **"ძალიან საგულისხმოა, თუ ვინ არის ხმების გადათვლის წინააღმდეგი: შევარდნაძე, ახლები... მე ძალიან მიკვირს, ლეიბორისტებიც რატომ გვეწინააღმდეგებიან.**

**ბატონ შალვას მინდა შევახსენო, რომ მას ხელი აქვს მოწერილი 1 ივნისს იმ ერთობლივ განცხადებაზე, სადაც 8 პარტია - ტრადიციონალისტთა და სახალხოს ბლოკი, ედპ, ჟვანიას გუნდი, ჩვენ, ლეიბორისტები, მრეწველები და სოციალისტები - ვამბობდით, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ვისი გამარჯვებითაც არ უნდა დასრულდეს არჩევნები, საჭიროა, გადამოწმდეს ის სიები, ის ბიულეტენები, რომლებიც, ჩვენი აზრით, მაშინვე ეჭვს იწვევდა."**

რაც შეეხება შალვა ნათელაშვილის ბრალდებას მათ მიმართ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ლეიბორისტების ლოზუნგები მოიპარა, ვანო მერაბიშვილმა განაცხადა: **"მე მას კორექტულობისკენ მოვუწოდებ. არ ვიცი, რა ლოზუნგები დააპატენტა შალვა ნათელაშვილმა...ჩვენ ლოზუნგები მისთვის ნამდვილად არ მოგვიპარავს, ნათელაშვილს მხოლოდ ზოგადი განცხადებები ჰქონდა კორუფციის წინააღმდეგ. თუ ის კონკრეტულ ფაქტებს ვერ დაასახელებს და შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი განცხადებებით, მე ჩავთვლი, რომ ის არის არაკორექტული ადამიანი და იგი ხალხის მოტყუებით და ხელისუფლების დაკვეთით ასრულებს დავალებებს."**

## ახალი ფრაქცია ძველი უმრავლესობიდან

თამარ მჭედლიშვილი

ზურაბ ჟვანიას გუნდმა პარლამენტში საკუთარი ფრაქცია შექმნა. მას, სავარაუდოდ, "დემოკრატი" დაერქმევა და მასში 23 პარლამენტარი გაერთიანდება. ფრაქცია რეგისტრაციის შესახებ განაცხადს პარლამენტის თავმჯდომარეს უკვე დღეს წარუდგენს. დღესვე დეპუტატები ფრაქციის ხელმძღვანელობას აირჩევენ. სავარაუდოდ, მისი თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე იქნება. ფრაქციის წევრებს შორის არიან: რეზო ადამია, რომან კუსიანი, ელენე თევდორაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ჯემალ სვანიძე, ხათუნა ხოფერია, დავით ტყეშელაშვილი, ირაკლი ჩუბინიშვილი, ზაზა შერაზადაშვილი, მარინა მოლოდინი... ზურაბ ჟვანიას გარემოცვის შემდეგი ნაბიჯი უკვე ახალი პარტია იქნება.

ახალი ფრაქციის ერთ-ერთი წევრის, ვასილ მაღლაფერიძის თქმით, ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირთან" ჟვანიას გუნდის გაყრა უმტკივნეულოდ მოხდა. იგი აცხადებს, რომ მათ შორის თანამშრომლობა კონსტრუქციული იქნება განსხვავებით იმ ფრაქციათა წევრებისაგან, რომელთანაც ურთიერთობაზე ზურაბ ჟვანიას გუნდმა საბოლოოდ განაცხადა უარი. ეს, პირველ რიგში, საპარლამენტო ფრაქციების - "თანადგომისა" და "ალიანსი ახალი საქართველოსთვის" - წევრები არიან. "დემოკრატების" მთავარი მოკავშირეები კი "ნაციონალური მოძრაობის" წევრები იქნებიან.

ვასილ მაღლაფერიძის თქმით, "დემოკრატები" ითანამშრომლებენ "ტრადიციონალისტებთან", "აღორძინებასთან" , "ახალ მემარჯვენეებთან" იმის მიუხედავად, რომ ხშირად ერთმანეთის ოპონენტები არიან. ასევე ყველა იმ ძალასთან, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაში თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნება.

რაც შეეხება პრეზიდენტთან და, მთლიანად, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობას, ვასილ მაღლაფერიძე ამბობს, რომ **"ყველაფერი იქნება დამოკიდებული კონკრეტულ შემთხვევებზე. როდესაც პრეზიდენტის რწმუნებულის ორგანიზებით, 40 შეიარაღებული პირი თავს ესხმის ავტომანქანას და იტაცებს ბიულეტენებს, ჩვენ ასეთ დროს ვერ ვითანამშრომლებთ პრეზიდენტთან არა მხოლოდ იმის გამო, რომ მან ეს ვერ აღკვეთა, არამედ იმიტომ, რომ ამ ყველაფერს შეფასება არ მისცა. მეტიც: უკვე მგონია, რომ ეს პრეზიდენტთან შეთანხმებით მოხდა. თუკი პრეზიდენტი მიიღებს ქვყნისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებას, ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მასთან ვითანამშრომლებთ."**

## ახალი რეალობა - გამოწვევა პრეზიდენტისთვის

პირველი გვერდიდან

**პოლიტიკური ორგანიზაციებიც შეიქმნას. არსებული სურათიდან მე არჩევანის საშუალებას ვერ ვხედავ."** - ამბობს სოციოლოგი რამაზ საყვარელიძე.

თუმცა, არსებული პოლიტიკური სპექტრი ყოველთვის ტოვებს არჩევანის საშუალებას. ძირითადად, ეს ის პოლიტიკური პარტიებია, რომელთაც ბევრი არაფერი აქვთ დასაკარგი. მაგალითად "სოციალისტები", "ეროვნულ-დემოკრატები" და სხვები, რომლებიც ამომრჩეველთა ხმების სახით დიდ პოლიტიკურ კაპიტალს ვერ ფლობენ. ყოველთვის შეიძლება თანამშრომლობა "აღორძინებათან", თუ აბაშიძისა და შევარდნაძის ინტერესები დაემთხვა. რაც შეეხება ლეიბორისტებს, შესაძლოა, შალვა ნათელაშვილი, წინა გამოცდილების გათვალისწინებით, ამჯერად უფრო ფრთხილად მოიქცეს, მაგრამ ხელისუფლებას მასთან პოლიტიკური ვაჭრობის შესაძლებლობა ყოველთვის მიეცემა.

დასაკარგი აქვთ უკვე მრეწველებსაც. თოფაძის პარტიამ გასულ საპარლამენტო არჩევნებში ხმათა დიდი რაოდენობა არა მხოლოდ ცნობილი ლოზუნგით, არამედ ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკითაც მიიღო. დღეს "მრეწველები" გაცილებით უფრო კორექტულები არიან და ნაკლებ აქტიურობენ პოლიტიკურ არენაზე. სავარაუდოა, რომ საკუთარ ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემები მათ ხელისუფლებასთან უკვე მოაგვარეს და დამატებითი პრობლემები აღარ სჭირდებათ.

რაც შეეხება "ახალ მემარჯვენეებს", მისი ლიდერებისათვის, ბუნებრივია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკუთარი ბიზნეს-ინტერესები. მიუხედავად ამისა, ამ ძალას სერიოზული პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა, საკმაოდ ძლიერ მოძრაობად ჩამოყალიბდა და გრძელ პოლიტიკურ პერსპექტივაზე აკეთებს გათვლას.

შესაბამისად, არჩევანის გაკეთება "ახლებისთვის", შეიძლება, სერიოზულ პრობლემად იქცეს. მათ სჭირდებათ, რომ ხელისუფლებამ დაიცვას მათი ინტრესები ბიზნესში, მაგრამ, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას, არ სჭირდება ხელისუფლებასთან ასოცირება.

**"მე მომეჩვენა, რომ "ახლებმა" შევარდნაძის კრიტიკას მოუმატეს, რადგან არჩევნების შემდეგ გარკვეული გაკვეთილი მიიღეს. ასე რომ, მოსალოდნელია, ისინი გარკვეულ დისტანცირებას მოახდენენ პრეზიდენტის ხელისუფლებასთან. თუმცა, უფრო ოპოზიციურად განწყობილნი ჟვანია-სააკაშვილის მიმართ იქნებიან."** – ამბობს პოლიტოლოგი გია ნოდია.

მთელ ამ კონტექსტში ძალიან საყურადღებოა ერთი მომენტი. თუ ადგილობრივი არჩევნების დროს შევარდნაძის საწინაღმდეგო ლოზუნგებმა გაიმარჯვა, დიდი ალბათობაა იმისა, რომ მან, როგორც ზუსტმა ფორმულამ, საპარლამენტო არჩევნების წინ სულაც არ იმუშაოს, რადგან ის შედეგები, რაც არჩევნების შემდეგ დაფიქსირდა, პროგნოზის გაკეთების საშუალებას მხოლოდ თბილისის მაშტაბით იძლევა. სამაგიეროდ, ძალიან ბუნდოვანი სიტუაციაა რაიონებში. იმის გამო, რომ არჩევნები, თბილისის გარდა, ყველგან მაჟორიტარული წესით ჩატარდა, ძნელი გახდა საერთო სურათის შექმნა, თუ რა ძალას ფლობენ თბილისში გამარჯვებული თუ დამარცხებული პარტიები მთელი ქვეყნის მაშტაბით.

არაქართულ რეგიონებში შევარდნაძის ფიგურა კვლავ ანგარიშგასაწევი ფაქტორია. სხვა რაიონებში, მართალია, პრეზიდენტი პოპულარობით არ სარგებლობს, მაგრამ არც ის არის გარკვეული, რა რეიტინგი აქვთ სხვა პარტიებს. ყოველ შემთხვევაში, რაც უფრო შორს მიდიხარ თბილისიდან, მით უფრო არაპოპულარული ხდება დემოკრატიულ-ლიბერალური ფასეულობები. ასე რომ, თბილისში მიღებული ხმათა უმრავლესობა 32 პროცენტის სახით, რომელიც სააკაშვილმა და ჟვანიამ ერთად დააგროვეს, სულ არ აძლევთ მათ იმის გარანტიას, რომ სხვა პარტიებს საპარლამენტო არჩევნებშიც აჯობებენ, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა რაიონებში ჯერ კიდევ შეურყეველია შევარდნაძის ხელისუფლების ადმინისტრაციის ძლიერება.

ასე რომ, შევარდნაძეს კიდევ რჩება გარკვეული მიმზიდველობა პარტიებისათვის, ხოლო თავად პრეზიდენტისთვის ძალზე მნიშვნელოვანია საპარლამენტო არჩევნები.

**"დღეს შევარდნაძის ინტერესში შედის, თავისი საპრეზიდენტო მოღვაწეობა მშვიდობიანად დაასრულოს და ხელისუფლებაში მისთვის მიუღებელი კანდიდატურის მოსვლა თავიდან აიცილოს."**- ამბობს გია ნოდია.

ასე რომ, შევარდნაძის მთავარი საყრდენი ახლა უკვე, გიგი თევზაძის ტერმინს თუ ვიხმართ, ორდენი გახდება, სადაც პარტიების გაერთიანება არაფორამალური ხასიათის იქნება, და რომლის მეშვეობითაც პრეზიდენტი ყოველთვის შეეცდება სიტუაციის თავის სასარგებლოდ გაკონტროლებას. ის, რომ ეს ორდენი ხშირად ბევრად უფრო ეფექტური ბერკეტია, ამას უკრაინის სულ ცინცხალი მაგალითიც ადასტურებს. უკრაინის რადაში ხმათა დიდი უპირატესობით გასული ოპოზიციური გაერთიანება მოულოდნელად დამარცხდა და კუჩმამ საკანონმდებლო ორგანოს სპიკერად საკუთარი კადრის დანიშვნა მოახერხა.

## ჩვენებურები "ედინსტვოში": რატომ ჩამოვიდა ჯუმბერ პატიაშვილი მოსკოვში

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში საქართველოს პოლიტიკური მოძრაობა "ერთობის" ლიდერებმა ჯუმბერ პატიაშვილმა და ალექსანდრე ჭაჭიამ რუსეთის საპრეზიდენტო პარტია "ედინსტვოსთან" რუსეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობის შეთანხმება გააფორმეს. შეთანხმებას ხელი რუსეთის სათათბიროს ფრაქცია "ედინსტვოს"ოფისში 5 ივნისს მოაწერეს. 6 ივნისს კი "ერთობის" ლიდერები დუმის ხელმძღვანელობამ და ფრაქცია "ედინსტვოს" ლიდერმა ვლადიმირ პეხტინმა მიიღეს.

"ერთობის" ლიდერების რუსეთის პარლამენტში მოსვლა ზუსტად იმ მომენტს დაემთხვა, როცა მთელი პარლამენტი დერეფნებში გამოტანილ ტელეეკრანებთან იყო მიმსხდარი და როცა რუსეთის ნაკრებმა "კამერუნის" ბადეში მეორე გოლი გაახვია.

ლიუბოვ სლისკას მისაღებში მოსკოველი ტელეოპერატორები და ჟურნალისტები "ედინსტვოს" წევრებთან ერთად თვალს ადევნებდნენ ამ ამაღელვებელ მომენტს და პარლამენტარი ქალების გულშემატკივრობას ფირზე აფიქსირებდნენ. ჯუმბერ პატიაშვილისა და ალექსანდრე ჭაჭიას მოსვლა და გადამწყვეტი გოლი ერთმანეთს დაემთხვა, ასე რომ, ქართველი სტუმრები მოლაპარაკების მაგიდასთან გამარჯვების ყიჟინის გარემოში აღმოჩნდნენ.

ფეხბურთი ფეხბურთად და რუსი და ქართველი პარლამენტარების დიალოგი, როგორც იტყვიან, მხარეთა სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიდიოდა.

პატიაშვილმა "ედინსტვოს" წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მისთვის მიუღებელია ის კურსი, რასაც დღეს საქართველოს პრეზიდენტი და ხელისუფლება ატარებს. "მე კარგად ვიცნობ შევარდნაძეს, მას მუდამ მხარს ვუჭერდი, მაგრამ ის კურსი, რასაც პრეზიდენტი და ახალგაზრდა რეფორმატორები ატარებენ, საქართველოსათვის დამღუპველია... დამოუკიდებელი საქართველოსაგან აღარაფერი დარჩა,"-განაცხადა პატიაშვილმა.

რუს პარლამენტარებთან საუბარში ქართულმა მხარემ აღნიშნა, რომ "ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას რუსეთთან მეგობრობა და კეთილმეზობლობა უნდა, დანგრეული ეკონომიკა, მრეწველობა, აგრარული და ფინანსური სისტემა მხოლოდ რუსეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობით შეიძლება აღდგეს." მისი თქმით, საქართველოს ოპოზიცია დღეს პრეზიდენტთან ერთად სახიფათო თამაშშია ჩაბმული და ქვეყანა დანგრევისაკენ მიჰყავს. "ერთობის" ლიდერმა საყვედური გამოთქვა რუსეთში დღეს მცხოვრები ქართველების მისამართითაც, რადგანაც ისინი არაფერს აკეთებენ რუსეთთან დასაახლოებლად.

"ახალგაზრდა რეფორმატორებმა რეფორმები საკუთარი თავის სასარგებლოდ წარმართეს. "ერთობა" მოწოდებულია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების აღსადგენად, სავიზო რეჟიმის გასაუქმებლად, პრორუსული და არა ანტიამერიკული კურსის გასატარებლად,"-განაცხადა ამ შეხვედრაზე "ერთობის" ლიდერმა.

შეხვედრაზე ჯუმბერ პატიაშვილმა საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგების ფალსიფიკაციაზეც ისაუბრა და რუს კოლეგებს უთხრა, რომ საქართველოში დღეს არიან ის პოლიტიკური ძალები, რომელთაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გამოსწორება შეუძლიათ. მხარეებმა ორი სახელმწიფოს დაახლოების მექანიზმებზეც ისაუბრეს, სადაც ქართველებისათვის პრიორიტეტული ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის აღდგენა უნდა იყოს.

"თავის დროზე საქართველოს მწვანეთა პარტიამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის ხელი შეეშალა, დღეს საქართველო ამ მავნებლობის შედეგებს იმკის,"-განაცხადა ბატონმა ჭაჭიამ. იგი ამტკიცებს, რომ "ერთობა", საქართველოს ოპოზიციური ძალებისაგან განსხვავებით, არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგეა და პოზიციას არც მომავალში შეიცვლის".

რუსეთის პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე ქართველმა და რუსმა პარტიელებმა დააფიქსირეს გეოპოლიტკურ სფეროებში თანხვდენილი პოზიციები და გამოთქვეს დიდი შეშფოთება ამიერკავკასიის რეგიონში თურქეთის გააქტიურების გამო.

რუსეთის პარლამენტის საპრეზიდენტო პარტია "ედინსტვოს" ლიდერმა პეხტინმა პატიაშვილსა და ჭაჭიას დასაწყისისათვის მოსკოვში ქართული "ერთობის" წარმომადგენლობის გახსნა შესთავაზა, "რადგანაც თქვენ ხელისუფლებისათვის იბრძვით და ქვეყნის მმართველობაში მოსვლას აპირებთ, ჩვენი გამოცდილება დაგეხმარებათ, ამიტომ ჩვენ მზად ვართ, ოფისიც გამოგიყოთ,"-ბრძანა პეხტინმა. ამ წინადადებას ქართული მხარე მადლიერებით შეხვდა.

"ედინსტვოს" წევრმა, წარსულში ცნობილმა ტელეწამყვანმა ალექსანდრა ბურატაევამ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ სლისკას დელეგაციას თბილისში ახლდა, პატიაშვილს უთხრა, რომ მას თბილისელი ბავშვებისათვის აქვს საერთაშორისო ბანაკ "ორლიონოკის" თექვსმეტი უფასო საგზური და სურს კონსკურსის სახით მისი თბილისში გათამაშება - ბანაკში ის წავა, ვინც კარგად დაწერს თხზულებას რუსულ ენაზეო. ამაზე ქართულმა მხარემ მადლობა კი გადაიხადა, მაგრამ სევდიანად აღნიშნა, რომ შეიძლება, ეს გამოცდა ბევრმა სამზეც ვერ ჩააბაროსო.

იქვე გამოითქვა ორმხრივი სურვილი საქართველოში "ედინსტვოს" წარმომადგენლობისა და მისი ახალგაზრდული ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზეც. სლისკამ თბილისში დაწყებული ინიციატივაც გაიხსენა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ტელეარხ"კულტურას" მაუწყებლობის შესახებ, რასაც, დუმის ვიცე-სპიკერის თქმით, დაპირების მიუხედავად თბილისელი ამხანაგები ჯერაც არ გამოხმაურებიან.

"ედინსტვოს" ლიდერებმა შეახსენეს პატიაშვილს, რომ მათი მონაწილეობის გარეშე რუსეთში არც ერთი საპრეზიდენტო კანონი არ იქმნება და რომ პარლამენტში ამ სახელისუფლებო ფრაქციას უმრავლესობა ემხრობა. პეხტინმა პატიაშვილს პატარა საიდუმლოც გაანდო, რომ პრეზიდენტი პუტინი დაინტერესებულია საქართველოსთან კონსტრუქციული დიალოგის განახლებით. ჩვენ ყველაფერში მხარს დაგიჭერთო, ასეთი იყო რუსული "ედინსტვოს" დანაპირები.

"ედინსტვოს" წევრებთან მეგობრული დიალოგის შემდეგ პატიაშვილი მიიღო"ოტეჩესტვოს" ლიდერმა ვოლოდინმა, რომელმაც განსაკუთრებით მრისხანედ გააკრიტიკა შევარდნაძის მიერ აღებული "საქართველოს დამღუპველი კურსი". "ფრაზამ გელაევის განათლებულობის შესახებ რუსი პოლიტიკოსები შოკში ჩაგვაგდო,"-ითქვა ამ შეხვედრაზე, რაზედაც პატიაშვილმა ასეთი პასუხი გასცა: "აშშ განცხადებებამდე პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორისტები არ ყოფილან, ახლა რა მოხდა ან რატომ გადაისვრიან ხოლმე გელაევს აფხაზეთში და მერე ამას რუსებს აბრალებენ, ვერ გაგვიგია".

ამის შემდეგ დელეგაცია "რესეთის რეგიონების" სამუშაო კაბინეტში მიიღეს, ხოლო ბოლოს პატიაშვილს პარლამენტის სპიკერმა, კომპარტიიდან გარიცხულმა გენადი სელეზნიოვმა უმასპინძლა.

სელეზნიოვმა სინანული გამოთქვა, რომ "შევარდნაძის სურვილი საქართველოში სიტუაციის გაუმჯობესების თაობაზე მიმართული არ არის ქვეყნის კეთილდღეობისაკენ, მაგრამ ორი მეგობარი სახელმწიფოს თანამშრომლდობის პერსპექტივები საიმედო ხელშია სწორედ პრორუსული ლიდერების წყალობით".

ქართული "ერთობის" ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმა ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სურს, მოსკოვის მერთან იური ლუჟკოვთან და მოსკოვის ქართულ დიასპორასთან შეხვედრა. პატიაშვილი რუსეთის დედაქალაქში კიდევ რამდენიმე დღით აპირებს დარჩენას.

"ერთობის" მოსკოვში ვიზიტი ფართედ გააშუქეს რუსეთის ტელევიზიის პირველმა და მეორე, ანუ სახელმწიფო არხებმა – ესე იგი კრემლს ასე უნდოდა.

# მოდას აყოლილნი

## „ვირტუალური მთავრობა" რეალური პრობლემების წინაშე

გიორგი კალანდაძე

*გუშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ კიდევ ერთხელ შეახსენა საკუთარი მთავრობის წევრებს, რომ რეფორმების გატარება, მართალია, აუცილებელია, მაგრამ "მოდას აყოლა" ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს. ამით პრეზიდენტმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ენერგოსექტორში მიმდინარე რეფორმების მიმართ. "**იქნებ გადავიდეთ ძველ სისტემაზე**", - აღნიშნა პრეზიდენტმა, რომლის განცხადებასაც მთავრობამ დუმილით უპასუხა. ამის შემდეგ, შევარდნაძემ კორპორაცია "ეი-ი-ესის" საქართველოში შემოყვანის მიზეზებზე ისაუბრა და დასძინა, რომ "თელასის" ბედს მალე "თბილგაზიც" გაიზიარებს.*

ორი თვეც და თბილისის გაზმომარაგების სისტემას, სავარაუდოდ, უცხოელი მეპატრონე გამოუჩნდება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მთავრობა შეძლებს შეთანხმების მიღწევას "თბილგაზის" პოტენციურ ინვესტორთან, ისრაელის კომპანია "ტაჰალ კონსალტინგთან". გუშინ მთავრობამ მოისმინა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის სოლომონ პავლიაშვილის ინფორმაცია "ტაჰალთან" მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ.

1999-2000 წლებში ორჯერ გამოცხადდა ტენდერი "თბილგაზის" აქციათა პაკეტის თაობაზე, მაგრამ, უშედეგოდ. 2001 წლის ივნისში მთავრობამ არჩევანი შეაჩერა ისრაელის კომპანიაზე, რომელიც, სოლომონ პავლიაშვილის თქმით, ამ ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი საინჟინრო კომპანიაა. ტენდერზე გამოტანილი იყო "თბილგაზის" აქციათა 75 პროცენტი. პავლიაშვილის განცხადებით, მოლაპარაკების პროცესში ,"ტაჰალთან" ერთად, მონაწილეობს ჰოლანდიური კომპანია "გაზტეკი". "**თვალყური ადევნე ინვესტორებს, არ გაგეპარონ**", - ურჩია პრეზიდენტმა ქონების მართვის მინისტრს.

გუშინვე მთავრობამ ენერგოსექტორში დაწყებულ ზამთრის სამზადისზეც იმსჯელა. "**მინისტრები იცვლებიან, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის**", - აღნიშნა პრეზიდენტმა და რამდენიმე მიზეზი დაასახელა, რის გამოც საქართველოში ენერგოკრიზისია. მათ შორისაა ელექტროენერგიისა და გაზის საფასურის ამოღების დაბალი დონე, ენერგოსისტემის დიდძალი დავალიანება და კორუფცია. შევარდნაძე დარწმუნებულია, რომ კორუმპირებულია მეტ-ნაკლებად ყველა მაღალ თანამდებობაზე მყოფი ენერგეტიკოსი, გარდა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრისა, რომლის კორუმპირებულობის შესახებ ჯერ მას არაფრის თქმა არ შეუძლია.

გუშინ პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა რეალური პრობლემების მოგვარება ვირტუალურ სამყაროშიც სცადეს. შევარდნაძემ მოიწონა მთავრობის საქმიანობის მოდელირების კონცეფცია, რომელსაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ხშირად მიმართავენ.

# ევროკავშირი საქართველოს ეკოლოგიის სფეროში ინვესტიციების მოზიდვაში ეხმარება

ზვანცა კვინიკაძე

*"ბევრი ქვეყანა კარგავს ინვესტიციებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან იმის გამო, რომ ისინი ვერ აფინანსებენ წინასაინვესტიციო კვლევებს, რაც მსხვილი გარემოსდაცვითი პროექტების განსახორციელებლად აუცილებელია,"- განაცხადა ევროკავშირის "ტასისის" პროგრამის მიერ დაფინანსებული "ერთობლივი გარემოსდაცვითი პროგრამის" (JEP) ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, **ჯორჯ მაკდონელმა** ამ პროგრამის პრეზენტაციაზე. "ტასისის" წევრ ქვეყნებიდან საქართველო თითქმის ყველაზე აქტიურად თანამშრომლობს JEP-თან, რომლის ფარგლებშიც უკვე ოთხი კვლევა განხორციელდა.*



ჯორჯ მაკდონელი: "ტასისი" წინასაინვესტიციო კვლევებს დააფინანსებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

საბჭოთა პერიოდის ინდუსტრიალიზაციამ მძიმე დაღი დაასვა ამ ქვეყნის გარემოს. მისი დაბინძურება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ევროპელი ექსპერტების შეფასებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, დაახლოებით, 122 მლრდ. ევრო სჭირდება, დსთ-ს ქვეყნებში კი, გაცილებით მეტი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად გამიზნული ინვესტიციები ამ ქვეყნებში ძალიან მცირე მოცულობით შემოდის. მაკდონელის თქმით, ამ დანაკლისის შევსება დსთ-ს ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, ნაწილობრივ გრანტების, ნაწილობრივ კი, საკმაოდ "ძვირი" კომერციული კაპიტალის მეშვეობით მოუწევს. ევროკავშირი და მისი ტექნიკური დახმარების პროგრამა "ტასისი" ამ ქვეყნებს ერთობლივი გარემოსდაცვითი პროგრამის JEP მეშვეობით ეხმარებიან გარემოს გაჯანსაღებისკენ მიმართული პროექტებისთვის აუცილებელი მოსამზადებელი კვლევების განხორციელებაში, რაც, შემდგომ ამ პროექტების მსხვილი დონორებისთვის წარდგენის საშუალებას იძლევა. თითოეული კვლევის ბიუჯეტი, საშუალოდ, 210 ათას ევროს შეადგენს.

მაკდონელის თქმით, საქართველოსა და JEP-ის თანამშრომლობა საკმაოდ ნაყოფიერად მიიჩნევა. ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოში უკვე ოთხი კვლევა განხორციელდა, რაც ჩვენი დიდი ჩრდილოელი მეზობლის მაჩვენებელსაც კი აღემატება. პირველი წარმატებული კვლევის საფუძველზე მსოფლიო ბანკმა უკვე დაიწყო ირიგაციისა და დრენაჟის განვითარების 33 მილიონდოლარიანი პროექტის განხორციელება. მეორე და მესამე კვლევა მსოფლიო ბანკს სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტის მომზადებაში ეხმარება. ეს პროექტი, რომლის ბიუჯეტი 21 მილიონი დოლარია, წლის ბოლოს დაიწყება. მეოთხე კვლევა კი, ქალაქის გათბობითა და ცხელი წყლით მომარაგების წყაროების გამოვლენას ეძღვნება და ჯერ ისევ მომზადების სტადიაშია.

ჯერჯერობით, JEP საქართველოში მსოფლიო ბანკის პროექტებისთვის აწარმოებს წინასაინვესტიციო კვლევებს, თუმცა მაკდონელი დონორი ორგანიზაციების წრის გაფართოებას შესაძლებლად და, აუცილებლადაც მიიჩნევს. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს (EBRD) ენიჭება, თუმცა არ არის გამორიცხული ამ პროცესში ნებისმიერი სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის ჩართვაც.

# „Manchester United" - დიდი და წარმატებული საფეხბურთო ბიზნესი

სოფო კვინტრაძე

*მსოფლიოში ყველაზე მდიდარი კლუბის ისტორია 1878 წლიდან იწყება, როცა ლანკაშირისა და იორკშირის რკინიგზის თანამშრომლებმა ფეხბურთის თამაში გადაწყვიტეს. თავიდან გუნდს "Newton Heath LYR" ერქვა. 1902 წელს იგი ჯონ ჰენრი დევისმა იყიდა და "Manchester United"- ი უწოდა.*

"მანჩესტერ იუნაიტედი" არის საჯარო კომპანია, რომელიც ლონდონის ბირჟაზე 1991 წელს გამოჩნდა, მაშინ მისი აქციების ღირებულება 385 პენსს შეადგენდა. კომპანიის დირექტორატი აცხადებს, რომ მათი ბიზნესი წარმატებულია და საფეხბურთო კლუბის წინსვლა უშუალოდ უკავშირდება ბიზნესის განვითარებას.

ამჟამად კომპანიის მფლობელობაში შედის საფეხბურთო კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედი", სააგენტო კომპანიები, რომლებიც ბიზნესის წარმოებაზე და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე მუშაობენ. კომპანია "მანჩესტერ იუნაიტედი" არის ერთ-ერთი მეწილეც კლუბის ოფიციალური სატელევიზიო არხისა, აქვს საკუთარი რადიო არხი და თვეში ერთხელ გამოსცემს ჟურნალს. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, მედიისა და ინტერნეტის საშუალებით მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ გულშემატკივრებთან, რომელთა რიცხვი მსოფლიოში 50 მილიონს აჭარბებს.

კლუბის დირექტორატი განსაკუთრებულად ზრუნავს გულშემატკივრებზე, აწყობენ ფორუმებს, სადაც ხვდებიან ათასობით ფანს და ეცნობიან მათ აზრს კლუბის შესახებ. გარდა ამისა, "მანჩესტერ იუნაიტედმა" შექმნა გულშემატკივართა ფინანსური მხარდაჭერის ქსელი, რომელიც მსოფლიოში ცნობილ ისეთ ორგანიზაციებთან ერთად, როგორებიც არიან "ციურიხის ფინანსური სერვისის ცენტრი," "ბრიტანია ჯგუფი," "ევროპის ბანკი" და "შოტლანდიის ბანკი", მრავალი სახის ფინანსურ მომსახურეობას ეწევა.

ამჟამად კომპანია "მანჩესტერ იუნაიტედს" 350 მილიონი აქცია აქვს გამოშვებული, რომელთა ღირებულება 10 პენსს შეადგენს. აქციების მფლობელები არიან როგორც ინდივიდუალური ინვესტორები, ასევე კომპანიები. მათ შორის ყველაზე დიდი მეწილეები British Sky Broadcasting, Cubic Expression Company და მარტინ ედვარდსი არიან. კომპანია "მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორატს აქციონერები ირჩევენ. 2002 წლის მარტში დირექტორობის ათწლიანი ვადა დაასრულა სერ როლანდ სმიტმა, რომლის ადგილიც როი გარდნერმა დაიკავა.

სერ როლანდ სმიტის განცხადებით, 2001 წელი -- ყველაზე წარმატებული წელია კლუბის ისტორიაში. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კომპანიის კაპიტალბრუნვა და შესაბამისად, მოგებაც საგრძნობლად გაიზარდა. 1997 წელს კაპიტალბრუნვა 26 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, 2001 წლისათვის კი ეს თანხა 129 მილიონამდე გაიზარდა.

კომპანიის ინვესტიციების დიდი ნაწილი ისევ მიმართულია "ოლდ ტრეფორდის" სტადიონის საბოლოო რეკონსტრუქციაზე, რაზეც ბოლო ათწლეულში კომპანიამ 150 მილიონი გირვანქა დახარჯა. მარტო ნახევარი მილიონი სტადიონზე ციფრული ტაბლოს დამონტაჟებას მოხმარდა. კომპანია ასრულებს ფეხბურთის აკადემიის მშენებლობასაც, რომელიც ქერინგტონის საწვრთნელ ბაზაზე დაფუძნდება. თანხების დიდი ნაწილი ხმარდება ფეხბურთელთა ყიდვას, 2001 წელს კლუბმა სამ ფეხბურთელში 50 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

კომპანია "მანჩესტერ იუნაიტედი" ეწევა ქველმოქმედებასაც, იგი თანამშრომლობს "იუნისეფთან", რომლის ანგარიშზეც 2001 წელს "მანჩესტერ იუნაიტედმა" 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადარიცხა. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ეს თანხა ბავშვთა განათლებას მოხმარდება. გარდა ამისა, "მანჩესტერ იუნაიტედი" მთელ მსოფლიოში გაფანტულ თავის ფანებს ფეხბურთელთა მიერ ხელმოწერილ მაისურებს ყოველწლიურად უგზავნის.

კომპანიის ყოფილი დირექტორის, სერ როლანდ სმიტის თქმით, "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთი და ბიზნესი ხელიხელჩაკიდებული მიიწევენ წინ - კიდევ უფრო დიდი წარმატებებისკენ.

# „ჰიტაჩის" მეორე სუნთქვა

"ჰიტაჩი" ახალ ბაზარზე გადის. კომპანია მიკროკომპიუტერებისა და MP3 პლეერების გამოშვებას გეგმავს. მიზნების განხორციელებაში მას დაეხმარება ამერიკული კომპიუტერული გიგანტი "აიბიემი", რომლის ჰარდ-დისკების წარმოების 70 პროცენტსაც "ჰიტაჩი" მთლიანად ყიდულობს. ეს შენაძენი იაპონურ კომპანიას 2 მილიარდი დოლარი უჯდება. თუმცა, მოგებული არა მხოლოდ "ჰიტაჩი" რჩება. იაპონელებთან გარიგება "აიბიემსაც" აძლევს ხელს – ბოლოსდაბოლოს, ის თავს დააღწევს საკმაოდ არამომგებიან წარმოებას და საქმიანობას სხვა მიმართულებით გააფართოვებს.

ერთი სიტყვით, თუ "აიბიემს" ჰარდ-დისკების წარმოება ზურგზე მძიმე ტვირთად აწვა, მომავალ წელს, "ჰიტაჩი" მისგან დიდი თანხის შოვნას აპირებს. მიზანი ასეთია – ვინჩესტერების წარმოება კვლავაც წარმატებულ ბიზნესად ვაქციოთ.

თუმცა, იაპონური კომპანიის ოპტიმიზმს ანალიტიკოსები არ იზიარებენ. იმ შიშის ფონზე, რომ "ჰიტაჩი" ძალზე დიდ თანხებს ხარჯავს, კომპანიის აქციები 4 პროცენტით დაეცა.

ასეა თუ ისე, "ჰიტაჩი" უკან დახევას არ აპირებს. "აიბიემის" ჰარდდისკების წარმოებას ის საკუთარ ხაზს შეუერთებს. ანალიტიკოსების ვარაუდით, ეს სერიოზულ რესტრუქტურიზაციასთან და სამუშაო ადგილების შემცირებასთანაც იქნება დაკავშირებული. თუმცა, კომპანია ჯერ ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

ცნობისთვის: ბოლო პერიოდში, ჰარდ-დისკებზე მოთხოვნამ იკლო. თანაც, კომპიუტერების სხვა ნაწილების მსგავსად, მასზეც ფასები სულ უფრო ეცემა. "ჰიტაჩიში" კი ირწმუნებიან, რომ წარმოებას ამ ეტაპზე მეორე სუნთქვა ეხსნება, რაც ახალი სამომხმარებლო ელექტროტექნიკის შექმნასთან არის დაკავშირებული.

## ინფორმაცია

### ეროვნულმა ბანკმა "თბილგაზს" ერთი მილიონი ლარი მისცა

სააქციო საზოგადოება "თბილგაზმა ეროვნული ბანკისგან" ერთი მილიონი ლარის ოდენობით სესხი აიღო, რათა დაეფარა გაზის მომწოდებელ კომპანია "საქგაზის" დავალიანების ნაწილი. როგორც პრაიმნიუსს "თბილგაზში" აცნობეს, თანხა უახლოეს დღეებში "საქგაზის" ანგარიშზე გადაირიცხება.

"საქგაზი" დედაქალაქისათვის გაზის მიწოდების შეწყვეტით იმუქრება იმ შემთხვევაში, თუ "თბილგაზი" დაგროვილი ძირითადი ვალის 18 მილიონი ლარის საურავს, 7 მილიონ 900 ათას ლარს, არ გადაიხდის.

მაისის თვის მიმდინარე დავალიანება "თბილგაზმა, შეთანხმების თანახმად", "საქგაზს" 18 ივნისამდე უნდა გადაუხადოს. თბილისი. *პრაიმნიუსი.*

### მოსაკრებლების კანონი მიწის სარეგისტრაციო სამუშაოებს შეაფერხებს

მოსაკრებლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი განიხილეს აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე.

კანონმა, რომელიც წელს, 11 მაისს, მიიღეს, მიწის პირველადი რეგისტრაციის სამუშაოები ფასიანი გახადა: "მიწის მესაკუთრეს 1 ჰექტარის რეგისტრაციისთვის 7 ლარის გადახდა დაეკისრა," - განაცხადა სხდომაზე მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ გეგეჭკორმა.

საქართველოში უკვე მოხდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ორი მესამედის რეგისტრაცია, რომელიც მესაკუთრეთათვის, მოქმედი მიწის პირველადი რეგისტრაციის შესახებ კანონის თანახმად, უფასო იყო. ამ სამუშაოებს საქართველოში მოქმედი პროექტების ფარგლებში უცხოური და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები გრანტის ან კრედიტის სახით ახორციელებენ.

გამოდის, რომ დანარჩენი ერთი მესამედი სავარგულების რეგისტრაცია მესაკუთრე გლეხებისთვის უკვე ფასიანი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაოებს იმავე უცხოური ორგანიზაციები ჩაატარებენ, .გეგეჭკორის აზრით, ამ თანხას მესაკუთრე არ გადაიხდის. რაც შეეხება მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პროექტებს, მათი განხორციელება, შეიძლება, შეფერხდეს.

ახალ კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს მიწის პირველადი რეგისტრაციის უფასოდ ჩატარება.

აგრარული კომიტეტის გადაწყვეტილებით, მოსაკრებლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხს განიხილავენ პარლამენტის ხვალინდელ პლენარულ სხდომაზე.

### საქართველო მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო კონფერენციაში "ირანტრანზიტ-2002"

"საქართველო მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციაში „ირანტრაზიტ-2002", - აცნობეს „მედია-ნიუსს" ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში.

კონფერენცია 11-12 ივნისს ირანში გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ კავკასიის, აზიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი.

კონფერენციაზე განიხილავენ ამ რეგიონებში მოქმედი სატრანსპორტო დერეფნების განვითარების საკითხებს და სამომავლო გეგმებს, დერეფნების ინტეგრაციის პერსპექტივებს.

"საქართველოსთვის ეს შეხვედრა იმით არის საინტერესო, რომ, მოქმედი აღმოსავლეთ-დასავლეთის ტრასეკას დერეფნის განვითარების საკითხებთან ერთად, განიხილავენ რუსეთ-საქართველო-ირანის მიმართულების დერეფნის შექმნის პერსპექტივებსაც," - აცხადებენ სამინისტროში.

### პარლამენტი ლიცენზირების შესახებ კანონში ცვლილებებს შეიტანს

"ოთხშაბათს, 12 ივნისს, აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე განიხილავენ ლიცენზირების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხს," — აცნობა „მედია-ნიუსს" კომიტეტის თავმჯდომარემ ბეჟან გონაშვილმა.

„სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ ვილებთ კანონს, შემდგომში კი ამ კანონში ცვლილებების შეტანას ვიწყებთ", — თქვა გონაშვილმა.

ლიცენზირების შესახებ კანონი მიღებული იყო მიმდინარე წლის მაისში, მაგრამ მასში არ არის გათვალისწინებული აგრარული სფეროსათვის ორი აუცილებელი მომენტი; პირველი — ეს არის სანერგე მეურნეობების ლიცენზირება, მეორე კი — ჰერბიციდების, პესტიციდებისა და მცენარეთა დაცვის პრეპარატების ლიცენზირება.

ბეჟან გონაშვილის თქმით, ამ ორი საკითხის გაუთვალისწინებლობა ხელს შეუწყობს ფალსიფიცირებული პრეპარატების შემოტანას. შარშან კახეთში ამის გამო ვენახების დიდი ნაწილი განადგურდა. ფალსიფიცირებული შხამქიმიკატების გამოყენების შედეგებმა კი, შეიძლება, არა მარტო უახლოეს მომავალში, არამედ რამდენიმე წლის შემდეგაც იჩინოს თავი.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 31 მაისი - 6 ივნისის მდგომარეობით




### მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | Euro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6859 | 0.6430 | 0.0055 |
| US$ | 1.4579 | | 0.9374 | 0.0080 |
| Euro | 1.5553 | 1.0668 | | 0.0086 |
| ¥en | 181.46 | 124.46 | 116.67 | |

### თბსბ-ს ვაჭრობის შედეგების საფუძველზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2002 წლის 6 ივნისიდან დაადგინა უცხოური ვალუტების მიმართ ლარის შემდეგი გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.0846 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2363 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4190 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2200 | ლარი |
| თურქული ლირა | 1000000 | 1.5465 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1787 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0707 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.4566 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3812 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1441 | ლარი |

# როგორ მოიგო კუჩმამ წაგებული საპარლამენტო არჩევნები



პირველი გვერდიდან

აპრილში იუშჩენკოს, ტიმოშჩენკოს, სოციალისტებისა და კომუნისტების ფრაქციებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მათ მოიგეს არჩევნები და პარლამენტარიზმის დაუწერელი კანონის თანახმად, პარლამენტის ხელმძღვანელობა (სპიკერი, პირველი ვიცე-სპიკერი და ვიცე-სპიკერი) მათი რიგებიდან უნდა არჩეულიყო. როგორც მოსალოდნელი იყო, კუჩმამ მათ ამ პოზიციას მხარი არ დაუჭირა. მაშინ იუშჩენკომ შემოიტანა წინადადება, რომლის თანახმადაც "ერთიანი უკრაინა" მიიღებდა სპიკერის ადგილს, ხოლო თვითონ პრემიერ-მინისტრი გახდებოდა. ხელისუფლებამ, რომელსაც 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ არ სურს პოპულარულ რეფორმატორს, იუშჩენკოს, დამატებითი ბერკეტები შეუქმნას, ამ წინადადებასაც უარით უპასუხა.

და დაიწყო პოლიტიკური შანტაჟისა და დაშინების იმგვარი პროცესი, რომელიც კუჩმას ყოფილი მცველის მელნიჩენკოს მიერ ჩაწერილ აუდიო-კასეტებზეა აღწერილი. "ჩვენი უკრაინის" ფრაქციის წევრთა რაოდენობა სრულიად მოულოდნელად 102-დან 182-მდე გაიზარდა. იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამგვარი მანიპულაცია, საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს იელის უნივერსიტეტის პროფესორი კიტ დარდენი. მისი თქმით, პოლიტიკური მოღვაწის შანტაჟი ფართოდ გავრცელებული და მიღებული მოვლენაა. შანტაჟის საფუძველს ყოვლისმომცველი კორუფცია წარმოადგენს. ხელისუფლება, როგორც წესი, თვალს ხუჭავს კორუფციაზე, მაგრამ კომპრომატს ყველა პოტენციურ პოლიტიკურ ოპონენტზე ინახავს. საჭირო მომენტში, პოლიტიკოსს იბარებენ გენერალურ პროკურატურაში ან საგადასახადო ინსპექციაში, წარსულ ცოდვებს ახსენებენ და დაპატიმრებით ან, უფრო ხშირად, ბიზნესის განადგურებით ემუქრებიან. პოლიტიკოსთა და, მათ შორის, დეპუტატთა დიდი ნაწილიც, რომელიც ბიზნესის მფლობელია ან ადრე საეჭვო მეთოდებით გამდიდრდა, იძულებულია პოზიციები დათმოს. ასე იქცევა "ქვეყნის დამანგრეველი" კორუფცია პრეზიდენტის ძალაუფლების საყრდენად. ამგვარ მეთოდებს მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეზე დიდი წარმატებით იყენებენ, მაგრამ აქაც კი უკრაინა განსაკუთრებით შთამბეჭდავი მაგალითია.

"რადიო თავისუფლების" უკრაინის ბიუროს ცნობით, მელნიჩენკოს ერთ-ერთ კასეტაზე ჩაწერილია საუბარი პრეზიდენტსა და ოლიგარქ დეპუტატ ვოლკოვს შორის. ჩანაწერში პრეზიდენტი ეკითხება ვოლკოვს, თუ რატომ მოითხოვს იგი სადეპუტატო იმუნიტეტის გაუქმებას. იმიტომ, პასუხობს ვოლკოვი, რომ ამ ქვეყანაში ერთადერთი იმუნიტეტი თქვენ ხართ, სხვა ყველაფერი უმნიშვნელოაო.

ამგვარი მეთოდებით, ბლოკი "ერთიანი უკრაინა" 80 მაჟორიტარი დეპუტატით გამდიდრდა. როდესაც აღმოჩნდა, რომ ხმათა ეს რაოდენობაც არ იქნებოდა საკმარისი, ხელისუფლებამ იუშჩენკოს ბლოკიდან 7 დეპუტატის ხმის "დათრევაც" მოახერხა.

პირშიჩალაგამოვლებულმა ოთხეულმა (იუშჩენკო, ტიმოშჩენკო, სოციალისტები და კომუნისტები) ისღა მოახერხა, რომ აშკარა ოპოზიციაში გადასვლით დაიმუქრა, რაც უკრაინისათვის საკმაოდ გაბედულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

თუ ოთხეული მართლაც გადავიდა ოპოზიციაში (ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ისინი "ერთიანი უკრაინა" – სოციალ-დემოკრატების ტანდემთან კომიტეტების თავმჯდომარეების სავარძლების გაყოფას ვერ მოახერხებენ), მაშინ გამოვა, რომ პოლიტიკურ ძალთა განაწილება ქვეყნის გეოგრაფიულ დაყოფას დაემთხვევა. აღმოჩნდება, რომ აღმოსავლეთ-უკრაინული პარტიები ხელისუფლების სათავეში იმყოფებიან, ხოლო დასავლეთ უკრაინის რჩეულები – ოპოზიციაში. "ერთიანი უკრაინა" აღმოსავლეთელი ოლიგარქების პარტიაა, ხოლო მისი პარტნიორი "სოციალ-დემოკრატიული პარტია" თითქმის მთლიანად დონეცკის კლანს წარმოადგენს.

ბუნებრივია, მუდმივი სკანდალები და ყოვლისმომცველი კორუფცია ძალზე ცუდად მოქმედებს უკრაინის საერთაშორისო იმიჯზე, მაგრამ, როგორც ჩანს, პოსტსაბჭოური ქვეყნების ლიდერებს მტკიცედ სწამთ, რომ თუ საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებს სწორად დაალაგებ და საერთაშორისო არენაზე მხარს "ვისაც საჭიროა, იმას დაუჭერ", ქვეყნის შიგნით შეგიძლია, რაც გინდა, ის აკეთო.

სულ რამდენიმე დღის წინ უკრაინის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს მდივანმა მარჩუკმა განაცხადა, რომ უკრაინას ნატო-ში გაწევრიანება აქვს განზრახული და ამის შესახებ ალიანსს ოფიციალურ განაცხადს სულ მალე წარუდგენს.

# ახლო აღმოსავლეთში ვითარება არ იცვლება

ლინა პანტელეევა

ოთხშაბათს დილით ისრაელის ჩრდილოეთში მეგიდოს გზაჯვარედინზე პალესტინელმა ტერორისტმა კამიკაძემ სამგზავრო ავტობუსი ააფეთქა, რის შედეგადაც დაიღუპა 17, ხოლო დაიჭრა 30-მდე ადამიანი. პოლიციელთა ინფორმაციით, ავტობუსის მგზავრები ძირითადად ებრაელი სამხედროები იყვნენ. ტერაქტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა პალესტინურმა დაჯგუფებამ "ისლამურმა ჯიჰადმა" აიღო. აპრილის ბოლოდან ასეთი მასშტაბის ტერაქტი ისრაელში არ მომხდარა.

ტერაქტმა ისრაელის მთავრობის მწვავე რეაქცია გამოიწვია და სამშვიდობო პროცესის განახლების პერსპექტივა კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა. როგორც ჩანს, ბოლო პერიოდში რეგიონში უცხოელი დიპლომატების გახშირებული ვიზიტების მიუხედავად, ვითარება არ იცვლება. საერთაშორისო დიპლომატიური ძალისხმევის შედეგი იყო არაფატის თანხმობა ადმინისტრაციის რეფორმირების დაწყებაზე. რეგიონში აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს დირექტორის ჯორჯ ტენეტის ვიზიტს კი კიდევ უფრო რეალური შედეგი მოჰყვა – არაფატი უსაფრთხოების ძალების რეორგანიზაციაზე, ხოლო შარონი კი დასავლეთ სანაპიროსა და ისრაელს შორის 110 კმ-იანი ღობის აღმართვაზე დათანხმდა. ეს ღონისძიებები ტერაქტების აღკვეთას ისახავს მიზნად. ამგვარად, თუ ამ ღონისძიებების შედეგად, ტერორისტული აქტები შეწყდა, ისრაელის მიერ მოლაპარაკებების დაწყებისთვის წამოყენებული ყველა პირობა – პალესტინური ადმინისტრაციის რეფორმა და ტერაქტების შეჩერება - შესრულებული იქნება. თუმცა, მოლაპარაკებების განახლება უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ებრაულ მხარეს რეფორმების გატარებისა და ტერორისტული აქტების აღკვეთის არ სჯერა. გარდა ამისა, მოწინააღმდეგეები ჰყავს შარონის "შემოღობვის" გადაწყვეტილებასაც, რადგან ებრაელები მომავალში ღობის პალესტინის სახელმწიფოს საზღვრებად გადაქცევის რეალურ საფრთხეს ხედავენ.

ამის მიუხედავად, მსოფლიო თანამეგობრობა მაინც ცდილობს, მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისკენ უბიძგოს. 10 ივნისს ვაშინგტონში არიელ შარონი ბუშს შეხვდება. მანამდე კი კემპ-დევიდში შედგება ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის შეხვედრა ბუშთან. "ნიუ-იორკ ტაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში მუბარაქმა განაცხადა, რომ ეცდება, დაარწმუნოს ბუში მომავალი წლის დასაწყისისთვის პალესტინის სახელმწიფო აღიაროს. მუბარაქმა ბუშთან შეხვედრისთვის სამშვიდობო გეგმა მოამზადა, რომლის თანახმად, ჯერ პალესტინის სახელმწიფოს აღიარება უნდა მოხდეს, ხოლო სადავო საკითხებზე მოლაპარაკება (საზღვრების, ლტოლვილების, ებრაული დასახლებებისა და იერუსალიმის ბედის შესახებ) კი უკვე ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის გაიმართება. მუბარაქის აზრით, არაფატი სახელმწიფოს სათავეში უნდა დარჩეს, რადგან პალესტინელების მიერ ნებისმიერი ახალი ლიდერი ისრაელის მიერ იძულებით თავს მოხვეულად აღიქმება. თუმცა, მისი აზრით, თანდათან არაფატს მხოლოდ "ცერემონიული როლი" უნდა შეუნარჩუნონ.

აღსანიშნავია, რომ ღაზის სექტორში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პალესტინელთა უმრავლესობა ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების მომხრეა. სამშვიდობო პროცესის განახლების იდეას გამოკითხულთა 63% იწონებს.

უახლოეს მომავალში სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლების რეალურობა, ალბათ, შარონის ბუშთან შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.





© GRAPHIC NEWS

## ინფორმაცია

### ეუთო-ს ელჩი ბელარუსიდან გააძევეს

ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბელარუსში ეუთო-ს მისიის მოქმედ ხელმძღვანელს, ენდრიუ კარპენტერს ვიზის გაგრძელებაზე უარი განუცხადა. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, კარპენტერი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორია დატოვოს.

როიტერის ცნობით, კარპენტერის წასვლის შემდეგ ეუთო-ს მინსკის ოფისში სულ ორი დიპლომატი დარჩება. ლუკაშენკო არასოდეს მალავდა თავის ანტიპატიას ამ ორგანიზაციისადმი და მას ადგილობრივი ოპოზიციის მხარდაჭერაში ადანაშაულებდა. ეუთო-მ, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მკაცრად გააკრიტიკეს 2000 წელს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები.

ქვეყანაში მყოფი უცხოელი დიპლომატები აცხადებენ, რომ მათი მოთმინება იწურება. ლუკაშენკოს გამოხტომები უკვე ყოველგვარ საზღვარს სცილდება. რამდენიმე დღის წინ, მინსკში აიკრძალა მაკდონალდსის მშენებლობა, იმ მოტივით, რომ ბელარუსის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ბიგ მაკი მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

სამწუხაროდ, პრაქტიკულად ერთადერთი, ვინც მინსკში საპროტესტო დემონსტრაციებს აწყობს, ფეხბურთის გულშემატკივრები არიან, რომლებიც უკმაყოფილო არიან იმით, რომ ქვეყანამ ვერ მოახერხა მატჩების ტრანსლირების უფლების შესყიდვა.

### უკანონო იმიგრაცია: ევროკავშირის ახალი პრიორიტეტი

ესპანეთის პრემიერის ხოსე მარია აზნარის განცხადებით, უკანონო იმიგრაციის თემა წამყვანი იქნება 21-22 ივნისს სევილიაში დაგეგმილ ევროკავშირის სამიტზე. "იმედი მაქვს, სევილიაში კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას შევძლებთ და ყველას დავანახებთ, რომ ევროკავშირი უკანონო იმიგრაციასთან ბრძოლას სერიოზულად აპირებს", – განაცხადა ფინეთში მყოფმა ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა.

უკანონო იმიგრაცია და მასთან დაკავშირებული დამნაშავეობის ზრდა ევროპის ქვეყნებში მემარჯვენეთა საყვარელი თემებია. ფორტაინისა და ლე პენის პარტიების წარმატებებმა ჰოლანდიასა და საფრანგეთში ნათლად აჩვენა, რომ ეს საკითხები ამომრჩეველთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და "პოლიტიკურ კლასს" მისი იგნორირება კარგს არაფერს მოუტანს.

ევროპის რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის, დანიამ და იტალიამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაამკაცრა იმიგრაციული კანონმდებლობა.

ევროკავშირის ანტი-იმიგრაციულ სტრატეგიაში მთავარ ადგილს დაიკავებს კავშირის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და მათთვის საზღვრის გამაგრებისათვის საფინანსო და ტექნიკური დახმარების გაზრდა. სამიტზე, აგრეთვე, განიხილავენ კავშირის ერთობლივი სასაზღვრო პოლიციის შექმნის იდეას, რომელიც ძირითადად აეროპორტებში იმუშავებს (REUTERS).

### 11 სექტემბრის ტექრატების ორგანიზატორის სახელი ცნობილია

აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს გამომძიებლებმა 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერორისტული აქტების მთავარი ორგანიზატორის სახელი დაადგინეს. თეთრი სახლის ადმინისტრაციის ერთ-ერთი წყაროს თანახმად, ეს პიროვნება უსამა ბენ ლადენის ერთ-ერთი თანამებრძოლი, ქუვეიტის მოქალაქე ხალიდ შეიჰ მოჰამედი გახლავთ, რომელიც ფედერალური ბიუროს მიერ ძებნილ საშიშ ტერორისტთა ნუსხაშია. აშშ-ს სპეცსამსახურების ინფორმაციით, მოჰამედი ამჟამად ან ავღანეთში, ან პკისტანში იმყოფება. (Reuters)

### მექრთამეობა სამხრეთ კორეაში

ოთხშაბათს სამხრეთ კორეის პრეზიდენტის - კიმ დე ჩჟუნის შვილს მექრთამეობასა და გადასახადებისგან თავის არიდებაში ოფიციალურად წაუყენეს ბრალდება. პრეზიდენტის შვილი კიმ ჰინ გოლი 18 მაისს 2,9 მლნ. დოლარის ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. კორეულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრალდებულმა აღიარა, რომ გავლენიანი ლობისტისგან, დაახლოებით, 1,8 მლნ. დოლარის ქრთამი აიღო. ლობისტი პრეზიდენტის შვილს ასეთ საჩუქრებს ხშირად უკეთებდა, რათა იგი კომპანია "Tiger Pools Korea"-ს სპორტული ლატარიის ჩატარებაზე ლიცენზიის მიღებაში დახმარებოდა. თუ ბრალდება დამტკიცდა, პრეზიდენტის შვილს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ელის. (Reuters)

### რამსფელდი ბრიუსელში

ოთხშაბათს ბრიუსელში, ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების სხდომის ფარგლებში, აშშ-რუსეთის თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელების დონალდ რამსფელდისა და სერგეი ივანოვის ორმხრივი შეხვედრა შედგება. მინისტრები სამხრეთ აზიაში შექმნილ ვითარებას განიხილავენ. მხარეები, სავარაუდოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივებს განიხილავენ. დაგეგმილია რამსფელდის ორმხრივი შეხვედრები სხვა ქვეყნების მინისტრებთანაც. ბრიუსელიდან რამსფელდი პაკისტანსა და ინდოეთში ჩავა. ("რია ნოვოსტი")

### რუსეთს ამერიკელებზე ალერგია არა აქვს

ჩინეთის ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთს "არა აქვს განსაკუთრებული ალერგია" ცენტრალურ აზიაში ამერიკული ჯარების დროებით ყოფნაზე. პუტინის განცხადებით, "ავღანეთის ტერიტორიაზე ტერორიზმის კერის აღმოფხვრაში მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევის მხარდაჭერისას რუსეთი როგორც საკუთარი, ისე დსთ-ს ფარგლებში თავისი პარტნიორების უსაფრთხოების ინტერესებით ხელმძღვანლობდა". პუტინი მიიჩნევს, რომ ცენტრალურ აზიაში სტაბილურობის შენარჩუნება პირდაპირ კავშირშია ავღანეთში შექმნილ ვითარებასთან. ("გაზეტა.რუ")

### კოფი ანანი მოსკოვშია

სამშაბათს გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი მოსკოვში ჩავიდა. დღეს დაგეგმილია კოფი ანანის მოლაპარაკებები რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან – პრემიერ-მინისტრთან მიხაილ კასიანოვთან, სახელმწიფო დუმის სპიკერთან გენადი სელეზნიოვთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან იგორ ივანოვთან. გენერალური მდივანი, შესაძლოა, პრეზიდენტ პუტინსაც შეხვდეს. (ინტერფაქსი)

### რუსეთი ნატო-ს გაფართოების წინააღმდეგია

ოთხშაბათს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა დაადასტურა, რომ რუსეთი ნოემბერში ნატო-ს პრაღის სამიტში მონაწილეობას არ მიიღებს. მან განაცხადა, რომ მოსკოვი ნატო-ს შემდგომი გაფართოების წინააღმდეგია, ხოლო პრაღის სამიტის დღის წესრიგის მთავარი საკითხი - სწორედ ალიანსში ახალი წევრების მიღებაა. (იტარ-ტასი)

ინფორმაცია

## ყოველი მეოთხე უმუშევარი უმაღლესი განათლებითაა

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გათვლებით, უმუშევართა შორის ყოველი მესამე საშუალო განათლებითაა, ხოლო ყოველი მეოთხე – უმაღლესი განათლებით. უმუშევართა 40 პროცენტზე მეტი, ანუ თითქმის ყოველი მეორე მუშაა, ხოლო ყოველი მესამე — სპეციალისტი.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა 2002 წლის აპრილში, იანვართან შედარებით, თითქმის 8-ჯერ, მარტთან შედარებით კი 2, 6-ჯერ გაიზარდა.

პირველი მაისის მდგომარეობით, დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობამ 12, 6 ათასი კაცი შეადგინა. რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობამ ამ დროისთვის 11, 6 ათასი ადამიანი შეადგინა.

უმუშევართა საერთო რაოდენობაში შემცირდა ქალების წილი. თუ იანვარში ის 57, 3 პროცენტი იყო, აპრილში 36, 2 პროცენტი აღინიშნა.

რეგისტრირებული უმუშევრების მეოთხედი 30 წლამდე ასაკის, ხოლო 17 პროცენტი — 50 წელს გადაცილებულნი არიან.

2002 წლის აპრილში დასაქმების სამსახურების მეშვეობით დასაქმდა 250 კაცი, სულ წლის დასაწყისიდან კი – 582 კაცი.

## შარაძეს მხოლოდ ბურჯანაძის იმედი აქვს

საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ წევრი გურამ შარაძე იმედს გამოთქვამს, რომ პარლამენტის საგაზაფხულო სესია სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტს აუცილებლად განიხილავს.

„იმედი მაქვს, რომ თქვენი კონტროლის გარეშე ამ საკითხს სხდომაზე არ გაიტანენ“, — მიმართა შარაძემ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს.

შარაძის თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მიზეზით 17 მაისიდან პარლამენტის მუშაობა პარალიზებული იყო, მაგრამ სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტი მიმდინარე კვირას პლენარული სხდომის დღის წესრიგში ვერ მოხვდა.

ცნობილია, რომ სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტის განხილვა ორი კვირის წინათ, პროექტის არასრულყოფილების მოტივით, გურამ შარაძისა და სხვა დეპუტატთა დაჟინებული მოთხოვნით, დღის წესრიგიდან ამოიღეს.

განათლება

# ქართველთა ევრო-აზიური ხასიათი და ტესტირება

### რომელი კლიმატური მიზეზი დააყოვნებს რეფორმას და როგორ ტესტირებას ჩაუტარებდნენ ქართველებს სპარტელები



ნუთშესვენება

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დალი კუპრავა

არსებობს არგუმენტირებული მოსაზრება, რომ ევროპა, უძველესი დროიდან, საკუთარ თავს აზიასთან დაპირისპირებაში შეიცნობდა. ჰიპოკრატე და არისტოტელე, სხვადასხვანაირი ხასიათისთვის, ერებს და ადამიანებს კი არ სდებდნენ ბრალს, არამედ - კლიმატს.

არისტოტელეს თანახმად, სწორედ ცივი ჰავის ბრალია, რომ ევროპელები არიან მამაცები, მაგრამ არ გამოირჩევიან ნიჭით და ჭკუა-გონებით; ევროპელებს შორის სიახლოვე სუსტია; მათ არ შეუძლიათ სხვაზე ბატონობა და არ უყვართ დამონებულ მდგომარეობაში ყოფნა. ბერძენი ფილოსოფოსი კლიმატს აბრალებს აზიურ ხასიათსაც: აზიელები ნიჭიერები არიან, მაგრამ არ ჰყოფნით სიმამაცე და ნებისყოფა. ამიტომ ისინი მონობისკენაც არიან მიდრეკილები და ბატონობისკენაც გავეშებით მიისწრაფიან.

გუშინ საქართველოს 67 000-მდე მოზარდი ახალი ქართული ხასიათის წრთობის პროცესში ჩაერთო - საქართველოს სკოლებში ჩატარდა მეცხრეკლასელთა ტესტირება მათემატიკაში.

უდავოა, რომ ქართულ მათემატიკურ სკოლას დიდებული წარსული აქვს; მართალია, თვითონ ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით მის შესახებ, მაგრამ საზღვარგარეთ ღირსეულად არის დაფასებული დღევანდელი ქართული მათემატიკა და ძალიან საჭიროა ვიცოდეთ, რა მოგველის ხვალ.

ზოგადქართველთა და, მათ შორის, ბავშვთა ნიჭიერებაც, არისტოტელეს აზიური მოდელის მაჩვენებელია. ქართული კარგად იცისო, დღეს ვერაფერი თავის მოწონებაა, მაგრამ მათემატიკა ეხერხებაო, რომ იტყვიან ბავშვზე, ეს ჯერ კიდევ რამეა. სიზარმაცეც, რომელიც ჩვენი ნიჭიერების აღნიშვნას მოჰყვება ხოლმე, ჩვენი აზიური უნებისყოფობის ბრალი ყოფილა და არა ქართველობის.

ასე რომ, ჩვენს აზიურხასიათიან მეცხრეკლასელებს გუშინ მოეთხოვებოდათ, არ გადაეწერათ ერთმანეთისგან, ანუ ერთეულებისგან. მათ ორსაათნახევრის განმავლობაში უნდა ემუშავათ ტესტებზე და დაეგროვებინათ ქულათა მაქსიმუმის მინიმუმი - 30. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამას ვერ შეძლებდნენ, ანუ სუპერთეორიული ვარიანტით, შემოდგომაზე შედარებით იოლ ვარიანტს შესთავაზებდნენ.

უფროსობას მოეთხოვებოდა, რომ სკოლებში შეექმნათ პირობები: დაედგათ მერხები ერთი მეტრის დაშორებით, დაენიშნათ არაპროფესიონალი და ნეიტრალური მეთვალყურეები და მოსწავლეებს არ მიხმარებოდნენ.

ერთ-ერთ სკოლაში, ტესტების გაცნობისთანავე, მოსწავლეებმა აღნიშნეს, ძალიან ადვილი შეკითხვებიაო. ეს შეფასება-რეპლიკა, ალბათ, ყველა სკოლაში გაისმა.

დამკვირვებელს მოეთხოვებოდა "დაკვირვება" და სხვა არაფერი, ბოლოს კი - მოსწავლეთა ნამუშევრებში პასუხგაუცემელი შეკითხვების აღნიშვნა.

ერთ-ერთმა გაკვირვებულმა დამკვირვებელმა შეამჩნია, რომ: სკოლაში საჭიროზე მეტი ადამიანი ტრიალებდა, უფრო კი დამალობანას თამაშობდნენ; მოსწავლეები ცდილობდნენ, მაგრამ უერთმანეთოდ ყოფნა ვერ შეძლეს (გაიხსენეთ ევროპული ხასიათი და ისიც, რომ ხასიათი არ იცვლება); 44 მოსწავლის ნამუშევარში მხოლოდ 6 პასუხგაუცემელი შეკითხვა აღმოჩნდა. ალბათ, ასე იყო ყველა სკოლაში.

დამკვირვებლის რეკომენდაციით, თუ აზიურხასიათიანი მოსწავლე-მასწავლებელ-მშობლის ტრიადა არ მოინდომებს, მხოლოდ ორიენტაცია ვერ უშველით და ასე ვერასდროს მიხვდებიან, რეფორმა კარგია თუ ცუდი.

ნურც დაკარგული გაზაფხულისა და დაგვიანებული ზაფხულის იმედად დარჩებიანო, თქვა დამკვირვებელმა, რადგან ჰავის ცვლა დროებითია.

ინფორმაცია

## „მწვანეების„ ბიზნესი

თამარ მაისურაძე

უახლოეს მომავალში უცხოელ ტურისტებს საქართველოს ბუნების წითელ წიგნში შეტანილი ადგილებისა და პირველყოფილი ადამიანის ნასახლარის დათვალიერების საშუალება მიეცემათ. ეს იდეა "მწვანეთა პარტიის" ლიდერს გიორგი გაჩეჩილაძეს ეკუთვნის. **"ეკო-ტურიზმი მოგვცემს იმის საშუალებას, რომ უცხოელებმა საქართველოს მშვენიერი ბუნება დაათვალიერონ,"** - ამბობს გიორგი გაჩეჩილაძე. ეს იდეა მისთვის თავად უცხოელებს შეუთავაზებიათ და იმასაც დაჰპირებიან, საქართველოს ბუნებას რეკლამას გავუკეთებთო.

ტურისტთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას "მწვანეები" საკუთარ თავზე იღებენ. **"საქართველოს უმეტეს რაიონებში ჩვენი რაიონული ორგანიზაციები გვყავს. არსებობს ასევე ცალკეული დაცვის სამსახურები. მათთან ვითანამშრომლებთ და ჩვენს ტურისტებს ისინი დაიცავენ,"** - აცხადებს გაჩეჩილაძე.

ეკო-ტურიზმი, ბუნებრივია, ფასიანი იქნება, თუმცა, უცხოელები რა თანხას გადაიხდიან ამ სიამოვნებაში, ჯერჯერობით უცნობია.

საქართველოს "მწვანეთა პარტიამ" საკუთარი ბიზნესი ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის გვერდის ავლით დაიწყო. თუმცა, გაჩეჩილაძის თქმით, დღევანდელი კანონმდებლობით, იურიდიულ პირს ტურისტული საქმიანობის წამოწყების უფლება აქვს, ყველა ტურისტულ ორგანიზაციას შეუძლია ლიცენზიის გარეშე მუშაობა.

ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ვაჟა შუბლაძესთან დაკავშირება გმირობის ტოლფასია. კითხვა, - თუ ვინ აგებს პასუხს ტურისტის უსაფრთხოებაზე? - პასუხგაუცემელია. ეს სავსებით ბუნებრივი გახლავთ, რადგან საქართველოს აგროტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარის ლევან ფალავანდიშვილის თქმით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც კანონი ტურიზმის, ტურისტის უსაფრთხოების შესახებ არ არსებობს.

## დაიწყო კადრების შერჩევა

ჯანდაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრში გასაუბრება დაიწყო კომისიამ, რომელმაც დიღომში მშენებარე ეროვნული ჰოსპიტლისთვის კადრები უნდა შეარჩიოს. ჯერჯერობით ყველა ადგილი ვაკანტურია. ამ მხრივ პრივილეგია არავისთვის მიუნიჭებიათ. კონკურსზე გავლენ თვით იმ კლინიკის თანამშრომლებიც (ოთარ ღუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიის ცენტრი), რომლის ბაზაზეც შენდება ეროვნული ჰოსპიტალი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველას, ვისაც სპეციალობით მუშაობის მინიმუმ ხუთი წლის სტაჟი აქვს.

კომისიამ, რომელსაც შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინა ღუდუშაური ხელმძღვანელობს, გასაუბრება დაიწყო ეროვნული ჰოსპიტლის ანესთეზიოლოგიის განყოფილების გამგის ვაკანტური ადგილის დაკავების მსურველებით. ხუთი ასეთი მაძიებელიდან, ხუთივე ქვეყნის წამყვანი კლინიკების ანესთეზიოლოგის განყოფილებების გამგეები იყვნენ.

მათთვის სამსახურის შეცვლის ძირითადი მოტივაცია თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ კლინიკაში მუშაობა ყოფილა.

მაძიებელთა კვალიფიკაცია იმდენად მაღალია, რომ კომისია მძიმე არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე დღეში მოხდება. გასაუბრება 11 ივნისამდე გასტანს.

## მერიამ მხოლოდ ლილოს ნაგავსაყრელისთვის მოიცალა

ქეთი ქადაგიშვილი

*თბილისის საყოფაცხოვრებო, სამშენებლო და საწარმო ნარჩენების გაუნებელყოფას ოთხი - ლილოს, გლდანის, იაღლუჯასა და მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ნაგავსაყრელი ემსახურება. ოთხივე კარგა ხანია, ამოივსო და მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური ნაგავსაყრელებს, პერიოდულად, მიწას აყრის და წყალს ასხამს, მაგრამ ამითი ბევრი არაფერი კეთდება.*

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ლილოს ნაგავსაყრელზე, რომელიც ჯერ კიდევ 1998 წელს უნდა დახურულიყო, მაგრამ, უსახსრობის გამო, მერიამ ახალი ადგილი მხოლოდ ახლახან გამოძებნა. ჯერჯერობით კი ლილოზე ძველი, შემოუღობავი ნაგავსაყრელი ფუნქციონირებს. ქარის დროს ლილოს დასახლების მცხოვრებნი ნაგავსაყრელიდან წამოსული მავნე ნივთიერებებით გაჯერებულ ჰაერს სუნთქავენ. იქ დაყრილი საჭმლის ნარჩენებით კი მშიერი ადამიანები იკვებებიან. მერიამ ნაგავსაყრელის შემოსაღობად თანხების გამოყოფა ზედმეტ ხარჯად მიიჩნია. ქალაქის პოლიცია კი ნაგავსაყრელის "სტუმრებს" ვერ აკავებს. **"სულ ნაგავსაყრელს ხომ არ ვუყარაულებთ, შემოუღობავია და მოსახლეობას აქ მოხვედრა არ უჭირს,"** – თავს იმართლებენ პოლიციელები. ამის გამო, ნაგავსაყრელის ზედაპირს დეზინფექციასაც ვერ უტარებენ, იქ შესული ადამიანები მოიწამლებიან.

ლილოს დასახლების მცხოვრებლები ნაგავსაყრელის დახურვას, კარგა ხანია, ითხოვდნენ. მის გაუქმებაზე თბილისის აეროპორტის ადმინისტრაციაც იბრძოდა. ნაგავსაყრელი აეროპორტიდან 15 კილომეტრის დაცილებით უნდა მდებარეობდეს, ლილოს ნაგავსაყრელი კი აეროპორტისგან მხოლოდ 4 კილომეტრით არის დაშორებული. ნაგავსაყრელს მისეული ჩიტები, თვითმფრინავებს ეჯახებიან და აფრენაში ხელს უშლიან. შეწუხებულმა აეროპორტის ადმინისტრაციამ ბოლოს მთაწმიდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს მიმართა. სასამართლომ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და მერიას ნაგავსაყრელის გაუქმება მოსთხოვა. მერია იძულებული გახდა, ნაგავსაყრელისთვის ახალი ტერიტორიის გამონახვაზე უწინდელზე მეტი პასუხისმგებლობით ეზრუნა და ძველი ნაგავსაყრელის დახურვისა და ახლის მოსაწყობად თანხები გამოეყო.

ასე რომ, მოსახლეობისა და აეროპორტის ადმინისტრაციის ბრძოლამ შედეგი გამოიღო და დაახლოებით ერთ თვეში, ლილოს დასახლების ნაცვლად, ახალი ნაგავსაყრელი ქალაქგარეთ, გარდაბნის რაიონში გაიხსნება. თუმცა, არც სხვაგანაა ლილოს ნაგავსაყრელზე უკეთესი მდგომარეობა, მაგრამ კეთილმოწყობის სამსახური აცხადებს, რომ ისინი დედაქალაქს კიდევ 5 წლის განმავლობაში მოემსახურება. ამ ნაგავსაყრელების განახლებასაც, ალბათ, ხანგრძლივი ბრძოლა და ჩივილი დასჭირდება.

# თბილისის სასწავლებლებლებს 30 მილიონი სჭირდება

მანანა მანჯგალაძე

გაეროს განვითარების სააგენტოში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც მიწისძვრის შედეგების ანალიზსა და შეფასებას დაეთმო, ექსპერტთა დასკვნები წარმოადგინეს. დედაქალაქის ზარალი 140 მილონ დოლარად შეაფასდა, განისაზღვრა პრიორიტეტები. დასახმარებელი ობიექტების ნუსხაში პირველ რიგში შეიტანეს სკოლები და ბაგა-ბაღები, შემდეგ საავადმყოფოები და ბოლოს საცხოვრებელი სახლები. განათლების მინისტრის, ალექსანდრე კარტოზიას განცხადებით სასწავლო დაწესებულების ობიექტების აღსადგენად და სარეაბილიტაციოდ საჭიროა დაახლოებით 30 მილიონი დოლარი.

განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ზურაბ ქოჩიაშვილმა განსაკუთრებულად 80-მდე "ობიექტი" აღნიშნა. თბილისის მერიამ საგანგებო ფონდიც შექმნა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, მაგრამ ქოჩიაშვილის თქმით, სკოლებისა და ბაღებისათვის ერთი თეთრიც არ არის გამოყოფილი. არადა, მე-3 კატეგორიის ყველაზე მძიმე დაზიანება აღნიშნულია 6 სასწავლებლის შენობაში: მთაწმინდა-კრწანისის რაიონში – მე-4 და 150-ე ბაგა-ბაღები (ამ უკანასკნელში, კერძო "ქართული სასწავლებელია" განთავსებული); გლდანი-ნაძალადევში – მე-14 და 149-ე სკოლები, ისან-სამგორში – 110-ე სკოლა და ვაკე-საბურთალოში – 161-ე სკოლა.

ზურაბ ქოჩიაშვილმა სევდანარევი სიხარულით გვითხრა, რომ 150-ე ბაგა-ბაღისა და ი.ვეკუას სახელობის 42-ე სკოლის აღდგენითი სამუშაოების დასაფინანსებლად საარბრიუკენმა გამოიდო თავი. გერმანიის საელჩოს წარმომადგენლებმა არქიტექტურულ-საამშენებლო დოკუმენტაცია უკვე გადააგზავნეს თანამემამულეებთან.

განათლების მინისტრის ალექსანდრე კარტოზიას განცხადებით, პირველ სექტემბერს ახალი სასაწავლო წლის დაწყება იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწრაფად გამოინახება სახსრები დაზიანებული სკოლების აღსადგენად. როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, მსოფლიო ბანკი და გაეროს განვითარების სააგენტო მზად არიან დახმარებისთვის, თუმცა თანხის გამოყოფის ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის.

ჩვეულებრივი ისტორიები

# ესკალატორთან

ზაზა ფაჩუაშვილი

სამგორის მეტროს გასასვლელ გვირაბში ერთი ლამაზი დედა-შვილი შევიდა. ორივეს თეთრი საყელო და კმაყოფილი სახეები ჰქონდათ. პატარა გოგონას ხელში დიდი წითელი ვარდები ეკავა, აი ისეთები, პირველ კლასელებს მასწავლებლებთან რომ მიაქვთ ხოლმე. მიდიოდნენ ერთხანს ასე, მაგრამ, ესკალატორიდან გადმოსვლის შემდეგ ქალს ფერი წაუვიდა და გაშეშდა.

- ვაიმე, ვაიმე, ჩემი საფულე, როგორ ამომაცალეს, ვაიმე, ვაიმე1 – ჩურჩულებდა ის და ჟაკეტის ჯიბეებზე ხელებს გაუთავებლად იტყაპუნებდა. ამას მოჰყვა ადგილზე ტრიალი საათის ისრის ორივე მიმართულებით. ბავშვს თვალები გაუშტერდა და, როგორც ჩანს, ენაც ჩაუვარდა, კრინტიც არ დაუძრავს. მერე დედამ სირბილი დაიწყო. ჯერ სალაროებისკენ გაიქცა და, როცა ყველას ეგონა, რომ პოლიციაში მიჰქროდა, უკან ესკალატორისკენ მობრუნდა. ესკალატორთან შეჩერდა და ისევ სალაროებისკენ გავარდა.

წინ მას მოქანავე ვარდების თაიგულით დაფარული შვილი შეეჩეხა, რომელსაც დედამ, ალბათ პირველად ცხოვრებაში, უცნობივით ჩაუქროლა და ისევ გაუსწრო. ბავშვი მიტრიალდა და გაეკიდა. "ვაიმე, ვაიმე1" ჩირაღდანივით გაჰყვა ორივეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე.

მორიგი წრის შემდეგ მორბენალი სასოწარკვეთილება წამომეწია და დაკითხვა დამიწყო; თქვენ ჩემს გვერდზე იდექით და ვინ ამომაცალა, არ დაგინახავთო?1 მისმა ფერწასულობამ თვალი მომჭრა და თავი უსიტყვოდ გამაქნევინა.

- დიდი ბოდიში, თქვენ ჩემს გვერდზე იდექით1... – ისევ გაისმა საკბენ რეჟიმში ჩართული ხმა და ეჭვმიტანილის ბორკილების ჟღარუნი, რომელმაც კიდურები გამიქვავა.

ქალმა ჟაკეტის ჯიბეებს თავი დაანება და ჩემი ჯიბის საზღვარი დაარღვია. მაშინვე შეიკრა დამკვირვებლების წრე, მაგრამ საქმეს მოწმეები არ დასჭირვებია. დაზარალებულის საუბედუროდ, საფულე არც მეშვიდე ჯიბეში აღმოჩნდა.

"დიდი ბოდიში" ისევ "ვაიმემ" შეცვალა.

- ეგ იმის ბრალია, რო ფულს გარეთა ჯიბეში იდებს, - თქვა წრემ და გვირაბში გაიწელა. ქალი, ბავშვი და ვაიმე ერთმანეთის ანაბარა დარჩნენ.



## *საბავშვო თეატრი დასახურად ემეტებათ

***"ინტერ-პრესი"*** - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი, ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი დახურვის პირასაა მისული.

თეატრის მთავარი რეჟისორის გია კიტიას განცხადებით, რამდენიმე წელია, დუმბაძის სახელობის საბავშვო თეატრში სამი - მოზარდ მაყურებლის, თოჯინების ქართული და რუსული თეატრები გაერთიანდნენ. დამფუძნებლად კი ითვლებიან საქართველოს რკინიგზა, ქალაქის მერია და კულტურის სამინისტრო, რომლებიც არანაირ მხარდაჭერასა და დახმარებას არ უწევენ თეატრს.

თეატრის შენობის ჭერი ჩამონგრეულია, შენობა სავალალო მდგომარეობაშია და შეიძლება თეატრი დაიხუროს.

კიტიას განცხადებით, მსახიობები პროტესტის ნიშნად `აქციებს` აწყობენ, რომლებიც უფასო სპექტაკლების გამართვაში გამოიხატება. 1998 წლიდან მსახიობები პრეზიდენტთან შეხვედრას ამაოდ ცდილობენ.

## მხოლოდ ენთუზიაზმზე

***"ინტერ-პრესი"*** - საქართველოს სახელოვნებო სკოლების ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, ნაწილი კი თვითდაფინანსებაზეა გადასული. მოსწავლეთა რიცხვი ყოველწლიურად კლებულობს. პედაგოგები კი თვეების მანძილზე, უმეტესწილად, უხელფასოდ მუშაობენ, - განაცხადა საქართველოს კულტურის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის მრჩეველმა დოდო მამალაძემ.

მისი თქმით, დეპარტამენტის უკანასკნელი მონაცემებით, მოსწავლეთა რაოდენობა სამუსიკო სკოლებში - 33 699, სამხატვრო სკოლებში - 1 447 შეადგენს. სკოლების 78 პროცენტი თვითდაფინანსებაზეა გადასული. იმ პედაგოგთა საერთო რაოდენობა, რომლებიც ხელფასს ცენტრალური ბიუჯეტიდან იღებენ - 1, 654-ია, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი, 5, 923 მასწავლებელი ფინანსდება.

ყაზბეგისა და სვანეთის სახელოვნებო სკოლების მდგომარეობა, მიმოსვლის სირთულეების გამო, საერთოდ, გაურკვეველი რჩება.

მოქალაქის უფლებები

# როგორ მოვიქცეთ პოლიციასთან ურთიერთობისას

## კონკრეტული რჩევანი

ნიკოლოზ რურუა

სამოქალაქო საზოგადოებისთვის აუცილებელ და განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს ამ კონცეფციის მთავარი მოქმედი პირის - საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებში გათვითცნობიერებული მოქალაქის არსებობა. სწორედ ასეთი მოქალაქეა პოლიტიკურად აქტიური, სოციალურად შეგნებული, პროდუქტიული და "მოქალაქეობრივი ღირსების" სხვა ინგრედიენტების მატარებელი. სწორედ ასეთ მოქალაქეთა ერთობლიობა ქმნის თავისუფალ და ეგალიტარულ პრინციპებზე დაფუძნებულ დემოკრატიულ საზოგადოებას; საზოგადოებას, რომლის მოტყუება საკმაოდ ძნელია, დამონება კი შეუძლებელი. დასავლური ლიბერალური იურისპრუდენციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ლუის ბრენდაისმა ეს აზრი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: "სახელმწიფოში უმთავრესი თანამდებობა, ეს კერძო პირის, როგორც მოქალაქის თანამდებობაა".

თუმცა, იმ საზოგადოებებშიც კი, სადაც ინდივიდუალური თავისუფლება ტრადიციული ფასეულობაა, აუცილებლობად მიიჩნევენ მისი ყოველდღიური დაცვის საჭიროებას. ამ მიზეზითაა შექმნილი სამოქალაქო უფლებათა დამცველი მრავალი ორგანიზაცია ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი, როგორცი ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც თვლიან, რომ სამოქალაქო უფლებების სადარაჯოზე დგომა საყოველთაო თავისუფლების შენარჩუნების ერთადერთი პირობაა. შეერთებულ შტატებში სამოქალაქო უფლებების დამცველთა შორის აღიარებული ლიდერია "ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირი" (American Civil Liberties Union), რომელიც არაკომეციულ ორგანიზაციას წარმოადგენს. ეს კავშირი, მრავალ სხვა საქმიანობასთან ერთად, ეწევა საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რომელიც გამოიხატება ხალხისათვის პრაქტიკული სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდებაში.

ერთ-ერთ ასეთ სასარგებლო რჩევათა კრებულს წარმოადგენს ამ კავშირის მიერ შემუშავებული მოქალაქეთა უფლებების ჩამონათვალი, რომელიც მოქალაქეებს საკუთარ უფლებებში უკეთ გარკვევის საშუალებას აძლევს და მათ პოლიციასთან ურთიერთობის საუკეთესო მოდელს სთავაზობს. მკითხველს ვთავაზობთ ამ ბროშურის ქართულ სამართლებრივ ნორმებსა და რეალობაზე მორგებულ ვერსიას, რომლის გამოყენებაც პოლიციასთან შეხვედრისას შეეძლება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს.

**როგორ უნდა მოიქცეთ პოლიციასთან ურთიერთობისას:**

-იყავით თავშეკავებული და ზრდილობიანი. არასდროს მიაყენოთ სიტყვიერი შეურაცხყოფა პოლიციელს;

-შეინარჩუნეთ სიმშვიდე და აკონტროლეთ თქვენი სიტყვები, მოძრაობა და ემოციები;

-გახსოვდეთ, რომ ყველაფერი, რასაც იტყვით, შეიძლება თქვენს წინააღმდეგ იყოს გამოყენებული;

-გქონდეთ ხელები იმგვარ პოზიციაში, რომ პოლიციელმა მათი დანახვა შეძლოს;

-არ შეეცადოთ გაქცევა და არ შეეხოთ პოლიციელს;

-არ გაუწიოთ ფიზიკური წინააღმდეგობა მაშინაც კი, თუ გჯერათ, რომ უდანაშაულო ხართ;

-ნუ უსაყვედურებთ პოლიციელს, რომ ის დამნაშავეა და ნუ დაემუქრებით ჩივილით;

-ნუ გააკეთებთ განცხადებებს კონკრეტული ინციდენტის შესახებ. მოითხოვეთ ადვოკატი დაკავებისთანავე;

-დაიმახსოვრეთ პოლიციელის გვარი და მისი მანქანის ნომერი;

-ჩაიწერეთ ყველაფერი, რაც გახსოვთ რაც შეიძლება მალე;

-ეცადეთ მოწმეების, მათი სახელებისა და სატელეფონო ნომრების ჩაწერა;

-თუ მიღებული გაქვთ სხეულის დაზიანებები, გადაიღეთ მათი ფოტოსურათები რაც შეიძლება მალე, მაგრამ გახსოვდეთ, რომ პირველი სამედიცინო დახმარება უმთავრესია;

-თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები დაირღვა, შეგიძლიათ წერილობით მიმართოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, საკუთარ ადვოკატს და, მისი საშუალებით, სასამართლოს, მასმედიის საშუალებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, და სახალხო დამცველს.

**თუ პოლიციამ დასაკითხად გაგაჩერათ:**

-პოლიციის კითხვებზე პასუხის გაუცემლობა არ არის დანაშაული, მაგრამ ამან შესაძლოა პოლიცია დააეჭვოს. არ შეიძლება ქუჩაში დაპატიმრებული იყოთ მხოლოდ იმისათვის, რომ საკუთარი ვინაობა არ გაამხილეთ;

-პოლიციას შეუძლია თქვენი ტანსაცმლის გარეგნული დათვალიერება, თუ გაუჩნდა ეჭვი, რომ შეიარაღებული ხართ. ნუ გაუწევთ ფიზიკურ წინააღმდეგობას, მაგრამ ნათლად დააფიქსირეთ, რომ ყოველგვარი ჩხრეკის წინააღმდეგი ხართ;

-იკითხეთ, ხართ თუ არა დაპატიმრებული. თუ დადებითი პასუხი მიიღეთ, გაქვთ უფლება იკითხოთ დაპატიმრების მიზეზი;

-ნუ გალანძღავთ პოლიციელს და ნუ შეეცდებით გაქცევას მაშინაც კი, თუ თვლით, რომ ის, რაც ხდება, არის გაუმართლებელი. ამან შესაძლოა პოლიციას თქვენი დაპატიმრების საბაბი მისცეს.

**თუ საკუთარი მანქანით გაგაჩერეს:**

-მოთხოვნისას უჩვენეთ თქვენი მართვის მოწმობა, დაზღვევის ბარათი და პირადობის მოწმობა. თქვენი მანქანის გაჩხრეკა პოლიციას შეუძლია მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. იმისათვის, რომ დაიცვათ საკუთარი უფლებები, განაცხადეთ, რომ ჩხრეკის წინააღმდეგი ხართ. პოლიციას არ აქვს უფლება თქვენი დაპატიმრებისა მხოლოდ იმისათვის, რომ ჩხრეკის წინააღმდეგი ხართ;

-თუ პოლიცია გამოწერს თქვენს მიერ დარღვეული რეგულაციის თუნდაც მცდარ ოქმს, მოაწერეთ მას ხელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, პოლიციელს თქვენი დაპატიმრების საბაბი მიეცეს;

-თუ პოლიციელს ეჭვი გაუჩნდა, რომ თქვენ ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ინტოქსიკაციის ქვეშ იმყოფებით, მას აქვს თქვენი შემოწმების უფლება.

**თუ დაპატიმრებული ხართ და მიგიყვანეს პოლიციის განყოფილებაში:**

-გახსოვდეთ, რომ გაქვთ დუმილისა და პოლიციასთან საუბრამდე საკუთარ ადვოკატთან კონსულტაციის უფლება. გაქვთ უფლება, არ გაუმხილოთ პოლიციას არაფერი საკუთარი სახელისა და მისამართის გარდა. ნუ ეცდებით, თავის სამართლებელი მიზეზების ჩამოთვლას. საკუთარი თავდაცვის საშუალება თქვენ, ადვოკატის დახმარების საშუალებით, მოგვიანებით, სასამართლოში მოგეცემათ.

-მოითხოვეთ თქვენი ადვოკატი დაუყოვნებლივ. თუ ამისთვის აუცილებელი სახსრები არ გაგაჩნიათ, მოითხოვეთ სახაზინო ადვოკატი, რომელიც კანონით გეკუთვნით. ნუ იტყვით ნურაფერს საკუთარი ადვოკატის გარეშე;

-დაკავებიდან კეთილგონიერ ვადაში გაქვთ უფლება დაურეკოთ საკუთარ ადვოკატს, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენ საუბარს შეიძლება პოლიცია ისმენდეს;

-ნუ მიიღებთ თქვენს საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს საკუთარ ადვოკატთან კონსულტაციის გარეშე.

ვიმედოვნებთ, რომ მოწოდებული ინფორმაცია გამოსადეგი და, შესაბამისად, სასარგებლო იქნება ჩვენი მკითხველისათვის. ზემოთ მოყვანილი უფლებებისა და რჩევების დამახსოვრება, ჩვენი რწმენით, არ უნდა წარმოადგენდეს სირთულეს, რამდენადაც მათი უმეტესობა უბრალო კეთილგონიერებიდანაა გამომდინარე. იმედია, მკითხველიც ჩვენთან ერთად იზიარებს მოსაზრებას, რომ საკუთარ უფლებებში კარგად გათვითცნობიერებული მოქალაქე დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია.

ქრონიკა

# რესტორანთან მუსიკოსის გვამი იპოვეს

სოფელ გარეჯვარში მცხოვრები ნიკოლოზ ვეშაპურის გვამი, სამშაბათს დილით, გორის რაიონის სოფელ სვენეთში რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. თავად ვეშაპურიც ამავე რესტორანში მუსიკოსად მუშაობდა. 38 წლის ვეშაპურის სიკვდილის მიზეზი გულმკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობაა. სამართალდამცველები მკვლელობის დეტალების გახმაურებისაგან, ჯერჯერობით, თავს იკავებენ.

ჩვენთვის ცნობილი ერთი ვერსიის თანახმად, რესტორნის დაკეტვის შემდეგ ვეშაპურს სახლში გაუცილებია რამდენიმე თანამშრომელი და ერთ-ერთ თანამშრომელ ქალთან ერთად უკან დაბრუნებულა. ამ ვერსიის საფუძველს წარმოადგენს დაკითხულთა ჩვენებები. ამასთანავე, გვიან ღამით გამვლელს რესტორნის მახლობლად ვეშაპურის მანქანა დაუნახავს.

სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ რესტორანში დაბრუნებულებზე ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა. ჯერჯერობით, მოწმდება რამდენიმე ვერსია.გამოძიებაში ჩაბმულია შიდა ქართლის, გორის პროკურატურები და პოლიცია.

# პატიმრები „მოქალაქეთა კავშირს" არ ირჩევენ

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი უარყოფს საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას. საუბარია 2 ივნისის არჩევნებში პატიმართა 98 პროცენტის მიერ "მოქალაქეთა კავშირის" სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანის თაობაზე.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გავრცელებული ინფორმაცია გადაამოწმა საარჩევნო კომისიაში. აღმოჩნდა, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, იქ სადაც მდებარეობს 5 საპყრობილე, "მოქალაქეთა კავშირმა" სულ 387 ხმა მოიპოვა. 2 ივნისის არჩევნებში კი ორთაჭალის ციხის 1178 პატიმარმა მიიღო მონაწილეობა. არსებული რეალური მონაცემები და გავრცელებული ინფორმაცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რადგან უბრალო არითმეტიკული გაანგარიშებით, 1178-ის 98 პროცენტი 1154 ხმაა. "მოქალაქეთა კავშირმა" კი მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, სადაც ხმა მისცეს პატიმრებმა, დასახელებული 98 პროცენტის ნახევარიც ვერ მოაგროვა. ანუ პატიმრებს "მოქალაქეთა კავშირის" სასარგებლოდ არ გაუკეთებიათ არჩევანი.

# პოლიცია განსაკუთრებულ მონდომებას იჩენს

ბოლო ორი კვირის განმავლობაში პოლიციამ ცნობილი დანაშაულებრივი ჯგუფის უკვე მეოთხე წევრი დააკავა. ამ ჯგუფის წევრებს, გასულ კვირას დაკავებულ კახა თურქაძეს, სულხან მაკარიძეს და ორი დღის წინ დაპატიმრებულ დავით თელიას, გუშინწინ სამართალდამცველებმა თბილისელი ირაკლი კვინიკაძეც მიუმატეს. იგი ორშაბათს ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე დააკავეს. ამ დანაშაულებრივ ჯგუფს ბრალად ედება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი რამდენიმე დანაშაული. თელია და კვინიკაძე ამ ჯგუფის სულისჩამდგმელებად ითვლებიან. მათ მიერ ორგანიზებულ და განხორციელებულ დანაშაულთა შორისაა შარშან ზესტაფონის რაიონში სტამბულში მიმავალ ავტობუსზე თავდასხმა, მსხვილი თანხისა და ძვირფასეულობის გატაცება, აგრეთვე, გარსევანიშვილების ოჯახის გაძარცვა. კვინიკაძის დაკავებასთან ერთად ცნობილი გახდა მათ მიერ ჩადენილი მორიგი დანაშაული. კერძოდ, კვინიკაძე, კახა თურქაძესთან, სულხან მაკარიძესთან, დავით თელიასთან და ერთ-ერთ პირთან ერთად, 2001 წლის 15 მაისს თბილისში ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული თავს დაესხა ლევან ჯაშის ოჯახს. თავდამსხმელებმა წინააღმდეგობის გაწევისას დაჭრეს ოჯახის უფროსი, გაიტაცეს 20.000 აშშ დოლარი და ოქროს ნივთები.

თუ ამ ჯგუფის მიმართ პოლიციის მხრიდან გამოვლენილ მონდომებას გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, რომ დაკავებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ნუსხას უახლოეს დღეებში კიდევ რამე დაემატოს.



REUTERS

მაგალითი

# ბუმბერაზი პოლკოვნიკი და უბრალო მოქალაქე

ინგა ალავიძე

*ისტორია, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, სამი წლის წინათ თბილისში სასტუმრო "მეტეხთან" დაიწყო და განვითარება თბილისის საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილის კაბინეტში ჰპოვა. ისტორიის მთავარი მოქმედი გმირები მაღალი რანგის ავტოინსპექტორები და მათგან დაზარალებული ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, მეცნიერ-თანამშრომელი სოსო თოფურიძე გახლდნენ.*

პოლიციელთა მიერ შეურაცხყოფილმა სოსო თოფურიძემ შელახული უფლებების აღდგენისთვის ბრძოლას სამი წელი მოანდომა და შედეგიც მიიღო – ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მოქალაქის საჩივარს მაღალი ჩინის პოლიციელის დასჯა მოჰყვა. სწორედ ამიტომ, სოსო თოფურიძის საქმეს სამოქალაქო ღირსების დაცვის კლასიკურ მაგალითად მიიჩნევენ.

თავდაპირველად კონფლიქტი ავტოინსპექტორებსა და სოსო თოფურიძეს შორის სასტუმრო "მეტეხთან" მოხდა. სოსო თოფურიძე: **"ინსპექტორებმა გიორგი შარვაძემ და ალეკო ოქიტაშვილმა უკანონოდ გამაჩერეს, როცა მათ ამის გამო შენიშვნა მივეცი, უხეშად მომმართეს და საბუთები ჩამომართვეს. ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო დამსაჯეს. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ იქცეოდნენ ასე უხეშად, ასეთი პასუხი მივიღე: როგორც გვინდა, ისე ვიქცევითო. ძალიან გავბრაზდი და იქვე მდებარე თბილისის საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში წავედი. ვიფიქრე, იქ მაინც გავერკვეოდი მომხდარ გაუგებრობაში, მაგრამ..."**

სოსო თოფურიძეს საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსი სამსახურში არ დაუხვდა, ამიტომაც მან დახმარებისთვის მიმართა პოლიციის უფროსის მოადგილეს პოლკოვნიკ როლანდ ნაჭყებიას და ინსპექტორებთან მომხდარმა ინციდენტმა კულმინაციას სწორედ მაშინ მიაღწია. უკვე შეურაცხყოფილ სოსო თოფურიძეს პრეტენზიის გამოთქმა როლანდ ნაჭყებიამ არ დაასრულებინა და მასთან ოთახში მყოფი სტუმრების თანდასწრებით მომჩივანი ჯერ სიტყვიერად გალანძღა, შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენა. სოსო თოფურიძე: **"საუბარი არც მქონდა დაწყებული, რომ ნაჭყებიამ ყვირილი დამიწყო: როგორ მიბედავ, ბუმბერაზ პოლკოვნიკს, ჩემს ინსპექტორებზე საყვედურის თქმასო, კვლავ შევეცადე ამეხსნა სიტუაცია, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე, ნაჭყებიამ ჯერ გასაღები მესროლა, შემდეგ ცემა-ტყეპით გამომაგდო კაბინეტიდან..."**

"ბუმბერაზ" პოლკოვნიკსა და მის ინსპექტორებს სოსო თოფურიძემ ისნის პროკურატურაში უჩივლა და დაიწყო ბრძოლა საკუთარი უფლებების დაცვისათვის. არ დარჩენილა სასამართლო უწყება თუ ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია, სამთავრობო სტრუქტურა, სადაც თოფურიძის საქმე არ განხილულა. ქართველ პოლიციის პოლკოვნიკსა და მოქალაქეს შორის მომხდარმა ინციდენტმა საერთაშორისო ორგანიზაციათა ყურადღებაც დაიმსახურა. მეტიც, სოსო თოფურიძემ მის მიერ აშშ-ს პრეზიდენტის კანცელარიაში გაგზავნილი წერილის პასუხიც კი მიიღო. პრეზიდენტ ქლინტონის მიერ ხელმოწერილი ბარათი, რომლითაც პრეზიდენტი საქართველოს დაზარალებულ მოქალაქეს მხარდაჭერას უცხადებდა, საქართველოში აშშ-ს საელჩოს ჩაბარდა და თოფურიძის საქმეზე კონტროლი დაწესდა. მან ანალოგიური შინაარსის წერილი საფრანგეთის ხელისუფლებისგანაც მიიღო.

სამწლიანი სამართლებლივი დავა, ბოლოსდაბოლოს, თოფურიძემ მოიგო. მართალია, პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო დაიხურა - პროკურატურამ ბოლომდე არ გაწირა კოლეგა პოლიციელი. თუმცა, როლანდ ნაჭყებიას საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის სახარბიელო სავარძლის დატოვება მაინც მოუწია, იგი თანამდებობიდან დაითხოვეს.

სოსო თოფურიძეს არ შეუწყვეტია ავტოინსპექტორებთან დაწყებული ურთიერთობა. მის მიერ, მძღოლთა უფლებების დაცვის მიზნით, დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია ახლა სხვა უფლებაშელახულ მძღოლებს სთავაზობს თავის სერვისს.

დანაშაული და სამართალი

# მხედველობადაკარგული დაზარალებული პოლიციის წინააღმდეგ

ხათუნა ჯანგირაშვილი

თითქმის ვერ გაიხსენებთ შემთხვევას, როცა ადამიანის უფლებების დარღვევაში ბრალდებული პოლიციელი დაესაჯათ. პოლიციელთა მიერ დაზარალებული გია მინდიაშვილი, როგორც თავად აცხადებს, ცოტა ხნის წინ უმოწყალოდ სცემეს. მან, მომხდართან დაკავშირებით, თელავში არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" რეგიონულ ომბუდსმენს, განცხადებით მიმართა და დახმარება სთხოვა.

როგორც აღმოჩნდა, გია მინდიაშვილი პოლიციის თანამშრომლებმა ყოველგვარი მოტივაციის გარეშე დააკავეს. ჯერ მანქანაში სცემეს დაუნდობლად, შემდეგ - ყვარლის პოლიციის განყოფილებაში. მას რამდენიმე პოლიციელი მუშტებითა და ხელკეტებით ურტყამდა. პოლიციამ სცადა, მინდიაშვილისთვის ბრალი დაედო ნარკოტიკების მოხმარებასა და გავრცელებაში.

**"მანქანა ორმა უცნობმა გამაჩერებინა, შიგნით შემოცვივდნენ და მაშინვე დამიწყეს ცემა, თან ჩხრეკა. რომ გამჩხრიკეს, ჯიბეში არაფერი მქონდა. წამიყვანეს თელავისკენ, თან მუშტებს მირტყამდნენ – წამალი სად გაქვსო. რა წამალი, არაფერი არ ვიცი-მეთქი. უცებ ერთ-ერთმა კარი გააღო და დაბლა დაიწყო ხელების ფათური, თან რაღაცეები დაყარა. მერე მკითხა – ეს რა არისო. არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე და უფრო ძლიერად მირტყეს თავში მუშტები, მაგინებდნენ და მაიძულებდნენ მეთქვა, რომ თელავში წამალზე ვიყავი. ამ ცემის შემდეგ სადღაც დარეკეს, ვიღაც დავიჭირეთ და ამა და ამ ადგილას მოდითო. ნახევარ საათში სხვა მანქანაც მოვიდა, მიმიყვანეს თელავის რეგიონული სამმართველოს შენობასთან. 15-20 წუთი ჩუმად რაღაც ილაპარაკეს, ხელბორკილები დამადეს და წამომიყვანეს ისევ ყვარლისკენ. მე წინ ვიჯექი, უკან მჯდომმა ხელბორკილის ჯაჭვით ხელები ამაწევინა. მეორემ ჯიბეში ჩამიყო ხელი და მითხრა: ახლა ვნახოთ, თუ არაფერი გექნებაო. მანქანიდან გადმომიყვანეს, ორი კაცი აქეთ-იქიდან მიჭერდა. ჯიბიდან რაღაც პარკუჭები ამომიღეს,"** – ასე იხსენებს მომხდარს გია მინდიაშვილი.

ისევ მინდიაშვილის განცხადებით, დაკავებული პოლიციაში წაუყვანიათ, სადაც ისევ გაუგრძელებიათ მისი ცემა. **"დაწერე, რომ ეს ნარკოტიკები შენი იყო, ამ საქმეს მაინც შეგტენით და გირჩევნია, შენ თვითონ დაწერო,"** – ასე დამუქრებიან პოლიციაში.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მინდიაშვილი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა. გაირკვა ისიც, რომ მის მიმართ არც ნარკოტიკების გავრცელებასთან დაკავშირებული ეჭვი არსებობდა. პროკურატურამ მის მიმართ საქმის აღძვრაზე უარი განაცხადა. ცემის შედეგად, მინდიაშვილმა მძიმე ფორმის ტვინის შერყევა მიიღო და მხედველობის სამოცი პროცენტი დაკარგა. მას ამ საქმის გახმაურების შიში აქვს, რადგან ფიქრობს, რომ გახმაურების შემთხვევაში პროკურატურა, პოლიციის ზეწოლით ან მასთან შეთანხმებით, მონაცემებს გააყალბებს.

ამ ეტაპზე გია მინდიაშვილი არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტს" პოლიციისგან მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში დახმარებას სთხოვს. მიყენებული დაზიანებების გამო მას სერიოზული მკურნალობა სჭირდება.

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

# ერთი მოწვევის ხალიფა

დავით ზურაბიშვილი

*ახლახან ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები რომ არც მთლად ადგილობრივი მასშტაბისა იყო, ეს იმთავითვე კარგად იცოდა არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურმა ძალამ. ეს იყო პირველი არჩევნები, რომელიც ტარდებოდა სახელისუფლო დომინანტი პარტიის, მოქალაქეთა კავშირის დაშლის შემდეგ. ფაქტობრივად, ეს იყო ერთგვარი სარეიტინგო არჩევნები, რომელსაც უნდა ეჩვენებინა, თუ ვინ ვინაა ქართულ პოლიტიკაში და ვის და რას უჭერს მხარს ამ მომენტისთვის საქართველოს მოსახლეობა.*

*განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა თბილისის საკრებულოს არჩევნებს და არა მაინცა და მაინც იმიტომ, რომ დედაქალაქის საკრებულო, სხვებთან შედარებით, მეტი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. ვინც იგებს დღეს თბილისში, მას დიდი შანსი აქვს მოიგოს ხვალ საქართველოში. ხოლო მომავალი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ერთი წლის შემდეგ გაიმართება, სხვა არაფერი იქნება, თუ არა გადამწყვეტი ბრძოლა ხელისუფლებისთვის. სწორედ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები განსაზღვრავს, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ქართული სახელმწიფოს მართვის სადავეები პოსტშევარდნაძისტულ პერიოდში. აწმყო შობილი თვითთმართველობის არჩევნებიდან, არის მშობელი საპარლამენტო არჩევნების მომავლისა.*

*ამ თვალსაზრისით, საინტერესო იქნება, თუ მოკლედ მიმოვიხილავთ თბილისის არჩევნებში მონაწილე პარტიების სტრატეგიას და სამომავლო პერსპექტივებს. მაშ, მივყვეთ ოფიციალური მაჩვენებლების მიხედვით და ვნახოთ, ვინ საიდან მოდის და საით მიდის.*

## ლეიბორისტები

რამდენიმე წლის წინ, საქართველოს ლეიბორისტულ პარტია და მისი ლიდერი შალვა ნათელაშვილი, თბილისის საკრებულოს არჩევნების შემდეგ, დაახლოებით ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, როგორც ვეზირი ჯაფარი "ათას ერთი ღამის" ზღაპრიდან. შეგახსენებთ, რომ, ცნობილი სიუჟეტის მიხედვით, ვეზირი დააძინეს, ხალიფას სამოსი ჩააცვეს, გამოღვიძებულს ერთი საათით ყველა ფეხქვეშ ეგებოდა და ის იყო, ჯაფარმა საკუთარი ხალიფობა მართლა ირწმუნა, რომ ისევ დააძინეს და პირვანდელ მდგომარეობაში დააბრუნეს.

მაშინ ლეიბორისტებმა ქალაქის ვიცე-პრემიერის პოსტში გაცვალეს სოციალისტებთან ერთად მოპოვებული მემარცხენე უმრავლესობა, ბოლოს კი ფრაქცია საერთოდ დაეშალათ. ამ ფაქტმა საგრძნობლად იმოქმედა ლეიბორისტების რეიტინგზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის საკრებულოში ლეიბორისტულ პარტიას თავისი სახე რომ შეენარჩუნებინა, 1999 წლის არჩევნებში პარლამენტს მიღმა მათი დატოვება ვერანაირი გაყალბებით ვერ მოხერხდებოდა. მაშინ, მოქალაქეთა კავშირი მზარდად პოპულარული მრეწველების ჩაგდებით უფრო იყო დაინტერესებული, მაგრამ მრეწველებმა ლეიბორისტებზე მეტი ხმები მიიღეს და მათი თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება მოქალაქეთა კავშირმა უბრალოდ ვერ შეძლო..

ზურაბ ჟვანიამ, რომელსაც 1999 წლის არჩევნებში პრეზიდენტისგან სრული "კარტ-ბლანში" ჰქონდა მიცემული, შალვა ნათელაშვილი და მისი პარტია პარლამენტში არ შეუშვა. ამით ჟვანიამ საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირება კი უზრუნველყო, მაგრამ ჯერ ერთი, ეს უმრავლესობა ერთობ მყიფე აღმოჩნდა და რა ბედიც ეწია, ყველამ ვნახეთ; ხოლო ნათელაშვილის სახით, რომელმაც მშვენივრად იცოდა, თუ ვისი წყალობით ვერ მოხვდა პარლამენტში, რეფორმატორებად წოდებულმა გუნდმა ნამდვილი "მონსტრი გააღვიძა." გარდა იმისა, რომ ზურაბ ჟვანია და მისი თანამოაზრეები შალვა ნათელაშვილისთვისაც უპირველეს მტრებად იქცნენ, ლეიბორისტულმა პარტიამ ხელისუფლებისგან დევნილის, უსამართლოდ დაჩაგრულის იმიჯი შეიძინა და თავისი მემარცხენე-რადიკალური რიტორიკით მოსახლეობის ფართო ფენებში ადრინდელზე მეტი სიმპატია მოიპოვა. სწორედ ამის გამოხატულება იყო ლეიბორისტთა ამჟამინდელი წარმატება.

ქართველ ლეიბორისტთა ელექტორატი, ძირითადად, გაღატაკებული და ლუმპენიზირებული ფენებია, ასეთები კი დღევანდელ საქართველოში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ. პარტიის ლიდერში ეს ელექტორატი "წარმატებულ თავისიანს" ხედავს, რომელსაც, სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, მათნაირი ღირებულებები აქვს და მათი პრობლემების ესმის. ასე, რომ, ერთი შეხედვით, ლეიბორისტულ პარტიას საკმაოდ ძლიერი პოტენცია გააჩნია, მაგრამ ამ პარტიას აქვს არსებითი მინუსები, რომლებიც, გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის გადაწონის პლუსებს.

საქმე ისაა, რომ ლეიბორისტებს სერიოზულ ძალად არავინ აღიქვამს. ყველა დარწმუნებულია, რომ პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა თავისუფლად კონვერტირებადი ხალხია და მათი გადაბირება ფულით თუ პურ-მარილით პრობლემა არ არის. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ნამდვილად არ ყოფილა. ამიტომაც იყო, რომ თბილისის არჩევნების დროს სახელისუფლო ელიტის მიერ კონტროლირებადი მასმედია მთლიანად "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ მუშაობდა და ლეიბორისტების მიმართ ერთგვარი დადებით-ნეიტრალური პოზიცია ეჭირა, მიუხედავად იმისა, რომ თავის ყველა გამოსვლაში შალვა ნათელაშვილი რიხიანად თათხავდა შევარდნაძეს.

ლეიბორისტებს, არცთუ უსაფუძვლოდ, აქვთ ადვილად მართვადი ძალის რეპუტაცია. შალვა ნათელაშვილს და მის პარტიას არასოდეს შეუქმნია მმართველი კლასისთვის თუნდაც ოდნავ სერიოზული პრობლემები და, ალბათ, ვერც ვერასოდეს შეუქმნის. მიზეზი მარტივია: თუკი ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება, ლეიბორისტების დეპუტაცია საკრებულოში ისევ დაიშლება და სხვადასხვა ფრაქციებში "გაიწოვება," რაც ადრინდელზე უფრო მეტად დასცემს მათ რეიტინგს; ხოლო თუკი ნათელაშვილი მოახერხებს პარტიული დისციპლინის შენარჩუნებას და დამოუკიდებელ ძალად დაფიქსირებას, მათი დისკრედიტაციით უკვე პოლიტიკური კონკურენტებიც იქნებიან დაინტერესებული და მმართველი ელიტაც. ამგვარ დაპირისპირებაში კი ლეიბორისტული პარტია აუცილებლად დამარცხდება, თუნდაც მისი ინტელექტუალური რესურსების სიმწირის გამო. ლეიბორისტების პრიმიტიული ანტიამერიკანიზმი და ანტიგლობალიზმი, უტოპიური დებულებები უფასო ჯანდაცვა-განათლების, დეპრივატიზაციისა და ენერგოსისტემის ნაციონალიზაციის შესახებ, შეიძლება ვიღაცას მოსწონს, მაგრამ პრინციპულად მიუღებელია ყველა ორწიგნწანაკითხი ადამიანისთვის. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ შემთხვევაში ლეიბორისტულ პარტიას აუცილებლად გაუხსენებენ მის ალიანსს კავშირგაბმულობაში კორუფციის პატრიარქთან, ფრიდონ ინჯიასთან და, კიდევ, ბევრ სხვა ცოდვას.

შალვა ნათელაშვილისთვის იდეალური გამოსავალი იქნებოდა მისი მემარცხენე რადიკალიზმის შერბილება, უარის თქმა დეპრივატიზაციისა და ნაციონალიზაციის აბსურდულ იდეებზე, საკრებულოს ფრაქციის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რეალური და არა სიტყვიერი ოპონირება ხელისუფლების წინააღმდეგ და ბოლოს, საპარლამენტო არჩევნებისთვის დიდ ოპოზიციურ კოალიციაში გაერთიანება. თუმცა, ლეიბორისტთა ლიდერის ამბიციურობას თუ გავითვალისწინებთ, ეს ვარიანტი დეპრივატიზაციაზე ნაკლები უტოპია არ არის. უფრო სავარაუდოა, რომ შალვა ნათელაშვილი, თავისი პარტიით, კვლავ დარჩება ერთი მოწვევის ხალიფად და საბოლოოდ ჩამოყალიბდება ექსცენტრიულ და მარგინალ პოლიტიკოსად, რომელსაც საკუთარი ამომრჩეველი ყოველთვის ჰყავს, მაგრამ ვერასოდეს ვერ ხდება გავლენიანი ძალა.




www.24hours.ge 24 B

# სენსაცია №2



REUTERS

## მსოფლიო ჩემპიონატზე ცუნამის დრო მოვიდა

დერეკ ფოლი
იაპონია-კორეიდან
სპეციალურად 24 საათისათვის

ასე თუ შეიძლება ავხსნათ ის საოცრებები, რაც კორეა-იაპონიაში ხდება. პორტუგალიას და გერმანიას უჭირთ. მასპინძლები კი მოგებულ პოზიციაში იმყოფებიან.

ირლანდიასთან მატჩში, გერმანიამ თითქოს კარგად დაიწყო. თავიდან მშვიდად იგებდა 1:0-ს. თუმცა, ნამდვილად მწვრთნელის ტაქტიკურ შეცდომას უნდა მივაწეროთ ის, რომ კარტსენ იანკერი მოედანს მთელი თამაშის განმავლობაში შემორჩა - ეს თავმდამსხმელი ასეთ ცუდ ფორმაში ორი წელია, არ ყოფილა.

მსგავს ტაქტიკურ შეცდომებს კი შედეგად მოჰყვა ის, რომ პირველი გოლის შემდეგ გერმანია ჯერ დაცვაში ჩადგა, შემდეგ კი საკუთარ კარში ირლანდიელების გოლიც მიიღო. თამაშის ბოლოს გერმანელებმა აშკარად იგრძვნეს, რომ გარეთ დარჩენის საფრთხე სრულიად რეალური იყო. თუ ისინი კამერუნთანაც წააგებენ, მაშინ ჩემპიონატს უნდა გამოემშვიდობონ კიდეც.

ამასობაში, მასპინძელი ქვეყნები საქმეს აუღელვებლად და დამაჯერებლად შეუდგნენ და წარმატებებსაც მიაღწიეს. ბუნებრივია, იაპონიას ძალიან დაეხმარა ის, რომ მოედანზე თავს შინაურად გრძნობდა. თუმცა, მისი წარმატება მაინც დიდი სიურპრიზი იყო.

საინტერესო ფიგურაა "არსენალელი" ჯუნიჩი იმამოტო. ინგლისში ის, ძირითადად, სათადარიგოთა სკამზე ზის და გუნდის მეორე შემადგენლობაშია, ეროვნულ ნაკრებში კი თავი ნამდვილად გამოიჩინა. კარგად გამოიყურებოდა იაპონიის იტალიური ექსპორტი ჰიდეტოში ნაკატაც.

ერთი სიტყვით, შეიძლება ვაღიაროთ, რომ რუსეთი-ტუნისის თამაში პირველი ეტაპის ყველაზე ცუდი მატჩი იყო. ასეთ ფონზე კი, იაპონია ნამდვილად "გასულთა" რიგებში დგას. მეორე სიურპრიზი კორეამ მოგვიმზადა. მათ პოლონელები დამსახურებლად დაამარცხეს.

რაც შეეხება ჩინეთს. კოსტა-რიკასთან ეროვნული ნაკრების თამაშს 500 მილიონი ჩინელი ადევნებდა თვალყურს. ამ მატჩში ჩინეთი დამარცხდა. თუმცა, ჩემპიონატზე გასვლა მისთვის უკვე რაღაცას ნიშნავს. მით უფრო, რომ მატჩის შემდეგ ჩინეთში სასწაულები მოხდა – 12-14 წლის ბავშვებმა ქუჩებში ფეხბრუთს თამაში დაიწყეს და უკვე თავგანწირულ გულშემატკივრებადაც იქცნენ. შესაძლოა, მათი ფეხბურთის დახვეწას ოციოდე წელიც დაჭირდეს, მაგრამ დაიმახსოვრეთ – ჩინელების დროც მოვა. დიდი ჩინური აფეთქებით თავს ისინი აუცილებლად დაგვამახსოვრებენ.

აზიელებისგან განსხვავებით, გუშინ შოკში იყო მთელი პორტუგალია. ეროვნული ნაკრები ჩემპიონატზე ამაყად ჩავიდა. ექსპერტები პორტუგალიის ნაკრებს "ოქროს თაობას" უწოდებდნენ. ეს არის გუნდი, რომელმაც 1991 წელს ოც წლამდე ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. არადა, გუშინდელი თამაში ამერიკას დარჩა. ბუნებრივია, აშშ-სთვის ეს ისტორიული გამარჯვებაა. ასეთ წარმატებას მათგან არავინ ელოდა. თუმცა, პორტუგალიამ მაინც დაიტოვა შანსები – მან მატჩი მხოლოდ ერთი ქულით წააგო და ჯერაც აქვს საშუალება თავის ჯგუფში ლიდერის პოზიცია დაიკავოს.

საინტერესოდ ვითარდება მოვლენები F ჯგუფშიც. საუბარია, დიეგო სიმეონეს, რობერტო ბონანოსა და ხუან სებასტიან ვერონის ხმამაღალ განცხადებებზე. ისინი ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ პარასკევს დანიშნულ მატჩს ფოლკლენდის ომისთვის შურისძიებად აფასებენ. "ჩვენ მთელი ძალით ვითამაშებთ. განსაკუთრებით კი ის ფეხბურთელები მოვინდომებთ, ვისაც ფოლკლენდის ომში ნათესავები დაგვეღუპა", - აცხადებს ბონანო.

ფოლკლენდის გარდა, პირადად ბექჰემის პრობლემა აქვს დიეგო სიმეონეს. ყველას ახსოვს წინა ჩემპიონატის სკანდალური მომენტი, სიმეონეს დაშავება და ბექჰემის მოედნიდან გაძევება.

ერთი სიტყვით, არგენტინა გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება. ბუნებრივია, თამაშის მნიშვნელობას ინგლისის ნაკრებიც აღიარებს. თუმცა, არნგენტინელებისგან განსხვავებით, იქ ფოლკლენდი აღარავის ახსოვს – ეს ხომ ოცი წლის წინ იყო. ასე რომ, შესაძლოა, ინგლისელებს ბოლომდე გააზრებულიც არ ჰქონდეთ, თუ როგორი დაძაბული ბრძოლა ელით წინ. ეს თამაში საყურებლად ნამდვილად ღირს.

# სენსაცია №2




## აშშ 3:2 პორტუგალია




*გოლები:* *1:0 ო`ბრაიანი (4`), 2:0 ჟ. კოშტა ავტოგოლი (30`), 3:0 მაკბრაიდი (36`); 3:1 ბეტო (39`), აგუსი 3:2 ავტოგოლი (74`)*
*მსაჯი:* *მორენო ბაირონი (ეკვადორი)*
*სტადიონი:* *სუვონი*
*37306 მაყურებელი*

პორტუგალიის ნაკრების დაბრუნება საერთაშორისო ფეხბურთის სცენაზე კრახით დამთავრდა: 16-წლიანი პაუზის შემდეგ პორტუგალია დაუბრუნდა მსოფლიო ჩემპიონატს და სენსაციურად, ანგარიშით 2:3 დამარცხდა აშშ-ს გუნდთან. ამერიკელებმა, რომლებმაც 1930 წლის შემდეგ პირველად მოიგეს ტურნირის სადებიუტო მატჩი, პორტუგალიელთა ვარსკვლავების ანსამბლს თავბრუ დაახვიეს და, სენეგალის ტრიუმფის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატის №2 სენსაცია მოახდინეს.

საინტერესოა, რომ ორივე გუნდის კარში თითო ავტოგოლი დაფიქსირდა. პრობლემები დაცვაში განსაკუთრებით პორტუგალიელებს აწუხებთ. გუშინ მათ ტრავმირებული აბელ შავიერი აკლდათ, რამაც დამატებითი პრობლემები შეუქმნა ვიტორ ბაიას კარს.

***ბრიუს არენა:*** *(აშშ-ს ნაკრების მწვრთნელი): "40 წუთის განმავლობაში ჩვენ ბრწყინვალე ფეხბურთი ვაჩვენეთ. გუნდმა მტკიცე ხასიათი გამოავლინა. ჩვენი მიზანი მერვედფინალია. ვიცოდით პორტუგალიელთა ზოგიერთი სისუსტის შესახებ. ჩვენ შეგვიძლია დიდ გუნდებთან თანასწორი თამაში."*

***ანტონიო ოლივეირა:*** *(პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი): "ვცდილობდით, არ გაგვეშვა სწრაფი გოლი, მაგრამ არ გამოგვივიდა. აშშ არის გუნდი, რომელსაც ფიზიკური თვალსაზრისით ყველა გუნდის დამარცხება შეუძლია. ფრე კარგი შედეგი იქნებოდა, მაგრამ ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის. დღეს ჩვენ ბედმაც გვიმტყუნა და მომდევნო 2 თამაშის იმედზეღა ვართ."*


REUTERS

# თუ დათრგუნავ-მოიგებ




## რუსეთი 2:0 ტუნისი




*გოლები:* *1:0 – ტიტოვი (59), 2:0 – კარპინი (64-პენ).*
*მსაჯი:* *პრენდერგასტ პეტერი (იამაიკა).*
*სტადიონი:* *უნივერსაიდ მემორიალი*
*30957 მაყურებელი.*

რუსეთის ნაკრები იმ გუნდების კატეგორიას განეკუთვნება, რომლისთვისაც ფსიქოლოგიურ განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფორმულა მარტივია: თუ დათრგუნავ - მოიგებ, თუ არადა - წაგება არ აგცდება. ეს ლოგიკა განვითარდა რუსეთ-ტუნისის გუშინდელ შეხვედრაშიც. გოლამდე ვერავინ იტყოდა, რომ რუსეთის ნაკრები კლასით ან რომელიმე სათამაშო კომპონენტით აღემატება თავის აფრიკელ კოლეგას. ტიტოვის გოლის შემდეგ კი მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. რუსებს სიმტკიცე შეემატათ, გაიმარჯვეს და სათავეში ჩაუდგნენ H ჯგუფს.

***ოლეგ რომანცევი*** *(რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ანგარიშით კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხით – არა. თუ ჯგუფიდან გასვლა გვსურს, უფლება არა გვაქვს, დაცვაში ამდენი შეცდომა მოგვივიდეს და ამდენი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენოთ. მიუხედავად ამისა, დასაწყისისთვის კმაყოფილი ვარ. ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს".*

***ამარ სოუია,*** *(ტუნისის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი): "ეს იყო ძლიერი რუსული გუნდი. სამწუხაროდ, საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. მომდევნო თამაშამდე დრო გვაქვს და ბევრი მუშაობა მოგვიწევს, განსაკუთრებით - ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ბელგიასთან აუცილებლად სამი ქულა უნდა მოვიპოვოთ.*



REUTERS

# ირლანდიელთა გერმანული გოლი




## ირლანდია 1:1 გერმანია




*გოლები:* *1:0 მიროსლავ კლოზე (19`), 1:1 რობი კინი (90`)*
*მსაჯი:* *კიმ ნილსენ-მილტონი*
*სტადიონი:* *"იბარაკი კაშიმა სტადიუმი"*
*35854 მაყურებელი*

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ტური "გერმანულად" დაიწყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სასტარტო მატჩში გერმანიის ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა, და მეორეც - ამ შეხვედრაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა მეტოქემ, ირლანდიის ნაკრებმა, სუფთა გერმანული ხასიათი გამოავლინა. ირლანდიელებმა სწორედ გერმანულ სტილში, უკანასკნელ წამებამდე იბრძოლეს, თამაშის ბოლო წუთზე შეძლეს ქულის გადამრჩენი გოლის გატანა და მერვედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნეს.

***რუდი ფიოლერი*** *(გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ტრაგედიაა, როდესაც მთელი მატჩის განმავლობაში იგებ და ბოლო წუთზე გოლს უშვებ. გამარჯვების შემთხვევაში მერვედფინალის საგზური მოპოვებული გვექნებოდა. ამან, შესაძლოა, ცუდად იმოქმედოს ჩემს ფეხბურთელებზე. ჯერჯერობით ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ და კამერუნის წინააღმდეგ მატჩში, წესით, ერთი ქულაც უნდა გვეყოს პლეი-ოფში მოსახვედრად. რომ გაგვემარჯვა, მოვდუნდებოდით და ჯგუფის დასკვნით შეხვედრაში იქნებ ცუდად გვეთამაშა. ეხლა ექვსდღიანი შესვენება გვაქვს, შემდეგ კი სამ ქულას ავიღებთ.*

***მიკ მაკკარტი*** *(ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ყოველთვის ვამბობდი, რომ ნებისმიერ მატჩში ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და ამან შედეგიც მოგვიტანა. ვამაყობ ჩემი გუნდით და ბრწყინვალე გულშემატკივრებით.*

*ჩვენ ვინარჩუნებთ მერვედფინალში გასვლის შანსს, მაგრამ გარანტირებული ჯერ არაფერი გვაქვს."*



REUTERS

საუბრობენ ექსპერტები

## მიხეილ ყაველაშვილი:
# სენსაციებს უკვე მივეჩვიეთ



მსოფლიო ჩემპიონატზე აზიის უძლიერესი გუნდებიც ვიხილეთ. ის, რაც მოხდა, ალბათ, ჩვენთვისაა მოულოდნელი და არა იმათთვის, ვინც კარგად იცნობს აზიურ ფეხბურთს. აზიელებს შრომისმოყვარეობა და ნიჭი არასოდეს აკლდათ. ამას დიდი ფულიც დაემატა და მივიღეთ აზიური ფეხბურთი, რომელიც უკვე საკმაოდ მაღალი დონისაა. პირველ რიგში გასათვალისწინებელია მწვრთნელის ფაქტორი. იაპონელებს ცნობილი ფილიპ ტრუსიე ავარჯიშებს, კორეელებს - არანაკლებ ტიტულოვანი ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი. ესეც იმ ინვესტიციებთანაა დაკავშირებული, რომელიც აზიურ ფეხბურთში ჩაიდო. ამ კონტინენტის ნაკრებები, დღეს თუ არა, ხვალ სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ დანარჩენ მსოფლიოს. სწრაფი აზროვნება და კარგი ფიზიკური მომზადება - ეს ის ორი ფაქტორია, რომლის გარეშეც დღეს ვერაფერს მიაღწევ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მომავალი მეტოქე, რუსეთის ნაკრები, რომლის გამარჯვება ტუნისთან მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. რომანცევის გუნდში კარპინს გამოვყოფდი. საერთოდ, ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავთ. შედარებით სუსტია დაცვის ხაზი. რომანცევი, როგორც წესი, მისთვის კარგად ნაცნობ, გამოცდილ ფეხბურთელებს ანიჭებს უპირატესობას და ექსპერიმენტებს იშვიათად მიმართავს. ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ: ნაკრების შემადგენლობა შემოდგომამდე რადიკალურად არ შეიცვლება. რუსების ერთ-ერთი და, ალბათ, უმთავრესი კოზირი სწორედ სტაბილური შემადგენლობაა. თუმცა, რომანცევის გუნდს ძალიან გაუჭირდება იაპონელთა წინააღმდეგ თამაში. აზიელები სწრაფები არიან და დაცვას შეცდომებს არ აპატიებენ.

სენსაციებს უკვე მივეჩვიეთ. სენეგალმა ფრანგებს მოუგო. გუშინ კი ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა პორტუგალიელები დაამარცხა. ჩემი აზრით, ეს იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხუთი გოლი გავიდა. ვერავინ იტყვის, რომ ამერიკელებმა შემთხვევით მოიგეს. მათ გააზრებული, თანამედროვე ფეხბურთი ითამაშეს და ამ კონკრეტულ შეხვედრაში აჯობეს მეტოქის ვარსკვლავებით მდიდარ გუნდს. არ ვამბობ, რომ მათი ნაკრები კლასით ჯობია პორტუგალიელებს, მაგრამ ამ კონკრეტულ მატჩში შტატების გუნდი უფრო მობილიზებული გამოდგა.

ჩემპიონატი ძალას იკრებს. ვფიქრობ, საფრანგეთი და პორტუგალია, რომელთაც უდიდესი პოტენციალი აქვთ, თავის სიტყვას იტყვიან - მომდევნო შეხვედრებს მაღალ დონეზე ჩაატარებენ.

## ომარ თეთრაძე:
# ყველაფერს გენერლები წყვეტენ



მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი მატჩი ყოველთვის რთულია. მიუხედავად იმისა, რომ რომანცევმა არ წამიყვანა, მაინც რუსეთის გულშემატკივარი ვარ. რაც შეეხება იმას, შევძლებდი თუ არა ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანას... მიმაჩნია, რომ ვიმსახურებდი ნაკრებში თამაშს. თუმცა, ჩვენ ჯარისკაცები ვართ, ყველაფერს გენერლები წყვეტენ.

რაც შეეხება თავად შეხვედრას, რუსეთის ნაკრებმა უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგო. პირველ რიგში - ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. აღსანიშნავია იაპონიისა და ბელგიის თამაშიც. ორივე გუნდი ანგარიშგასაწევი ძალაა. მით უფრო ფასეულია პირველი სამი ქულა. მეტოქეებმა ერთმანეთთან ფრედ ითამაშეს და დღეს ჯგუფის ლიდერი რუსეთია.

პირველ ტაიმში უპირატესობა რუსეთის გუნდს ჰქონდა, მაგრამ შეტევებს აშკარად აკლდა სიმწვავე. ეს ნაკლი მეორე ტაიმში ხოხლოვისა და, განსაკუთრებით, სიჩოვის გამოსვლის შემდეგ გამოსწორდა. ჩემი აზრით, ორივე გოლი სწორედ ამ უკანასკნელის - სიჩოვის დამსახურებაა. ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაა დაცვაში. ცალკეულ ფეხბურთელებს არ გამოვყოფ. მოდი, ასე ვთქვათ: რუსეთის ნაკრების ყველაზე სუსტი რგოლია დაცვა, განსაკუთრებით - მარცხენა ფლანგი, სადაც სემშოვი თამაშობდა. რუსეთის ნაკრების მხრიდან ყველაზე სახიფათო მომენტები მარცხენა, ანუ კარპინის ფლანგიდან შეიქმნა. კარპინი დღევანდელ ნაკრებში საუკეთესოა.

არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ტუნისის ნაცვლად სხვა, უფრო მაღალი კლასის გუნდი რომ ყოფილიყო, რუსეთის კარის აღება სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. ვფიქრობ, რომანცევის გუნდი გავა მომდევნო ეტაპზე.

## რეზო არველაძე:
# მთავარი ბრძოლა მეორე ტურში გაიმართება



როგორც წესი, მსოფლიო ჩემპიონატების ჯგუფურ ტურნირში გადამწყვეტ როლს მეორე ტური თამაშობს. მართალია, მას შემდეგაც ბევრი რამ დარჩება გასარკვევი, მაგრამ ბევრიც გაირკვევა. მეორე ტურს ყოველთვის დიდი ინტრიგა ახლავს თან. სწორედ ამ ეტაპზე გამოჩნდება იმ გუნდების რეალური ძალა, რომლებმაც სპეციალისტთათვის მოულოდნელი და ალოგიკური შედეგით დაასრულეს პირველი მატჩები.

მეორე ტურის შემდეგ გამოიკვეთებიან ის გუნდები, რომლებსაც ქვეჯგუფში მესამე შეხვედრის წინ სამშობლოში გასამგზავრებლად ჩემოდნები გამზადებული ექნებათ და მათი მონაწილეობა ბოლო ტურში სიმბოლურ ხასიათს შეიძენს. სხვა გუნდებს კი, პირიქით, მოულოდნელად მოტივაცია გაუჩნდებათ.

ასე რომ, პირველი ტურიდან შორს მიმავალ დასკვნებს ვერ გამოიტან.

ერთი არასაფეხბურთო დეტალიც: ასეთ ტურნირებში გარემოსთან და კლიმატთან შეგუებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამან უკვე იმოქმედა ევროპული გუნდების თამაშზე და აზიელთა წისქვილზე ასხამს წყალს. ვგულისხმობ სამხრეთ კორეას და იაპონიას, რომლებსაც საკუთარი კედლებიც ეხმარება.

რაც შეეხება პირველ ტურს: თუ გვერდს ავუვლით ისეთ ბანალურ ჭეშმარიტებას, რომ ბრაზილიას და არგენტინას ბრწყინვალე გუნდები ჰყავთ, რომ აშშ-ისა და სენეგალის გუნდებმა სენსაცია მოახდინეს, კიდევ ერთხელ დამტკიცდა: მხოლოდ მაღალი კლასით, ძალების სრული მობილიზაციის გარეშე და თავის დაზოგვით ვერც ერთ მეტოქეს ვერ აჯობებ, რაც უნდა სუსტად იყოს იგი მიჩნეული.

დღის დაიჯესტი

## პირველი ჯარიმა „მსახიობს„

ბრაზილიელი ნახევარმცველი რივალდო თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში სიმულაციისთვის იძულებულია, ფულადი ჯარიმა გადაიხადოს. ფიფას სადისციპლინო კომისიამ ფეხბურთელს 8000 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა მსაჯის შეცდომაში შეყვანისა და არასპორტული საქციელისთვის.

მსოფლიო ჩემპიონატების 72-წლიან ისტორიაში ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც ფეხბურთელს სიმულაციისთვის ფულად ჯარიმას აკისრებენ. თუმცა, ფიფამ მეტისმეტი სიმკაცრე მაინც არ გამოიჩინა - ესპანეთის "ბარსელონას" ნახევარმცველი დისკვალიფიკაციას გადაურჩა.



REUTERS

## ფილიპო ინძაგი გამოჯანმრთელდა

ფეხბურთის მოყვარულებმა, ალბათ, იციან, რომ 26 მაისს იაპონურ "კაშიმა ანტლერსთან" ამხანაგური მატჩის დროს ტრავმა მიიღო იტალიის ნაკრების ფორვარდმა ფილიპო ინძაგიმ. ამის გამო მან გამოტოვა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შეხვედრა ეკვადორის ნაკრების წინააღმდეგ.

ჯოვანი ტრაპატონიმ თავდასხმაში ტოტისა და ვიერის ტანდემი გაამწესა. ეჭვგარეშეა, რომ ორივე ფეხბურთელი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ხუთშაბათს, როცა "სკუადრა აძურა" ხორვატებს გაეჯიბრება, ყველაფერი შეიცვალოს და ფილიპო ინძაგისაც მიეცეს თავის გამოჩენის შანსი. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ტოტი პლეიმეიკერის პოზიციაზე გადაინაცვლებს, ხოლო დონიმ, რომელიც გამთამაშებლის ფუნქციას ასრულებდა, შესაძლოა, სათადარიგოთა სკამზე ამოყოს თავი.

## სრეჩკო კატანეცი გადადგომას აპირებს

სლოვენიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თანამდებობას დატოვებს. ამ ზომამდე კატანეცი მიიყვანა არა მარტო ესპანელებთან მარცხმა, არამედ ზლატკო ზაჰოვიჩთან უთანხმოებამაც. ზაჰოვიჩმა მწვრთნელს უხეშად წაუყენა პრეტენზიები. მან კატანეცს ბრალი დასდო იმაში, რომ მწვრთნელს ლიუბლიანელთა მიმართ

უფრო დიდი სიმპათია აქვს. სრეჩკო ბრალდებამ გაანაწყენა. მას ზაჰოვიჩის გაძევებაც სურდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, რადგან მიიჩნია, რომ საქმისთვის უკეთესი იქნება, თუ გუნდს თავად დატოვებს.

## ტრისტანმა შეიძლება ითამაშოს

დიეგო ტრისტანმა მოიშუშა ტრავმა, რომელიც სლოვენიის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო. ამიტომ "დეპორტივოს" ფორვარდმა შეიძლება პარაგვაისთან მატჩში მიიღოს მონაწილეობა. "თავს ბევრად უკეთესად ვგრძნობ, - ამბობს დიეგო ტრისტანი, - ვფიქრობ, პარასკევს პრობლემები არ უნდა შემექმნას".

## სკანდალური პუბლიკაცია - დანიას ზურგში მახვილის ჩაცემას უპირებენ

დანიის ნაკრების ბანაკი შეშფოთებულია იმ ამბის გამომზეურებით, რასაც დანიელი ჟურნალისტები აპირებენ. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი ყოველკვირეული ჟურნალი აპირებს, გამოაქვეყნოს სტატია, რომელშიც დეტალურად არის მოთხრობილი დანიის ნაკრების ნახევარმცველის სტიგ ტეფტინგის მშობლების სიკვდილის ამბავი (ტეფტინგის მშობლები 19 წლის წინათ გარდაიცვალნენ). დანიელმა ფეხბურთელებმა მთელი გუნდის სახელით მიიღეს განცხადება, რომელშიც დაგმობილია ეს პუბლიკაცია. განცხადება ჟურნალისტების თანდასწრებით წაიკითხა დანიის ნაკრების კაპიტანმა იან ჰაინცემ და თქვა, რომ მსგავსი სტატიების გამოქვეყნება ყოვლად დაუშვებელია.

## ათასი წერო კამერუნის ნაკრებისთვის

კამერუნის ნაკრების ფეხბურთელები გაემგზავრნენ იაპონიის ქალაქ საიტამაში, სადაც დღეს საუდის არაბეთის ნაკრებს შეხვდებიან. აფრიკელებს გაჰყვა ათასი ქაღალდის წერო, რომლებიც მათთვის იაპონიის ქალაქ ფუძიიოშიდას სკოლის მოსწავლეებმა გააკეთეს. ამომავალი მზის ქვეყანაში პატარა წეროები დღეგრძელობისა და გამარჯვების სიმბოლოდ მიაჩნიათ. ბავშვებმა კამერუნელებს ორი პლაკატი გადასცეს. ერთზე ეწერა: "მშვიდობა დედამიწაზე", ხოლო მეორეზე: "მოუგეთ გერმანიას, მოუთვინიერებელო ლომებო".

## კაპელო სკოლარის აკრიტიკებს

იტალიური "რომას" მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ტეტრაკამპეონების დამრიგებელი ლუიშ ფელიპე სკოლარი. მისი თქმით, ემერსონის ტრავმა სკოლარის ბრალია. მას ფეხბურთელისთვის არ უნდა მიეცა უფლება, კარში ჩამდგარიყო. "მე ვარჯიშებზე ასეთ მეთოდებს არასოდეს ვიყენებ, რადგან ტრავმების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება," - განაცხადა კაპელომ.

შეგახსენებთ, რომ ორმხრივი ვარჯიშის დროს ემერსონი კარში ჩადგა და მხარი დაიზიანა, რის გამოც მსოფლიო ჩემპიონატზე ველარ ითამაშებს.

## თურქები მსაჯის შეცვლას მოითხოვენ

თურქეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს ფიფას, გამოცვალონ ბენინელი მსაჯი კოფი კოჯია, რომელიც თურქეთისა და კოსტა-რიკის ნაკრებთა მატჩს განსჯის.

"არა მგონია, რომ მსაჯმა იმ ქვეყნიდან, სადაც, როგორც ირკვევა, თურმე საფეხბურთო ლიგაც კი არ არსებობს, შეიძლება პროფესიონალურად განსაჯოს ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი მატჩი," - განაცხადა თურქეთის ნაკრების მენეჯერმა კან კობანოლლუმ.

თურქების შეშფოთება გასაგებია. პირველ ტურში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ სწორედ მსაჯის შეცდომამ გადაწყვიტა მატჩის ბედი, როცა თამაშის უკანასკნელ წუთებზე თურქების კარში მეტად საეჭვო პენალტი დაინიშნა.

## პროფკავშირული ვნებანი

ეკვადორელ გულშემატკივარს, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონატის თამაშების ნახვის შესაძლებლობა წაერთვას. ტელეკომუნიკაციის ეკვადორული ფირმის "ადინატელის" თანამშრომლები სამშაბათს სამუშაო ადგილების შემცირების წინააღმდეგ გამოვიდნენ და გაფიცვას გეგმავენ. პროფკავშირების ლიდერი ჯოვანი კაბრერა კი იმუქრებოდა, რომ სატელიტურ გადამცემებსა და სხვა საკომუნიკაციო სისტემებს მიწასთან გაასწორებდა.

მიუხედავად იმისა, რომ, დროში განსხვავების გამო, ეკვადორში თამაშები გვიან ღამით იწყება, ქვეყანაში დიდი საფეხბურთო ეიფორიაა. ჩემპიონატის დებიუტანტის პირველი მატჩისას იტალიის ნაკრების წინააღმდეგ (0:2) ტელემაუწყებლებმა მაყურებელთა ასტრონომიული რაოდენობა დააფიქსირეს.

## ფრანგები დანაკლისს განიცდიან

პირველ ტურში სენეგალთან მარცხის შემდეგ სამფეროვნები ვალდებულნი არიან, ურუგვაელები დაამარცხონ, მაგრამ თამაშის წინ ფრანგებმა მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადეს. ბარტეზთან შეტაკების შემდეგ ვარჯიშზე დაიმტვრა ლილიან ტიურამი. ექიმების თქმით, ის ურუგვაელთა წინააღმდეგ, ალბათ, ველარ ითამაშებს. ტიურამს ან ვილი სანიოლი ან მიქაელ სილვესტრი შეცვლის. შეგახსენებთ, რომ ტრავმების გამო საფრანგეთის ნაკრებს ვერ დაეხმარებიან ზინედინ ზიდანი და იური ჯორკაეფი.

როჟე ლემერი შავ დღეშია: თუ ტრავმირებული ფეხბურთელები არ ითამაშებენ, ფრანგებმა შეიძლება ვერ მოიგონ, რაც მათთვის კატასტროფა იქნება. ამიტომ ლემერმა განაცხადა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, ათამაშებს თუ არა ზიდანს ურუგვაის წინააღმდეგ. "ყველაფერი ზიდანზეა დამოკიდებული, - ამბობს საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი, - თუ მას ძალიან ენდომება, შეიძლება ითამაშოს კიდეც."

## პირველი მოლაპარაკებები მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას

წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას პირველი მოლაპარაკებები გაიმართა ტრანსფერთან დაკავშირებით. საუბარია ნიგერიელი აუგუსტინ ოკოჩას საფრანგეთის "პარი სენ ჟერმენიდან" ინგლისის "ბოლტონ უონდერერსში" შესაძლო გადასვლაზე.

"ბოლტონი პატარა, სასიამოვნო ქალაქია, მაგრამ მე ჯერ არაფერზე მომიწერია ხელი, თორემ აუცილებლად ვიტყოდი ამის შესახებ. ჯერჯერობით მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატი მაინტერესებს," – განაცხადა ოკოჩამ.

"ბოლტონს" უსასყიდლოდ შეუძლია 28 წლის ნიგერიელის გადაბირება, რადგან პარიზელებთან მისი კონტრაქტი 1 ივლისს იწურება და ის თავისუფალი აგენტი გახდება. ინგლისელებთან პირველი მოლაპარაკებებისას ოკოჩამ 3,3 მილიონი ევრო მოითხოვა.

ჩემპიონატების ისტორიიდან

# გახმაურებული სკანდალები

### 1978 წელი. არგენტინა „ პერუ 6:0

ეს მატჩი ბევრისთვის ჭორის საბაბად იქცა. არგენტინა-პერუსა და ბრაზილია-პოლონეთის თამაშებს ფინალისტთა ვინაობა უნდა გაერკვია. ბუნებრივია, მატჩები ერთდროულად უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ბრაზილია-პოლონეთის შეხვედრა 45 წუთით ადრე დაიწყო. სწორედ ეს გახდა ჭორის საბაბი. როცა არგენტინა-პერუს შეხვედრის მეორე ტაიმი დაიწყო (არგენტინის ნაკრები 2:0 იგებდა), სტადიონზე გამოაცხადეს, რომ ბრაზილიელებმა პოლონეთის ნაკრები 3:1 დაამარცხეს. გაირკვა, რომ არგენტინელებს, ფინალში გასასვლელად, სულ ცოტა, ოთხი ბურთი მაინც უნდა გაეტანათ. ჩემპიონატის მასპინძლებმა იოლად შეასრულეს ამოცანა (პერუელთათვის ეს მატჩი არაფერს წყვეტდა). მეორე დღეს ბრაზილიაში პერუს საელჩო დაარბიეს.

### 1982 წელი. გფრ „ ავსტრია 1:0

გერმანელებმა ანგარიში მე-10 წუთზე გახსნეს. ამის შემდეგ ორივეს აშკარად ეტყობოდა, რომ თამაში არ სურდა. ეს ანგარიში ორივე გუნდს ხელს აძლევდა. დანარჩენი 80 წუთი მეტოქეებმა გულშემატკივართა გამაყრუებელი სტვენის თანხლებით წარმართეს. ამ ფარსის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა მიშელ იდალგომ ირონიულად შენიშნა: "კარგი იქნება, თუ მატჩის მონაწილეებს მშვიდობისთვის ნობელის პრემიით დავაჯილდოებთ".

### 1982 წელი. საფრანგეთი „ კუვეიტი 4:1

ანგარიში 3:1 იყო, როცა ჟირესმა კუვეიტის კარში მეოთხე გოლი გაიტანა. საბჭოთა მსაჯმა სტუპარმა ფეხბურთელებს ცენტრისკენ მიუთითა. კუვეიტელები გვერდით მსაჯს მისცვივდნენ და დაუწყეს მტკიცება, რომ თამაშგარე იყო. კუვეიტელი შეიხი, რომელიც მატჩს ესწრებოდა, გვერდით ხაზს მიუახლოვდა და, თავისი ავტორიტეტის ძალით, სტუპარს გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ამან საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი მიშელ იდალგო აღაშფოთა. ამის შემდეგ მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. სტუპარი საერთოდ დაიბნა და, თავისუფალი საჯარიმო დარტყმის ნაცვლად, რომელიც, როგორც წესი, ოფსაიდების დროს ინიშნება, სადავო გდება დააფიქსირა. ამ მატჩის შემდეგ ფიფამ სტუპარს საერთაშორისო შეხვედრების ჩატარების უფლება ჩამოართვა.

# ეს ჯიროა!



ლუჩანო ტაიოლი
*მილანი*

სავსებით მართალი ბრძანდებით, ეს მშვენიერი ადგილები იტალიური ალპებია. რაო? მშობლიურ ადგილებს გაგონებთ? ჩემო ძვირფასო, ხეები, გორაკები ადამიანებივით არიან – ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ისე, გეტყობათ, პირველად ხართ ამ მხარეში. ამ უღელტეხილს გარდენა ჰქვია – ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრზე ვიმყოფებით. და თუ ნებასაც დამრთავთ, სიამოვნებით გაგიწევთ მეგზურობას. აქ ცოტა ხანში ისეთი ამბები დატრიალდება...

არა, ამ ხალხს ტურიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს. წლევანდელი ჯიროს მეჩვიდმეტე ეტაპის ტრასა ამ უღეტეხილზეც გადის. ველოსიპედისტებს ელოდებიან – პელოტონმა ამ უღელტეხილზე უნდა გადაიაროს. პელოტონი? ასე სპორტსმენთა ყველაზე მრავალრიცხოვან, ძირითად ჯგუფს ეძახიან. ვაკეზე გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები სწორედ ამ ჯგუფში "მოგზაურობენ". უფრო სწორი იქნებოდა, "ისვენებენ"-მეთქი. თანაგუნდელების ზურგებს ამოფარებულები, თითქმის არავითარ წინააღმდეგობას არ ხვდებიან – დროდადრო თუ დაატრიალებენ პედლებს, ისიც ყასიდად. აქ, მთებში კი ყველაფერი იცვლება. სიჩქარე საგრძნობლად ეცემა და პელოტონში ჯდომას აზრი აღარა აქვს. ლიდერები საფარიდან გამოდიან და იწყება... ჯირო იტალიის, და საერთოდ, ყველა მრავალდღიანის მთიანი ეტაპები სწორედ ის ადგილია, სადაც, როგორ გითხრათ უფრო ხატოვნად, ტრაკიანი ბიჭები არკვევენ ურთიერთობას. ამის ყურება ერთ რამედ ღირს. ახლა რამდენიმე კილომეტრზე რომ ჩავყვეთ ამ ხეობას, ადამიანების აი, ეს ცოცხალი დერეფანი ხეობის თითქმის ძირიდან იწყება. წყლით სავსე ბოთლებს ხომ ხედავთ – ეგ აი, იმ მაგარი ბიჭებისთვის აქვთ – აედევნებიან და, ალბათ, ხვდებით, რას ნიშნავს ცივი წყლის თუნდაც ერთი შხეფი, როცა სიცხისა და დაღლოლობისგან ხვითქი გადაგდის და გული ყელში გაქვს მობჯენილი! იტალიელები? ჰო, მაგრამ, თქვენ რა, იტალიური იცით? გასაგებია. ცოტ-ცოტა, ზოგი საიდან, ზოგი საიდან... მასკანი? რამდენიმე ვარიანტი? 1907 წლის ჩანაწერიც? თქვენ მე მაოცებთ, ჩემს კლიენტებს, როგორც წესი, გაცილებით მეტი ჯიბეებში უყრიათ, ვიდრე ზევით, სხვენში.

მოდიან!

აი იმ, ეშმაკის ნიღაბში გამოწყობილ ფიწლიან კაცს ხომ ხედავთ. ოცდახუთი წელიწადია, ყველგან თან დაჰყვება ველოსიპედისტებს. ჯიროზეც, ტურ დე ფრანსზეც, ვუელტაზეც. როგორ გითხრათ, ამ მრავალდღიანების თილისმაა. პირველივე მთიან ეტაპზე გამოჩნდება ხოლმე. ასე მგონია, უმისოდ ყველა ეს შეჯიბრება ჩაფლავდება.

ფავორიტები? იყო რამდენიმე. სიმონი და გარძელო – შარშანდელი და შარშანწინდელი გამარჯვებულები აკრძალული პრეპარატების ხმარებაში გამოიჭირეს. მარკო პანტანი გეცოდინებათ. ახლახან გადმოსცეს ტრასიდან, მიუტოვებია ჯირო. ეტყობა, ვერ არის ჯანზე. ახლა იმასაც თუ დავამატებთ, რომ არ ჩამოვიდნენ ტურ დე ფრანსის 1997 წლის ჩემპიონი, გერმანელი იან ულრიხი და ტურის სამგზის გამარჯვებული, ამერიკელი ლანს არმსტრონგი... თუმცა, იცით, რა? მე ეგენი დიდ სპორტსმენებად, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, არ მიმაჩნია. წელიწადში ერთადერთი სერიოზული შეჯიბრების მოგება... დიდ ეჭვებს ბადებს. თვით პანტანიც კი, რომელიც ბოლო სამი წელიწადია, მართლაცდა გააწამეს ათასგვარი ბრალდებებით, ტურ დე ფრანსზე არმიწვევით და სხვა მამაძაღლობებით – ეტყობა, ვიღაცას ძალიან უშლიდა ხელს – აი, თვით პანტანისაც კი, 1998 წლის სეზონში ზედიზედ აქვს მოგებული ჯერ ჯირო, მერე კი – ტური. მართლა დიდ ველოსიპედისტებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია – ხუთ-ხუთჯერ აქვთ მოგებული ტურ დე ფრანსი მერქსს, ანკეტილს, ინოსა და ინდურაინს. თითოეულ მათგანს თითქმის ამდენჯერვე – ჯირო იტალია. როგორ თქვით? უძაღლო ქვეყანაშიო? კარგი ნათქვამია, მშვენიერია, მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: იტალიურ წრეს პაოლო სავოლდელი მოიგებს. ტურზე კი ორი ბიჭი მეგულება – ორივე ესპანელია. დროა უკვე, დიდ მიგელ ინდურაინს მემკვიდრე გამოუჩნდეს!

სპრინტი? ჰო, რა თქმა უნდა, კარგი საყურებელია. მაგრამ მრავალდღიანი მაინც სულ სხვაა – ნამდვილი კაცების სპორტია. სამი ათასი კილომეტრი აღმართ-დაღმართებში, წვიმასა და სიცხეში. ოცდაერთი დღე, ყოველდღიურად ხუთი, შვიდი, ზოგჯერ რვა და ცხრა საათიც კი. ვერ ისიმულანტებ, ვერავისთან დაიწუწუნებ, გამამხნევებელი შეძახილებიც მხოლოდ აღმართებში მოგყვება, მაშინ, როცა არც არაფერი გესმის და ტყვიასავით დამძიმებული სხეული ერთადერთს – დასვენებასღა გთხოვს.

როგორ თქვით? ველოსიპედი და გაზეთიო?! თქვენ რა, პირველად უყურებთ ჯიროს? ჰო, ზუსტად ეგრეა, რამდენი აღმართიც აქვთ ასავლელი, იმდენ გაზეთს იმარაგებენ. არა, სულაც არ ვხუმრობ. წასაკითხად? აი შეხედეთ!

რა თქმა უნდა, ყველა ეგრე მოიქცევა. ქაღალდი კარგად იშრობს ოფლს, თან დაღმართზე ცივი ნიავისგან დაიცავთ. პრიმიტიული საშუალებაა, მაგრამ ყველაზე ნაღდი. ჰე! ეგ რა არის, ისეთები ხდება მრავალდღიანებში!...

მაგალითად? თუნდაც იმის ცქერა, როგორ "სადილობენ" ველოსიპედისტები გზადაგზა, როგორ ჩამწკრივდებიან ხოლმე გზისპირებზე ხანგრძლივი რბოლით შეწუხებული თუ შეჭირვებული სპორტსმენები... და საერთოდ, რადგან თქვენი მეგზურობა ვიკისრე, ორიოდე სიტყვით იმაზეც მოგიყვებით, რაც, სავსებით შესაძლოა, რომ არც იცოდეთ.

მრავალდღიან ველორბოლებში დაახლოებით ოცი გუნდი მონაწილეობს. ხან ცოტა მეტი, ხანაც – ნაკლები. გუნდში ცხრა კაცია, აქედან ერთი "ჯილაა", ერთიც – სპრინტერი. "ჯილა" საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის იბრძვის, სპრინტერი – ცალკეული ვაკე-ეტაპების მოსაგებად. დანარჩენი შვიდი, ეგრეთ წოდებული გრეგარები, ამ ორის სამსახურშია. მათ მუშებსაც ეძახიან. სხვათა შორის, ყველა დიდ სპორტსმენს, სანამ ის "ჯილად" იქცეოდა, გრეგარობის საკმაოდ მძიმე ცხოვრება აქვს გავლილი. სპრინტერებს მეტწილად "პეპლებად" ან "ჩიტუნებად" მოიხსენიებენ, მათი ერთობ ვიწრო სპეციალიზაციისა და იმის გამოც, რომ არასაკმარისი გამძლეობის გამო საკმაოდ ხშირად ვერ ახერხებენ მრავალდღიანის ფინიშზე მისვლას. მათი მოღვაწეობა ძირითადად ვაკე-ეტაპების მხოლოდ ბოლო ასორას მეტრზე ძალების მაქსიმალური მობილიზებით შემოიფარგლება.

ალბათ, დაგღალეთ, არა? საინტერესო? რას ამბობთ, ეს მხოლოდ ის არის, რაც თვალის ერთი გადავლებითაც მშვენივრად ჩანს. ამას გარდა, არის კიდევ ტაქტიკა, სტრატეგია, სამზარეულო... აი, პელოტონიც გადავიდა უღელტეხილზე. დროა, ჩვენც დავეშვათ. არ დაგავიწყდეთ, გაიმარჯვებს სავოლდელი – ჯირო იტალიელმა უნდა მოიგოს!

*P.S. სამი დღის შემდეგ ჯიროს მილანში ჰქონდა ფინიში. ეტაპი სპრინტერმა მარიო ჩიპოლინიმ მოიგო, საერთო ჩათვლა და ჯირო დ`იტალიის ჩემპიონობა – პაოლო სავოლდელიმ. გამართლდა ჩემი იტალიელი მეგზურის პროგნოზი. ახლა, რაც შეეხება ტურ დე ფრანსსა და ორ პერსპექტიულ ველომრბოლს. ერთი ესპანელის გვარია სევილა, მეორე კი რატომღაც აღარ უხსენებია ლუჩანოს. შესაძლოა, დაავიწყდა გვარი, შესაძლოა... რა ვიცი, იქნებ ტოტალიზატორშიც აპირებს დიდი კუშის მოტეხვას.*

კ.ი.


თქვენი რეკლამა

ტელ.: 322-371, 322-271, ფაქსი: 250-051


## ტოტალიზატორი „კოპა„

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 039 | 06-06-2002 | 11:30 | დანია-სენეგალი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.52 | 1.30 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 041 | 06-06-2002 | 14:00 | კამერუნი-საუდ. არაბეთი | 1.20 | 5.00 | 9.00 | - | 3.21 | 1.06 | 1.45 | 2.5 | 2.10 |
| 043 | 06-06-2002 | 16:30 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.03 | 2.28 | 1.19 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 045 | 07-06-2002 | 11:30 | შვედეთი-ნიგერია | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.47 | 1.28 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 047 | 07-06-2002 | 14:00 | ესპანეთი-პარაგვაი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.09 | 1.95 | 1.24 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 049 | 07-06-2002 | 16:30 | არგენტინა-ინგლისი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.52 | 1.30 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 051 | 08-06-2002 | 11:30 | ს. აფრიკა-სლოვენია | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 | 1.75 | 2.5 | 1.75 |

## ტოტალიზატორი „ლამიგო„

| თარიღი | წყვილი | კოდი | 1 | X | 2 | კოდი | 1X | X2 | კოდი | 2.5> | 2.5< | კოდი | 1 გოლი 1 | 1 გოლი 2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **მსოფლიო ჩემპიონატი** | | | | | | | | | | | | 1 | 2 |
| 06/06/2002 14:00 | კამერუნი არაბეთი | **025** | 1.25 | 4.5 | 10.0 | **1025** | | 3.1 | **2025** | 1.5 | 2.0 | **3025** | 1.1 | 3.5 |
| 06/06/2002 16:30 | საფრანგეთი ურუგვაი | **026** | 1.45 | 3.6 | 6.5 | **1026** | | 2.28 | **2026** | 1.6 | 1.9 | **3026** | 1.25 | 2.4 |
| 06/06/2002 11:30 | დანია სენეგალი | **027** | 2.2 | 3.0 | 3.2 | **1027** | 1.26 | 1.53 | **2027** | 1.8 | 1.8 | **3027** | 1.7 | 1.9 |
| 06/07/2002 11:30 | ნიგერია შვედეთი | **028** | 2.5 | 3.0 | 2.5 | **1028** | 1.35 | 1.35 | **2028** | 1.7 | 1.8 | **3028** | 1.8 | 1.8 |
| 06/07/2002 14:00 | ესპანეთი პარაგვაი | **029** | 1.65 | 3.3 | 5.4 | **1029** | 1.1 | 2.0 | **2029** | 1.7 | 1.8 | **3029** | 1.45 | 2.0 |
| 06/07/2002 16:30 | არგენტინა ინგლისი | **030** | 2.1 | 3.1 | 3.2 | **1030** | 1.25 | 1.55 | **2030** | 1.7 | 1.8 | **3030** | 1.65 | 1.8 |
| 06/08/2002 11:30 | ს.აფრიკა სლოვენია | **031** | 3.0 | 3.1 | 2.25 | **1031** | 1.5 | 1.3 | **2031** | 1.7 | 1.75 | **3031** | 1.9 | 1.7 |
| 06/08/2002 14:00 | იტალია ხორვატია | **032** | 1.55 | 3.1 | 4.5 | **1032** | 1.03 | 1.8 | **2031** | 1.8 | 1.6 | **3032** | 1.3 | 2.0 |
| 06/08/2002 16:30 | ბრაზილია ჩინეთი | **033** | 1.15 | 5.5 | 10.0 | **1033** | | 3.4 | **2033** | 1.5 | 2.0 | **3033** | | 5.0 |
| 06/09/2002 11:30 | მექსიკა ეკვადორი | **034** | 2.2 | 2.9 | 3.0 | **1034** | 1.25 | 1.45 | **2034** | 1.65 | 1.85 | **3034** | 1.7 | 1.9 |

### ვინ გახდება ბომბარდირი

| | | | |
|---|---|---|---|
| 06/05/2002 12:00 | ვიერი | **400** | 9.0 |
| 06/05/2002 12:00 | ანრი | **401** | 9.0 |
| 06/05/2002 12:00 | ოუენი | **402** | 9.0 |
| 06/05/2002 12:00 | რაული | **403** | 10.0 |
| 06/05/2002 12:00 | კრესპო | **404** | 10.0 |
| 06/05/2002 12:00 | ტრეზეგე | **405** | 10.0 |
| 06/05/2002 12:00 | რონალდო | **406** | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | რივალდო | **407** | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბატისტუტა | **408** | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | ლოპესი | **409** | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | მორიენტესი | **410** | 15.0 |
| 06/05/2002 12:00 | დელპიერო | **411** | 18.0 |
| 06/05/2002 12:00 | ინძაგი | **412** | 18.0 |
| 06/05/2002 12:00 | მონტელა | **413** | 20.0 |
| 06/05/2002 12:00 | ტრისტანი | **415** | 20.0 |
| 06/05/2002 12:00 | რონალდინიო | **416** | 25.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბექჰემი | **417** | 25.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბალაკი | **418** | 25.0 |
| 06/05/2002 12:00 | ტოტი | **419** | 28.0 |
| 06/05/2002 12:00 | ფიგუ | **420** | 30.0 |
| 06/05/2002 12:00 | ზიდანი | **421** | 30.0 |
| 06/05/2002 12:00 | ნოივილი | **422** | 35.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბირჰოფი | **423** | 40.0 |
| 06/05/2002 12:00 | შუქური | **424** | 45.0 |
| 06/05/2002 12:00 | რეკობა | **425** | 50.0 |
| 06/05/2002 12:00 | ჰესკი | **426** | 50.0 |
| 06/05/2002 12:00 | ნაკატა | **427** | 60.0 |
| 06/05/2002 12:00 | მოსტოვოი | **428** | 70.0 |

### რომელი კონტინენტის წარმომადგენელი გახდება მს. ჩემპიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| 06/05/2002 12:00 | ევროპა | **430** | 1.5 |
| 06/05/2002 12:00 | ამერიკა | **431** | 2.0 |
| 06/05/2002 12:00 | აფრიკა | **432** | 15.0 |
| 06/05/2002 12:00 | აზია | **433** | 50.0 |

| თარიღი | წყვილი | კოდი | 1 |
|---|---|---|---|
| | **2002წ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება** | | |
| 06/05/2002 12:00 | საფრანგეთი | **600** | 4.0 |
| 06/05/2002 12:00 | ბრაზილია | **601** | 5.0 |
| 06/05/2002 12:00 | არგენტინა | **602** | 5.0 |
| 06/05/2002 12:00 | იტალია | **603** | 6.0 |
| 06/05/2002 12:00 | ინგლისი | **604** | 8.0 |
| 06/05/2002 12:00 | გერმანია | **605** | 10.0 |
| 06/05/2002 12:00 | ესპანეთი | **606** | 12.0 |
| 06/05/2002 12:00 | პორტუგალია | **607** | 14.0 |
| 06/05/2002 12:00 | ნიგერია | **608** | 50 |
| 06/05/2002 12:00 | კამერუნი | **609** | 50 |
| 06/05/2002 12:00 | პარაგვაი | **610** | 50 |
| 06/05/2002 12:00 | რუსეთი | **611** | 50 |
| 06/05/2002 12:00 | ხორვატია | **612** | 50 |
| 06/05/2002 12:00 | შვედეთი | **613** | 60 |
| 06/05/2002 12:00 | დანია | **614** | 60 |
| 06/05/2002 12:00 | პოლონეთი | **615** | 75 |
| 06/05/2002 12:00 | იაპონია | **616** | 75 |
| 06/05/2002 12:00 | ბელგია | **617** | 75 |
| 06/05/2002 12:00 | ირლანდია | **618** | 75 |
| 06/05/2002 12:00 | თურქეთი | **619** | 75 |
| 06/05/2002 12:00 | ურუგვაი | **620** | 100 |
| 06/05/2002 12:00 | ეკვადორი | **621** | 100 |
| 06/05/2002 12:00 | მექსიკა | **622** | 100 |
| 06/05/2002 12:00 | სლოვენია | **623** | 150 |
| 06/05/2002 12:00 | კორეა | **624** | 150 |
| 06/05/2002 12:00 | აშშ | **625** | 150 |
| 06/05/2002 12:00 | სამხრეთ აფრიკა | **626** | 160 |
| 06/05/2002 12:00 | ტუნისი | **627** | 200 |
| 06/05/2002 12:00 | კოსტა რიკა | **628** | 200 |
| 06/05/2002 12:00 | სენეგალი | **629** | 300 |
| 06/05/2002 12:00 | ჩინეთი | **630** | 300 |
| 06/05/2002 12:00 | საუდის არაბეთი | **631** | 300 |

# კვება, როგორც ხელოვნება

## ჩემპიონატის დიეტა იაპონურად



სადაო ჰამადა და მიცუო ოჩიაი

REUTERS

მატჩის დაწყებამდე ჯერ კიდევ დრო გვაქვს, სადილობას მოვასწრებთ. "სუში იასუდა", "საკა გურა", "კურუმა ზუში" და კიდევ ათასი სხვა დასახელება აქამდე შესაძლოა, გსმენიათ კიდეც. მაგრამ დღეს მაინც განსაკუთრებული სადილი გელით – იაპონური სამზარეულო იაპონიაში. ეს სულ სხვა გარემოა, რომელიც არაფრით ჰგავს ამერიკულ ან ევროპულ კონტექსტში გადასხვაფერებულ იაპონურ რესტორანს.

არა უშავს, თუ საჩემპიონატოდ ტოკიოში ჩასულს, წესები ბოლომდე არ გესმით. სახელდახელო გაკვეთილი და დაუწერელი წესები თქვენთვის:

ყოველი იაპონელი გურმანია და კერძის მომზადების პროცესი მისთვის წმინდა რიტუალს ჰგავს.

საუკუნეების წინ ბუდისტების მიერ ხორცეულზე დაწესებულმა "სანქციამ" იაპონური სამზარეულო სოიოზე აგებული, ვეგეტარიანული კერძებით გაამდიდრა. თუმცა, ის "მონათესავე" სამზარეულოებისგან არა იმდენად გემოთი, არამედ გარეგნობით განსხვავდება.

სულ ერთია რა იქნება ეს, საკე თუ თქვენთვის უფრო "მშობლიური" მანგოს წვენი – როცა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე სვამთ, ჭიქის შევსების უფლება ყოველთვის სხვას უნდა მისცეთ. შესაბამისად, თანაკომპანიონების სასმელით მომარაგებაზეც თავად უნდა იზრუნოთ.

დაემშვიდობეთ დანა-ჩანგალს. რესტორნებში მათ ფუნქციას ჩხირები ასრულებს. თუკი, გაკადნიერდებით და ჩანგალს მოითხოვთ, შესაძლოა, მოგიტანონ კიდეც. თუმცა, ჩანგალს თან ოფიციანტის ამრეზილი გამოხედვაც მოჰყვება და თქვენც მაშინვე ინანებთ, რომ შეუკვეთეთ.

ნურასდროს დატოვებთ ვერტიკალურად ჩარჭობილ ჩხირებს ბრინჯის ჯამში. ამას იაპონელები სასტიკ შეურაცხყოფად მიიღებენ.

თუ თავს ცხელი და სველი ტილოთი შეიარაღებული ოფიციანტი დაგადგათ, გაიცანით – მას ხელში ოშიბორი (სეზონურად გაცხელებულ-გაგრილებული სველი ხელსახოცი) უჭირავს. ოშიბორით სადილის წინ ხელები უნდა გაიმშრალოთ.

ყოველ სადილს წინ წვენი უძღვის. თუმცა, ტყუილად ელით კოვზის გამოჩენას. გაბედულად აიღეთ ჯამი და მოხვრიპეთ – წესი ასეთია.

თუ ზღვის ბინადრები არა მარტო ზღვებში და ოკეანეებში, არამედ თეფშზეც გიყვართ, მაშინ ჩათვალეთ, რომ სამოთხეში აღმოჩნდით – იაპონელები მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობისა და სახეობის თევზეულს ანადგურებენ და, შესაბამისად, არც თქვენთვის დაიშურებენ.

ახლა კი ტოკიოს ქუჩებს დავუყვეთ და რესტორანი ავირჩიოთ. თვალის აჭრელების, დაბნევის და ჭამის სურვილის დაკარგვის იოლად გადასატანად ციფრებს შემოგაშველებთ. თქვენი რეაქცია აბსოლუტურად ბუნებრივია – ტოკიოში ხომ 80 ათასზე მეტი რესტორანია, ყველანაირი გემოვნების, ჯიბის, გაქანების და ფანტაზიის მქონე ადამიანისთვის. ასე რომ, არჩევანის გაკეთება მართლაც რთულია. თუმცა, ამ ფაქტს ოპტიმისტი ტურისტის თვალით შეხედეთ, რომელიც ღიმილით და ენერგიულად ამბობს: "სიახლეებთან შესახვედრად ყოველთვის მზად ვარ" და მაშინ იქნებ სადილობის ერთი ჩვეულებრივი პროცესი მძაფრსიუჟეტიან თავგადასავლადაც აღიქვათ.

ეს-ეს არის სასტუმრო "ტოკიოს" რესტორან "რონდ პოინტში" შევაბიჯეთ. საფირმო კერძი, "მეფე და მეფე" არა მარტო გემოს, სილამაზის ზეიმიც არის და 12 ათასი იენი ღირს. აქ ჩვენი პრეტენზიული გემოვნების დაკმაყოფილებას მრავალგზის დაჯილდოებული მზარეულები სადაო ჰამადა (ის კაისეკის ჯადოქარია) და მიცუო ოჩიაი ცდილობენ.

კაისეკი რიორი – ამ სტილის სამზარეულოს დაგემოვნება შესაძლოა, 70 ათასი იენიც დაგვჯიდეს. თუმცა, გურმანი მდიდრები ამ ფულს ტყუილად დაფანტულად არ თვლიან. მინიატურული ზომის მიუხედავად, ულამაზესი დიზაინის ფონზე, თითოეული კერძი მადისაღმძვრელად გამოიყურება. თუმცა, არც იმის განცდა გშორდება, რომ შენს წინაშეა ხელოვნების ანტიკვარული ნიმუში, რომელსაც საკმარისია, ხელით შეეხო და მუზეუმის დაცვა გარეთ მიგაბრძანებს. თუმცა, გაბედეთ და გასინჯეთ ჰამადას მიერ დამზადებული 40 კერძიდან რომელიმე – ზღაპარში აღმოჩნდებით.

თუმცა, უკაცრავად, სანამ კერძებით ტკბობაზე გადავიდოდეთ, ჯერ ინტერიერით დავტკბეთ. რესტორანში შესვლამდე ბამბუკის ბაღი უნდა გავიაროთ, რომელიც ეგზოტიკური სამზარეულოსთვის განწყობას წინდაწინვე გვიქმნის. ოფიციანტს დასაწყისისთვის, "ყელის ჩასაწმენდად" ალუბლის ლიქიორი მოაქვს, შემდეგ იწყება იაპონურ-ფრანგული სამზარეულოს ნაზავი შედევრები. გახსოვდეთ, სიჩქარე საჭირო არ არის – თითოეული კერძით სიამოვნება უნდა მიიღოთ.

"რონდ პოინტში" საგანგებოდ შემოგიყვანეთ – პირველივე ჯერზე წმინდა იაპონურ განცდებს მოგარიდეთ. თუმცა, თუ ამ ეგზოტიკასთან ზიარება მაინც გსურთ, მაშინ "ედოკო იაკიტორიში" შევიდეთ. ორსართულიანი ხის რესტორანი, პირდაპირ ტოკიოს ცენტრში – მონძენაკაჩოში. იქ იაპონურ სამზარეულოსთან ზიარება ზენიტს აღწევს, რადგან რესტორნის მეპატრონე ჰისაკო ნარიტა წმინდა იაპონურ კერძებს თქვენ თავად გამზადებინებთ. გრილზე შესაწვავად დიდი არჩევანი გაქვთ – ქათმის ფრთები, ღვიძლი, შიტაკე, ნეგიმა და სოკო. თუმცა, პირველ რიგში სასმელი აირჩიეთ – ადგილობრივი ლუდი, ან უფრო მაგარი – საკე, შოჩუ ან ვისკი. თუ გნებავთ, შეფპოვრები სალათებსაც თავად დაგამზადებინებენ – კარტოფილისა და კვერცხის, ზღვის მცენარეების, ხორცის... თუმცა, არავინ გაძალებთ, შეგიძლიათ შეკვეთა მისცეთ, ნელ-ნელა წრუპოთ საკე და თქვენს შეკვეთას დაელოდოთ...

ოღონდ, ფრთხილად – იაპონურ როლებში ძალიან ნუ შეიჭრებით. თქვენი იაპონიაში ჩასვლის უმთავრესი მიზეზი არ დაგავიწყდეთ...

# დილეტანტის ვიზიტი საბილიარდოში

## ანუ მოკლე ცნობარი ბითური მოთამაშეებისთვის

მადი სერებრიაკოვა

არ მეგონა საქართველოში ბილიარდი ასე მოდაში თუ იყო. ვიფიქრე, მივალ კლუბში, მინერალურ წყალს დავლევ, მეგობრებთან წავიჭორავებ-თქო. მაგრამ, ნურას უკაცრავად. შესვლისთანავე ისეთ სურათს წავაწყდი, რომ მერე, ორი დღე სულ ჭრელ-ჭრელი ბურთები მელანდებოდა. ჩვენთან ბილიარდს ყველა სქესის, ასაკისა და პროფესიის დამფასებელი ჰყავს. კლუბში პოლიტიკოსებიც თამაშობენ და ლელა წურწუმიაც, 60 წლის კაცებიც მოდიან და ერთხელ 4-5 წლის (!) ბავშვიც აღმოვაჩინე.

კლუბის სახელწოდებიდან გამომდინარე, იქ სავარაუდოდ 12 მაგიდა უნდა იყოს, თუმცა ამ მხრივ ანგარიში არ მიწარმოებია. "ნამდვილი", დიდი მაგიდებიც დგას და პატარა "ლაგუშატნიკებიც". ჩემი თვალი პირველ რიგში - ბარმა მიიპყრო, ხოლო პარტნიორი მამაკაცების - ბარის თავზე ბილიარდის თემაზე გამოკიდულმა ეროტიულმა ფოტოებმა.

თუმცა, ბარი უკეთესიც მინახავს და ფოტოებიც - უფრო "გულახდილი". საბილიარდოში მთავარია ბილიარდის თამაში იცოდე. ეს კი, არც ისე იოლი საქმეა.

უფრო ადვილია, თამაში პატარა მაგიდაზე დაიწყო. მარტო იმიტომ კი არა, რომ წითელი მაგიდა მწვანეზე მეტად აღაგზნებს, არამედ იმიტომ, რომ დამიზნება ადვილია და თან, ჯან-ღონესაც ნაკლებს ითხოვს. დიდი მაგიდა მათ იზიდავთ, ვისაც საკუთარი ოსტატობით ტკობა და ეფექტურ პოზებში მაგიდის გარშემო ძრომიალი მოსწონს. დიდი მაგიდის უპირატესობა ისიც არის, რომ თამაშიც დიდხანს გრძელდება. თუ მაინცდამაინც ტანადი არ ხარ და მაგიდაზე წამოწოლაც დიდად არ გეპიტნავება, შეიძლება ე.წ "ტიოშჩა" გამოგადგეს. "ტიოშჩა" ადრე მტვერსასრუტის გამოგონებამდე იატაკებს რომ წმენდდნენ - იმ ჯოხს წააგავს. ამიტომ ფრთხილად იყავი და "ტიოშჩას" მაგივრად "შვაბრა" არ მოითხოვო - ცუდ ტონად ჩაგეთვლება.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

როცა, ჩემი არ იყოს, ბილიარდის თამაშს სწავლობ, პირველ რიგში მთავარია საკუთარ მუსკულატურაში იმდენი ძალა გამონახო, რომ ბილიარდის კია დაძრა. მეორე, და მნიშვნელოვანი ამოცანაა, მისით მანევრირება ისწავლო, ისე, რომ როგორმე მეზობელ მაგიდაზე მოთამაშეთა საჯდომებს აარიდო. დამიზნებაც არ გაწყენს, თუმცა, თავიდან თამაშს რომ სწავლობ - ეს ყველაფერი ავტოფარეხში სატვირთო მანქანის შეყვანას გავს: "აბა, ცოტა მარცხნივ.. არა, არა, მარჯვნივ, ნელა, ნელა"... თუ შემთხვევით მოახერხებ და ლუზაში საკუთარ ბურთს ჩააგდებ - "გოოოლ" არ უნდა იყვირო. საერთოდ, ბილიარდი წყნარი სპორტია და დროშების ფრიალით აქ არავინ დაგიჭერს მხარს. ბურთებზე გამახსენდა: თუ საკუთარ ბურთებს, მოწინააღმდეგისასგან ვერ არჩევ - ამას დალტონიზმს ნუ დააბრალებ. ფერი არაფერ შუაშია, მთავარია ზოლებს დააკვირდე ბურთების გარშემო.

ფერთან დაკავშირებით მხოლოდ შავი და თეთრის ცნობა გჭირდება. შავს ვინც ჩააგდებს – მოგებულიც ის არის. მაგრამ ძალიან არ იჩქარო, ეს მანევრი ბოლოსთვის შემოინახე, თორემ თუ შავის ჩაგდება ადრე მოგივიდა – გამარჯვებას მოწინააღმდეგეს ჩაუთვლიან და ჩაგეყრება ამდენი ღვაწლი წყალში.

ყველაზე აქტიურად ბილიარდში ინერციის კანონი მოქმედებს. მიზეზ-შედეგობრიობაც მეტად აქტუალურია, ოღონდ მიზეზი თეთრი ბურთი უნდა იყოს, შედეგი კი - ლუზაში ელეგანტურად ჩაგორებული შენი ფერადი ბურთი. შეეცადე თეთრიც არ მოახვედრო ლუზაში, თორემ გეტყვიან "ფოლიაო" და უყარე მერე კაკალი – სულ თავის ჭკუაზე დაატრიალებენ თამაშს. ისე, საჭირო დროს მსგავსი ტერმინებით ოპერირება ძალიან მომგებიანი საქმეა, თუმცა, ეს მეორე მისვლისთვის გადავდოთ.

### ქართველები გერმანიაში

## სპორტული მაღაზია

როგორც გაზეთი "ნოიეს ფოლკბლატ" იუწყება, გასულ კვირას, ველსში, სპორტული საქონლის მაღაზიაში, პოლიციამ ქართველი მანდილოსნების სამეული დააკავა (უმცროსი 15, ხოლო უფროსი – 33 წლისა). უფროსი ქალბატონის ბინის ჩხრეკის შედეგად გაოგნებულმა პოლიციელებმა არნახული რაოდენობის სათვალეები, კოსმეტიკა და ტანსაცმელი აღმოაჩინეს. ნაქურდალი საქონელი საქართველოში გადასაგზავნად იყო გამზადებული.

## ორგანიზებული ქურდობა

ბად ზეკინგენის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ლტოლვილთა ბანაკ ალბბრუკში მცხოვრებ სამ ქართველს, რომელთაც ბრალად ორგანიზებული ქურდობა ედებოდათ. მათგან უმცროსს (22 წლისას) მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 5 თვის, 25 წლისას – შვიდი თვის, ხოლო 27 წლისას – ექვსი თვის ვადით. ქურდები დააკავეს აპრილში, ბაზარზე, სადაც ისინი ხელის ტელეფონებს იპარავდნენ (ფასი – დაახლოებით 60 ევრო). როგორც გამოძიებამ დაადგინა, ახალგაზრდები გერმანიაში ცხოვრების ექვსი თვის განმავლობაში ამგვარად ირჩენდნენ თავს.

## ფეხსაცმელი

ქალაქ ბადენის ერთ-ერთი ფეხსაცმლის მაღაზიის გამყიდველი ანდრეა არდელანი ლამის სახალხო გმირად აღიარეს. "მოქალაქეობრივი სიმამაცე", "სწრაფი რეაქცია და განსაკუთრებული გამბედაობა" – ასეთი წარწერები ამშვენებს ქალბატონ არდელანის ფოტოსურათებს. ამბავი კი შემდეგში მდგომარეობს:

ფეხსაცმლის მაღაზიაში კაცმა აიღო 50 ევროდ ღირებული ფეხსაცმელი და თავის გზაზე წავიდა. გამყიდველი გაეკიდა ქურდს, დაეწია და სახელოში ჩასჭიდა ხელი. მაგრამ ქურდი ქურთუკიდან გამოძვრა, დაყარა ფეხსაცმელი და გაიქცა. ერთ ხანს მამაცმა გამყიდველმა ქურდი თვალსაწიერიდან დაკარგა, მაგრამ აქ უკვე გამვლელმა ივაჟკაცა და უთხრა, ის კაცი ტრამვაიში ზისო.

ქალი გაქანდა, ტრამვაის შემდეგ გაჩერებაზე დაეწია და ქურდს ეცა. ქურდმა ერთხელაც მოახერხა გაქცევა, მაგრამ მდევარი არ შეეშვა და მანამდე ჰყავდა ჩაბღუჯული, სანამ სამართალდამცავებმა არ ჩამოიარეს.

ყველაზე შთამბეჭდავი კი ის ამბავია, რომ ამ საგმირო საქმეზე ანდრეა არდელანს ჩვენმა თანამემამულემ უბიძგა: დაკავებული აღმოჩნდა 33 წლის უმუშევარი ქართველი, რომელიც ბანაკ ტრაისკირხენში გერმანიის ფედერაციის კმაყოფაზე ცხოვრობდა.

### ამბები

## რინგო სტარი კონტრაქტს ახანგრძლივებს

რინგო სტარმა დაადასტურა ხმები, რომ კონტრაქტი გააგრძელა ხმისჩამწერ კომპანია KOCH-თან. სწორედ ამ კომპანიამ გამოსცა მუსიკოსის ერთ-ერთი ბოლო კომპაქტ-დისკი The Anthology: So Far. ექსბითლის ახლობლების თქმით, მუსიკოსმა დაიწყო მუშაობა მორიგ ალბომზე, რომლის პროდიუსერიც კვლავ მარკ ჰადსონი იქნება. ვინაიდან რინგო სტარის უკანასკნელ ალბომებს არ ჰქონია კომერციული წარმატებები, არაა გასაკვირი თუ კომპანია მიიღებს საგანგებო ზომებს საკუთარი ნაბიჯის გასამართლებლად. სწორედ ამ მიზნით დაგეგმილია რინგო სტარის შეხვედრა თაყვანისმცემლებთან და მისი ავტოგრაფ-სესიები აუდიოპროდუქციის მაღაზიებში.

## ვარსკვლავები ქედს იხრიან The Ramones წინაშე

როდ ზომბიმ საკუთარ ოფიციალურ საიტზე მისცა ინფორმაცია, რომ ასრულებს მუშაობას The Ramones-ისადმი მიძღვნილი ალბომის გარეკანზე. დისკს ხმისჩამწერი კომპანია Columbia Records ამ ზაფხულს გამოუშვებს. დისკში შესულია ლეგენდარული ჯგუფის სიმღერების ქავერ-ვერსიები მერილინ მენსონის, Offspring, Metallica, U2, Garbage და თავად როდ ზომბის შესრულებით.

### ახალი ფილმი

## „ბიჭის შესახებ„ About A Boy



**დიდი ბრიტანეთი/აშშ, 2002 წ.**
**რეჟისორი: კრის უეიტსი, პოლ უზეიტსი**
**როლებში: ჰიუ გრანტი, ტონი კოლეტი, რეიჩელ უეიზი და სხვ.**
**სცენარი: ნიკ ჰორნბი, პიტერ ჰეჭესი**

უილ ფრიმანი, 36 წლის ლონდონელი თავს ირჩენს ერთი ძველი გაჰიტებული სიმღერის შემოსავლით, რომელიც ოდესღაც მამამისმა დაწერა. უილი თავს მარტოსულად გრძნობს და ამიტომ განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქვამს, როცა მისი მეგობრები ქორწინდებიან, შვილებს აჩენენ, თვითონ კი ძველებურად არავინ ჰყავს. თუმცა, დამწუხრებულ უილს მალე გონება გაუნათდება და ისეთ გეგმას შეადგენს, რომელიც მას საშუალებას მისცემს, ლამაზ ქალებს შეხვდეს და დრო სასიამოვნოდ გაატაროს. გატაცების ობიექტად უილი, ძირითადად, ქმარგაყრილ ქალებს ირჩევს. თავიდან ურთიერთობები თითქოს კარგად მიდის, მაგრამ, როგორც წესი, აღმოჩნდება ხოლმე, რომ უილის საყვარელი ქალების შვილები ოჯახში ახალი მამის მისაღებად მზად არ არიან და მარტოსული ლონდონელისთვისაც ძიების პროცესი თავიდან იწყება. სიტუაცია მაშინ იძაბება, როცა ფრიმანი 12 წლის ბიჭუნა მარკუსს ხვდება. მარკუსი ცელქი ბავშვია, მაგრამ ძალიან დარდობს დედის ჯანმრთელობაზე, რომელსაც მკურნალობა სჭირდება. უილი და მარკუსი დამეგობრდებიან და ასე იწყება მათი სასაცილო თავგადასავალი, რომელიც სავსეა მგრძნობიარე, უხერხული და სახალისო სიტუაციებით.

### ფაქტები:

ნიკ ჰორნბიმ ამ რომანის ეკრანიზაციის უფლებისათვის 2.75 მილიონი დოლარი მიიღო;

ფილმის გადაღებები 2001 წლის მარტში, დიდ ბრიტანეთში დაიწყო;

- მთავარ როლზე თავიდან ჯორჯ კლუნი იყო მიწვეული, თავად ფილმი კი იან სოფთლის უნდა გადაეღო. თუმცა, უთანხმოების გამო, კინოპროექტიდან ორივენი გამოვარდნენ.

დავით ანდრიაძის სვეტი

# სანამ წინდები ცერებზე დადგებიან

ფრანკფურტში ერთი სუპერმარკეტი ვიცი – ხელის ფორმის ცელოფანის პაკეტები იყიდება, უჩვეულო პაკეტები.... და იცით, რისთვისაა განკუთვნილი? ძაღლებისთვის. ჰო, ჰო, ჩვეულებრივი, შინაური ძაღლებისთვის: დავუშვათ, ასეირნებ ქუჩაში შენს ერთგულ მეგობარს და ამ უენო არსებას კუჭში გასვლა მოუნდა. წინ რა დაუდგება – მოისაქმებს, შენ კი პრეზერვატივირებული ხელით შეაქუჩებ ძაღლის ექსკრემენტს და სანაგვეში ჩაუძახებ.

კი მაგრამ, თუ ახლომახლო სანაგვე არ აღმოჩნდა? როგორი სცენაა, დადიხარ შუა ქალაქში ძაღლის განავლით ხელგაშვერილი და ვითომც აქ არაფერიო. მერე ეს ჟესტი უფლებად გექცევა, ხელისუფლებად, თანდათან ნებადაც გადაიქცევა, ხელისუფლების ნებად და ასე.... უნდა იარო ქუჩაში, ძაღლის განავლით, იარო, იარო, იარო, ამინ!

სხვათა შორის ამ ჟესტითაც აწვდიან ხოლმე ჩვენში ხელისუფლებას პოლიტიკური უკვდავების წყალს. თანაც ვინ – ე.წ. კულტურის მუშაკები. ეს ტერმინი – "კულტურის მუშაკი" – საბჭოური დროის პროდუქტია. ეს ის დრო იყო, როცა ყველა რაღაცის "მუშაკი" უნდა ყოფილიყო, მაგ. "ვაჭრობის მუშაკი". დიახ, ვაჭარი კი არა, "ვაჭრობის მუშაკი." დღევანდელი გაგებით – ბიზნესმენი.

ჰო, მართლა, ვაჭრობის მუშაკებზე გამახსენდა. კომუნისტური ეპოქის "კულტურის მუშაკთა" რელიქტები ახლაც ისევ მწყობრში დგანან და თავისებურ ვაჭრობის მუშაკობასაც ითავსებენ. თუნდაც იმ გაგებით, რომ მშვენივრად ახერხებენ ხელისუფლებასთან ვაჭრობას, გარიგებას... ისევ ძველებურად ხმაურობენ, ბამბას აჩხრიალებენ...

ამასობაში, ნამდვილი ხელოვანი (და არა "ხელოვნების მუშაკი") ჩუმად, უხმაუროდ სჩადის დანაშაულს და მგონი ამითაც მართლდება მოსაზრება, რომ კულტურა სხვაა და ხელოვნება – სხვა. ხელოვნება დანაშაულია, მას კულტურული ადამიანები კი არა, "გარეწრები" ქმნიან. გადაგვარებულის დაწერილია აბა რა არის, ისეთი შედევრი, როგორიცაა, მაგ. "облако в штанах" ?! ანდა ნაბოკოვის "ლოლიტა".

პოლიტიკური უკვდავების წყალსაც ისევ და ისევ "კულტურული" ხელოვანნი აწვდიან ხელისუფლების პირველ პირს – ჩვენს უალტერნატივო პრეზიდენტს. სჭირდება კი?!

ხელოვნებას არაფერი ეშველება, სანამ მისი ტაძრიდან ვაჭრებს არ გამოვყრითო, ჯერ კიდევ როდის ქადაგებდა ტოლსტოი. ო, როგორ ცდებოდა, როგორ მწარედ ცდებოდა ლევ ნიკალაევიჩი. ყოველ შემთხვევაში, წინასწარმეტყველება აღარ ეყო, თორემ ახლა ხელოვნების ტაძარი, როგორც არასდროს, ისეა ბაზარი. და საერთოდ, რას გავაჭირეთ საქმე – ხელოვნების ტაძრიდან ვაჭრებს კი არ დევნიან, პირიქით – ეპატიჟებიან. აგერ, ნახეთ, რაოდენ ფართოდ ულებენ კარს ახალმოდის ბიზნესმენებს ჩვენი აკადემიური თეატრები, წილში იჯენენ (თუ პირიქით), ერთობლივად ვაჭრობენ ბენზინით, ნავთით, არაყით, ლუდით, სადიას ბარკლებით...

ასეთია ცხოვრება; ცხოვრება კი – თეატრია!

"რუსთაველის თეტრის საღორე" – აბა, წარმოიდგინეთ! არადა, ასეა... ჩვენს უპირველეს თეატრს, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, თავისი საღორე მეურნეობა ჰქონია. მართლაც რომ კარგად ჟღერს, არა? – "რუსთაველის თეატრის საღორე" ანდა "რუსთაველის თეატრთან არსებული საღორე".

ასეთია საბაზრო ეკონომიკის კანონი. თუმცა, რა მოხდა?! თეატრის ერთ-ერთი არქეტიპი ხომ ბალაგანია, ბაზრის მოედანი. ხოლო რაც შეეხება ყბადაღებულ კულტურასა და მის წარჩინებულ მუშაკთა დასს, გაოფლილი წინდები რომ ეწებება დაუბანელ ფეხებს, ჩვენში სწორედ ისე ეწებებიან ერთმანეთს კულტურა და ხელისუფლება...

ცხადია, ყველაზე იოლია ცივილიზებულად მოვიქცეთ – დავიბანოთ ფეხები და გავირეცხოთ წინდები. თუ არადა, ვასილ ივანიჩ ჩაპაევისა არ იყოს, დავიცადოთ, სანამ წინდები თავისით არ დადგებიან ფეხზე, მერე კი, ცერზე და... პას გააკეთებენ.

ეს უკვე ფეხისუფლებაა!

p.s. მავან "კულტურულ" მკითხველს ეს ტექსტიც ექსკრემენტად შეიძლება მოეჩვენოს. ოდესმე, ვინმეს შეიძლება მოუწიოს კიდეც ამ სიბინძურის გადაგდება. ბოლო-ბოლო მე თვითონ მოვუვლიდი ამ საქმეს, მაგრამ ცელოფნის ხელთათმანები რომ არა მაქვს?!

მორჩა, ფრანკფურტს მივემგზავრები!

# ამერიკული დესანტის მოლოდინში

## თბილისის ბიგ-ბენდი ბობ მინცერთან შესახვედრად ემზადება

თბილისის ჯაზ-ფესტივალი

დაუკრას ისეთ ავტორიტეტთან, როგორიც მინცერია. მით უმეტეს, მოსამზადებელი დრო არც თუ ისე ბევრია – კონცერტი ორ ივლისს არის დაგეგმილი.

ათი წლის წინათ, როდესაც გივი გაჩეჩილაძემ დანიაში პირველად მოისმინა მინცერის ბენდის ჩანაწერი და მის კონცერტსაც დაესწრო, ქართველი მაესტროს შეკითხვაზე, დაუკრავდა თუ არა მინცერი თბილისში ადგილობრივ ბიგ-ბენდთან (მაშინ ასეთი ორკესტრი თბილისში არ არსებობდა), მუსიკოსმა უპასუხა: შესაძლებელიც მაილს დევისთან მუშაობდა; ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო ბასისტი, ჯეი ანდერსონი და კიდევ ერთი ცნობილი მუსიკოსი, პიანისტი ფილ მარკოვიჩი. "მასშტაბებით, ეს დაახლოებით, იგივე დესანტია, რაც ჩვენს თავდაცვის სამინისტროს ჩამოუვიდა ამერიკიდან" – შეადარა თბილისის ბიგ-ბენდის ხელმძღვანელმა.

დიდი მუსიკალური ნიჭითა და გამოცდილებით გამორჩეული, ორიგინალური ორანჟირების ოსტატის, ცნობილი კომპოზიციების ავტორის, ნიუ-იორკელი ბობ მინცერის ცხოვრება საკმაოდ მრავალფეროვანია. ბავშვობაში მუსიკით გატაცებამ მინცერი ინსტრუმენტთან მიიყვანა. სკოლის პერიოდში ჯერ კლარნეტით, მოგვიანებით კი, საქსოფონით დაინტერესდა. ახალბედა მუსიკოსის შემოქმედებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა საქსოფონის დიდოსტატმა, მაიკლ ბრეკერმა მოახდინა. მინცერის წარმატებული კარიერა გარკვეულწილად განსაზღვრა დასაწყისში ისეთ ფიგურებთან მუშაობამ, როგორებიც არიან: დეო დატო, ტიტო პუენტე, ტედ ჯონსი და მელ ლუისი. ჯაზის ავტორიტეტებთან (ბადი რიჩი, ვუდი გერმანი, დევიდ გრუზინი), მრავალწლიანი შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდეგ კი, მინცერი თავად იქცა უდიდეს ავტორიტეტად. დღეისათვის იგი მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული, "ფიუჟენის" მეორე თაობის ჯგუფებს შორის ყველაზე გამორჩეული, ანსამბლ Yellow Jackets სოლისტია; ამ ჯგუფის მონაწილეობის გარეშე არ იმართება მსოფლიოში თითქმის, არცერთი მნიშვნელოვანი ჯაზ-ღონისძიება. ბობ მინცერი პერიოდულად, როგორც სოლისტი, საკუთარ ბიგ-ბენდთან და ამერიკელ საქსოფონისტთა კვარტეტთან ერთად მუშაობს. მინცერის ხელმძღვანელობით ბიგ-ბენდმა თერთმეტი კომპაქტ-დისკი გამოსცა; ხუთი მათგანი სხვადასხვა დროს "გრემის" ფესტივალებზე წარადგინეს; წელს კი მისი ალბომი



ბობ მინცერი

ვერა ნეფარიძე

სამზადისი თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალისთვის უკვე დაიწყო. ცნობილმა ტენორ-საქსოფონისტმა, ბობ მინცერმა თბილისის ბიგბენდს პარტიტურა გამოუგზავნა. ქართული ორკესტრი, რომელიც წელს ხუთ წლისთავს აღნიშნავს, ფესტივალზე მინცერის სამკაციან რიტმსექციასთან ერთად დაუკრავს. თანამედროვეობის უდიდეს კომპოზიტორთან ერთწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, საქართველოში პირველად ქართულ-ამერიკული პროექტი ჯაზფესტივალზე, "ჯი ემ თი ჯგუფის" ხელშეწყობით განხორციელდება.

გაჩეჩილაძის ბიგ-ბენდი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ემზადება საკონცერტოდ. პროფესიონალიზმის მიუხედავად, ხუთი წლის ორკესტრისთვის დიდი გამოცდაა, ლია, თუმცა არც ვიცი, სადაა თქვენი ქვეყანაო. წელს კი, როდესაც "ისთერნ პრომოუშენმა" თბილისის ჯაზფესტივალზე მინცერს მიწვევასთან ერთად თბილისის ბიგ-ბენდის ბიოგრაფია და მათივე 3-4 ჩანაწერი გაუგზავნა, მუსიკოსი სასწრაფოდ დათანხმდა: შესანიშნავი ორკესტრი გყოლიათ, სიამოვნებით ჩამოვალო. მას შემდეგ, მუსიკოსი პირადად ინტენსიურად, თითქმის ყოველდღიურად ურთიერთობს გივი გაჩეჩილაძესთან და ფაქსის საშუალებით ინტერესდება ორკესტრის რეპეტიციებით.

მინცერი თბილისში მისივე ბენდის რიტმ-სექციის წევრებთან ერთად ჩამოდის. აღსანიშნავია, რომ ეს მუსიკოსები, ისევე როგორც, მინცერის ორკესტრის მთელი შემადგენლობა, ჯაზის სამყაროში თვალსაჩინო ფიგურები არიან. თბილისში დაუკრავს: ჯონ რილი, დრამერი, რომე-

Homage To Count Basie "გრემის" გრამოფონით დაჯილდოვდა. ბობ მინცერი სამასამდე ფირფიტის თანაავტორია ისეთ მუსიკოსებთან ერთად, როგორებიც არიან: ტედ ჯონსი, მაიკლ ფრენკსი, დაიანა როსი, ბადი რიჩი, "ქუინი" და მრავალი სხვა.

მსოფლიო მუსიკალური საზოგადოების მინცერისადმი დაინტერესება უფრო და უფრო იზრდება: გამომცემლობამ Warner Brothers Publication მინცერის შემოქმედებას ორი წიგნი მიუძღვნა – პირველი მოიცავს ჯაზის, ბლუზისა და ფანკის ეტიუდებს და გათვლილია ყველა დონის მუსიკოსისთვის; ხოლო მეორე წიგნს – "ბობ მინცერის მუსიკა", – თან ახლავს კომპაქტ-დისკი, სადაც მუსიკოსის მასტერ-კლასი და ლექციაა ჩაწერილი. აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემამ მუსიკოსს უდიდესი წარმატება მოუტანა.

# თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრში გლოვა დამთავრდა

## ახალი საკონცერტო სეზონი ნუცა კასრაძის სოლო-კონცერტით გაიხსნა

მადი სერებრიაკოვა

ჯანსუღ კახიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებული თითქმის ორთვიანი დუმილის შემდეგ, თბილისის მუსიკალურ-კულტურულმა ცენტრმა კვლავ განაახლა საკონცერტო პროგრამა. საპანაშვიდე განწყობის დამაგვირგვინებლი რექვიემის შემდეგ - პირველი კონცერტის გამრთვის პატივი ახალგაზრდა პიანისტს - ნუცა კასრაძეს ერგო.

ვერ ვიტყვი, რომ დარბაზი პუბლიკას ვერ იტევდა და ოვაციებისგან დაიბზარა მუსიკალური ცენტრის მიწისძვრისგან ისედაც დაზიანებული კედლები. თუმცა, ამ შემთხვევაში ხარისხი რომ სჯობია ზოგჯერ რაოდენობას – ის ანდაზა გამახსენდა. ნუცა კასრაძე ლელა წურწუმია არ არის – სპორტის სასახლე გადაჭედოს – და შესაბამისად, მის პროფესიონალიზმსაც აღტკინებული თინეიჯერები კი არა – ძირითადად, მისი უფროსი და უმცროსი კოლეგები და მუსიკალური ელიტის კლასიკური ნაწილი აფასებდა.

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მუსიკალური ბიოგრაფია ნუცა კასრაძეს საკმაოდ სოლიდური აქვს. საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურსების არაერთგზის ლაურეატი (მათ შორის, მარკოპულოს (საბერძნეთი) კონკურსის პირველი პრემიის მფლობელი) პიანისტი რეგულარულად მართავს კონცერტებს როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. სოლო-გამოსვლების გარდა თავი გამოუჩენია, როგორც კარგ პარტნიორს კამერულ ანსამბლებთან და ორკესტრებთან ერთად გამართულ კონცერტებზეც.

ამჯერად, კასრაძე მხოლოდ სოლო-საფორტეპიანო რეპერტუარით წარსდგა და ორნაწილიან კონცერტზე თითქმის ყველა ეპოქისა და ჟანრის კომპოზიტორები მოიცვა – ბახიდან – სტრავინსკიმდე. ახალგაზრდა შემსრულებლის მხრიდან ეს სითამამე ცოტა სარისკო იყო და ჩვეულებრივ, გამოჩენილი პიანისტებიც ძნელად ახერხებენ ერთ კონცერტზე ასეთი პროგრამისთვის თავის გართმევას. თუმცა, ნუცა კასრაძის გაბედულებამ მაინც კარგი შედეგი გამოიღო. წარმატებული კონცერტი ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულმა ცენტრის ახალი მუსიკალური სეზონის ეფექტურ დასაწყისად იქცა. მომავალ კონცერტს 7 ივნისს კვლავ ახალგაზრდა პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი გამართავს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

კალენდარი

# 6 ივნისი



"ობლომოვშჩინა! – გაიმეორა გაოცებულმა ლიტერატორმა. ეგ რაღაა? - ახლავე მოგიყვები. ოღონდ ჯერ მაცადე გავიხსენო და გონება მოვიკრიბო, შენ კი ჩაიწერე: იქნებ ვინმეს რამეში გამოადგეს. და მან (შტოლცმა) უამბო ის, რაც აქ წერია."

ასე დაიწერა ივან გონჩაროვის "ობლომოვი" და ასე შეიქმნა ილუშა ობლომოვის დაუვიწყარი ლიტერატურული სახე.

დღეს დიდი რუსი მწერლის დაბადებიდან 190 წელი შესრულდა.

ივან გონჩაროვი 1812 წლის 6 (ძველი სტილით 18) ივნისს დაიბადა.

# „როცა მარტო ვრჩები, საქართველოში ვარ„

## რამდენიმე ეპიზოდი რეჟისორის ცხოვრებიდან

თამარ სუხიშვილი

**მერაბ კოკოჩაშვილი ასეთ ეპიზოდს იხსენებს: თელავივში ქუჩაში მოვდიოდი და ვიღაც გაუპარსავმა ახალგაზრდამ გამაჩერა: "მე შენ გიცნობ, დიდი მწვანეობაო", დამტვრეული ქართულით უთქვამს მას და შემდეგ საუბარი ქართული ფილმების ციტატებით გაუგრძელებია... ეს არაორდინალური კაცი დოვერ ქოსაშვილი იყო. საქართველო და ქართული ენა მისთვის ლამაზ მონატრებად დარჩა. "როცა ჩემს თავთან მარტო ვრჩები, საქართველოში ვარ", - განაცხადა რეჟისორმა. შეგახსენებთ, რომ საქართველოდან ის 4 წლის ასაკში გადასახლდა.**

დღეს დოვერ ქოსაშვილი და მისი პირველი ფილმი საქართველოს სტუმარია. "დაგვიანებული ქორწინება" საქართველოდან ემიგრირებული ოჯახის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. მთავარი გმირი, ზაზა 31 წლისაა და ბუნებრივია, მისი მშობლები შვილის დაოჯახებაზე ზრუნავენ. ტრადიციების ერთგულ ოჯახს სასურველ რძალად ქართველი ებრაელი ესახება, მაგრამ მათ არ იციან, რომ ზაზა უკვე შეყვარებულია. ქალი ასაკით ცოტა უფროსი, ქმარგაცილებული და შვილიანია, თანაც წარმოშობით ქართველი ებრაელი არ არის. კონფლიქტი შემდგარია. ზაზა არჩევანის წინაშე დგება: ან საყვარელი ქალი, ან მშობლიური ტრადიცია. და ზაზა ამ კონფლიქტს მშობლების სასარგებლოდ გადაწყვეტს. ის სხვა ქალზე ქორწინდება. პიროვნების ნება ითრგუნება, მაგრამ აქ მშობლებიც არ არიან დამნაშავე. აქ სხვა ადამიანურ კომპლექსებთან ერთად სოციალური და ისტორიული კონფლიქტი არსებითი ჩანს. მშობლები ისტორიული ძირის გადარჩენისათვის იბრძვიან...

**"ვფიქრობ, ეს ფილმი კარგად ასახავს ჩემს სამყაროს და ალბათ იმ ადამიანებზეც იმოქმედებს, რომლებიც მე არ მიცნობენ,"** - უთქვამს რეჟისორს ისრაელის ელჩთან, რივკა კოენთან პირველი შეხვედრის დროს. დოვერ ქოსაშვილი ახლაც იმეორებს, რომ **ფილმი 100 პროცენტით ავტობიოგრაფიულია**, თუმცა ცხოვრებაში რეჟისორმა უფრო მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინა და ე.წ. არაფორმალური ცოლიც ჰყავს.

მწერლები და რეჟისორები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ, რომ "დაგვიანებული ქორწინება" საოცრად გაბედული ნაბიჯია ისრაელის კინემატოგრაფში.

"ფილმი დასრულდა, მაგრამ მე ისევ ერთი კითხვა მიტრიალებს თავში - იგრძნობდა თუ არა გმირი თავს თავისუფლად მაშინ, როცა სიყვარულს აირჩევდა?" - ამბობს რეჟისორი გია ჭუბაბრია, - "არა აქვს მნიშვნელობა, მისაღებია ეს პრობლემა ჩემი ბუნებისათვის, თუ - არა, მთავარია, რომ ეს პრობლემა არსებობს." და ეს პრობლემა უამრავ კითხვასა და საფიქრალს გვიჩენს. შემთხვევით არ თქვა რეჟისორმა პავლე ჩარკვიანმა, რომ ეს ქართული ფილმიაო.

"დაგვიანებული ქორწინების" პრეზენტაცია "დაკარგულ სამოთხეში" გამართულმა ალაფურშეტმა დააგვირგვინა.


დოვერ ქოსაშვილი

### დოვერ ქოსაშვილი

Curriculum Vitae

დაიბადა საქართველოში 1968 წელს.

1972 წელს მშობლებთან ერთად ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად.

პროფესია: რეჟისორი და სცენარისტი

პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი: "დაგვიანებული ქორწინება"; ნაჩვენები იყო 2001 წლის კანის ფესტივალის Un Certain Regard და Camera D'or-ის სექციებზე.

ჯილდოები: ისრაელის კინოაკადემიის ე.წ. 12 ოსკარიდან მან 9 ჯილდო მოიპოვა, მე-10 ოსკარი წილად ხვდა მის დედას ლილი ქოსაშვილს, რომელიც ფილმში მთავარი გმირის დედის როლს ასრულებს.

მუშაობს ფილმზე "ცის საჩუქარი".

კითხვაზე, რა არის ბედნიერება? ახალგაზრდა რეჟისორი ასე უპასუხებს: ბედნიერება ირონიაა.

# პოლიტიკური ვიზიტის კულტურული მსხვერპლი

## ხალხურ საკრავთა მუზეუმის ტრაგი-კომიკური ისტორია

ვერა ნეფარიძე

მეშვიდე წელიწადია ერთადერთი და უნიკალური ხალხურ საკრავთა სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები სარდაფშია გამოკეტილი. ინსტრუმენტები, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, პოლიტიკური ვიზიტის მსხვერპლი გახდა.

თავის დროზე, ეს მუზეუმი გორგასლის ქუჩაზე მდებარეობდა და დამთვალიერებელიც ხშირად აკითხავდა. განსაკუთრებული სიხშირით იქ ჩამოსული სტუმრები და სკოლის მოსწავლეები დაყავდათ. 1996 წელს კი, როდესაც თბილისში აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ჰეიდარ ალიევი ჩამოვიდა, მუზეუმის შენობა ინსტრუმენტებისგან დაცალეს და ექსპონატები თეკლა ბატონიშვილის სასახლის სახელით ცნობილი შენობის სარდაფებში გამოკეტეს; ყოფილი მუზეუმის კედლებზე კი აზერბაიჯანელი მწერალი-დრამატურგის, მირზა ფათალი ახუნდოვის ფოტოები გამოფინეს. საქმე ის არის, რომ გორგასლის ქუჩაზე, იქ სადაც მუზეუმი იყო განთავსებული, თავის დროზე აზერბაიჯანელი გენერალი, ახუნდოვი ცხოვრობდა და შემდეგ მისი სახლ-მუზეუმიც გაიხსნა იქ. ალიევის სტუმრობისას, კულტურის მაშინდელ მინისტრს, ვალერი ასათიანს უფიქრია, საპატიო სტუმარი აუცილებლად მოინდომებს დაათვალიეროს მწერლის ყოფილი საცხოვრებელიო და ხალხურ საკრავთა მუზეუმის ხარჯზე ასეთ მსხვერპლზე წასულა.... არადა, მუზეუმი თითქმის სრული დატვირთვით მუშაობდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი 80-იანი წლები იყო, როდესაც ხალხურ საკრავთა სახელმწიფო მუზეუმში იმართებოდა ძველი თბილისის ტრუბადურის, ანა ვარდიაშვილის, თამარ იმერლიშვილისა და მარო თარხნიშვილის შემოქმედებითი საღამოები; მუზეუმს ხშირად სტუმრობდნენ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან; თანამშრომლებს აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ ლენინგრადისა და ლატვიის ხალხურ საკრავთა მუზეუმებთან.

მუზეუმი ერთ-ერთი კერძო კოლექციონერის, არკადი რევაზიშვილის კოლექციის ბაზაზე გაკეთდა. რევაზიშვილის გარდაცვლების შემდეგ მისმა მეუღლემ, ქ-ნ როზამ, კოლექციონერის სურვილისამებრ, საკრავები კულტურის სამინისტროს გადასცა. მოგვიანებით, კულტურის სამინისტრომაც გაამდიდრა კოლექცია. საბოლოოდ მუზეუმში ინახებოდა ყველა სახის ქართული, კავკასიური და მსოფლიო მუსიკის რამდენიმე ინსტრუმენტი. მსგავს კოლექციას ჩვენთან სხვაგან ვერსად შევხვდებით; ასე რომ, მუზეუმი თავისი მნიშვნელობით, შეიძლება ითქვას, უნიკალურია. თუმცა, დღეს ძველი როსტოველი ოსტატების, ივან სტენენკოსა და ივან სოლიმენკოს ნახელავი ექვსი ორღანიც, ლუიჯი ფენგას ფირმის იტალიური მანდოლინაც, ძველისძველი ამერიკული გრამოფონი "ამურიც" სხვა უამრავ საკრავთან ერთად მტვერსა და ჭუჭყში, თეკლა ბატონიშვილის ავარიული სახლის სარდაფშია ჩაკეტილი. საკრავების გარდა განადგურების საშიშროება ემუქრება მუზეუმის ბიბლიოთეკასაც.

კულტურის მინისტრი, სესილი გოგიბერიძე მუზეუმის დირექტორს, რევაზ კოტრიკაძეს ფართის საჩქაროდ გამონახვას დაპირდა. თუმცა, მიწისძვრის შემდეგ, საეჭვოა, რამდენად მოახერხებს სამინისტრო დანაპირების შესრულებას. მით უმეტეს, როგორც სესილი გოგიბერიძემ ჩვენთან საუბრისას თქვა, სურვილის მიუხედავად, ჯერ-ჯერობით ვერაფრით მოახერხებს მუზეუმის საკითხის გადაწყვეტას.

თეკლა ბატონიშვილის სასახლე კარგა ხანია კულტურის სამინისტროსა და მხატვართა კავშირის სადაო ობიექტია. მხატვრის სახლმა 13 წლის წინათ იქ ორი მხატვარი ჯემალ ბჟალავა და იდა თვარაძე შეასახლა. რამდენიმე წლის წინათ, კულტურის სამინისტრომ ფართით დააკმაყოფილა და სახლიდან გაასახლა ბჟალავების ოჯახი. ასეთ შეთავაზებას მეორე მოსახლე, იდა თვარაძე კატეგორიულად არ დათანხმდა. "ხალხურ საკრავთა მუზეუმის ექსპონატების გადმოტანას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: მინისტრს სურდა სახლის ერთპიროვნული მეპატრონე გამხდარიყო", – ამბობს ქ-ნ იდა თვარაძე. მისი აზრით, ისტორიულ სახლს ასეთი საფრთხე აღარ ემუქრება, ალბათ ამიტომაცაა მზად, დათანხმდეს კულტურის სამინისტროს შეათავაზებას, თუკი ის როგორც მხატვარს, ასევე ხალხურ საკრავთა მუზეუმს ნორმალურად დააბინავებს. ექსპონატები კი არც ისე ბევრია, რომ ამ მიზეზით საჭირო ფართის გამოძებნა გაჭირდეს.



ალეკო კარტაშიანის ფოტო

# დოქტორ ვილსონის კაბინეტი

დავით ბუხრიკიძე

**სამი წლის განშორების შემდეგ ლეგენდარული ამერიკელი რეჟისორი რობერტ ვილსონი ისევ დაბრუნდა ევროპაში. მაშინ ბერლინში მან ბრეხტის დაუმთავრებელი პიესა, "გაფრენა ოკეანეზე" განახორციელა.**

1941 წელს ტეხასში დაბადებული მხატვარი და არქიტექტორი ევროპაში 60-იან წლებში დამკვიდრდა, ჯერ როგორც დიზაინერი და სცენოგრაფი, შემდეგ კი როგორც რეჟისორი. 80-იანი წლებიდან ევროპულ თეატრებში მან უჩვეულო სპექტაკლები დადგა და მისთვის არც ფული დაუშურებია ვინმეს და არც აკადემიური თეატრალური სივრცე.

"ბრეხტის სახლში" ანუ "ბერლინერ ანსამბლში" ვილსონი რობერტ ვინეს ექსპრესიონისტული კინოშედევრის, "დოქტორ კალიგარის კაბინეტის" მოთვინიერებას შეუდგა. დღეს თითქმის არ არსებობს ევროპის მეტ-ნაკლებად ცნობილი თეატრი, სადაც ვილსონს საკუთარი სპექტაკლი არ დაედგას, თუმცა ბერლინი მისთვის მაინც გამორჩეულია. როგორც გერმანული პრესა აღნიშნავს, "კალიგარიში" იგი ახერხებს საშინელებასთან შეზავებული დღესასწაული შექმნას, სადაც ესთეტიკური დემარში და სცენური მისტიციზმი ერთმანეთს ავსებენ."

ვილსონის მთავარი ინსტრუმენტებია არქიტექტურა, სცენოგრაფია და განათება, რისი საშუალებიათაც იგი ქმნის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, მომნუსხავ მიკროსამყაროს – სივრცეს, სადაც სიცოცხლე და აჩრდილები ერთმანეთს ებრძვიან. საკუთარ დამოკიდებულებას თეატრისადმი ვილსონი ასე განსაზღვრავს: "მე არ მაინტერესებს ფსიქოლოგიური თეატრი. მისი მთავარი უბედურება ის არის, რომ ძალიან მალე ხდება მოსაწყენი. არ მესმის იბსენისა და უილიამსის, რომლებიც განუწყვეტლივ რაღაცას გიხსნიან, ან ცდილობენ დაგისაბუთონ რასაც გულისხმობენ. ჩეხოვი უფრო საინტერესოა, რადგან მისი ტექსტი აუხსნელი და გამოუცნობია. იგი არაფერს გაიძულებთ და ამავე დროს მოქმედების სივრცეს გიტოვებთ."

ევროპაში ვილსონისათვის ფულს არასოდეს იშურებენ, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეჟისორული თუ სცენოგრაფიული "ახირებანი" ზოგჯერ კოლოსალურ თანხებს უკავშირდება. ამჯერადაც ასე მოხდა. "დოქტორ კალიგარის კაბინეტი" ბერლინის კულტურის ფონდს 300 ათასი ევრო დაუჯდა, რამაც კრიტიკოსები, ცოტა არ იყოს, გააბრაზა: "დროა გადავხედოთ ამგვარ ძვირადღირებულ პროექტებს. ამ ფულით შეიძლებოდა ბერლინის საცურაო აუზებში გამწმენდი საშუალებების დამონტაჟება, ან რაიმე სოციალური პრობლემის გადაჭრა." თუმცა უმრავლესობა ასე არ ფიქრობს. იგივე კულტურის ფონდის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ვილსონის ნებისმიერი სპექტაკლი ხარჯებს ამართლებს. ასეა თუ ისე, ვილსონმა ერთდროულად ტალანტებიც გაალიზიანა და თაყვანისმცემლებიც.

ახალ სპექტაკლში მსახიობები ტრადიციულად მკაცრ ჩარჩოებში არიან მოქცეულნი. თუმცა, ამის მიუხედავად, მათი თამაში ზუსტი და დამაჯერებელია. კითხვაზე, თუ როგორ აღწევს ამგვარ ეფექტს, რეჟისორი აღნიშნავს: "თეატრში ყველაფერი მექანიკური უნდა იყოს. როდესაც მსახიობი თამაშს ავტომატიზმად აქცევს, ამით იგი თავისუფლდება კიდეც. მხოლოდ მექანიკა და სრულყოფილება იძლევა თავისუფლების შეგრძნებას. ამდენად ფორმა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტექსტი."

როგორც წესი, ვილსონის სპექტაკლში უდიდესი როლი განათებას, მუსიკასა და მხატვრობას ენიჭება და ამჯერადაც "კალიგარისათვის" მუსიკა მისმა თანამოაზრემ, მიქაელ გალასომ დაწერა. კრიტიკოსთა სკეპსისის მიუხედავად, "დოქტორ კალიგარის კაბინეტმა" ბერლინში მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა გულუბრყვილო მაყურებელიცა და კრიტიკოსებიც, ერთ რამეში უდაოვოდ თანხმდებიან – ვილსონმა კიდევ ერთხელ დაარღვია ყველა ჯურის მაყურებლის ყურადღება.

და მაინც, რატომ გაახსენდა ვილსონს "კალიგარის კაბინეტის" კრიმინალურ-მისტიკური ისტორია სწორედ ახლა და სწორედ გერმანიაში? არის თუ არა "ბერლინერ ანსამბლში" დადგმული სპექტაკლი სამყაროს ბოროტების მეტაფორა? თუ ეს შემთხვევითი წინასწარმეტყველებაა მანიაკებსა და ტერორისტებზე, რომელთაც უკვე სამუდამოდ შეარყიეს სტაბილურობისა და უსაფრთხოების მითი?

ამ კითხვებს, ალბათ, თავად ვილსონიც ვერ უპასუხებდა, რადგან მისთვის თეატრი მხოლოდ განყენებული, ჯადოსნური სანახაობაა და არა სოციალურ-პოლიტიკური ინსტრუმენტი. "ვილსონი თითქმის ისეთივეა, როგორც ყოველთვის – მომნუსხავი, ცივი და მისტიკური", – ასკვნის "ბერლინერ ცაიტუნგი."



ილია ჭრელაშვილის კოლაჟი

ამბები

## საგამოფენო ექსპოზიციას შარფებიც ამშვენებს

გუშინ ქარვასლაში ანი ჩახავას პერსონალური გამოფენა გაიხსნა. აქ წარმოდგენილია ბატიკა, ათამდე ფოტოპეიზაჟი, კოლაჟები და ქალის სამკაულიც კი (შარფები, გულსაკიდები). ანი ჩახავა პროფესიით ფსიქოლოგია, მაგრამ რამდენიმე წელია სერიოზულად დაინტერესდა ხელოვნებით. მუშაობდა დათო ცხადაძის ფოტოსტუდია "სეპიაში". შარშან კლუბ-კაფე "წამში" ანის პერსონალური ფოტოგამოფენა გაიმართა. ამას გარდა, ახალგაზრდა ხელოვანს მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე ჯგუფურ გამოფენაში. ძირითადად ის მაინც ბატიკაზე მუშაობს. ქარვასლაში წარმოდგენილ ექსპოზიციაზე დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა არა მარტო ნახოს, არამედ შეიძინოს კიდეც ანის ხელით დამზადებული სამახსოვრო ნივთები.

## საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

დღეს "კავკასიურ სახლში" გაიხსნება ოთხდღიანი საერთაშორისო კონფერენცია: "ლევ ტოლსტოი მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლებში. მწერლის დაბადება". კონფერენციაზე მოწვეულები არიან სტუმრები: ლევ ტოლსტოის სახლ-მუზეუმის Ясная поляна-ს დირექტორი, მწერლის ნათესავი, ვლადიმერ ილიას ძე ტოლსტოი და სახლ-მუზეუმის თანამშრომლები; მოხსენებით გამოვლენ კანადელი, ამერიკელი, ინგლისელი და გერმანელი მეცნიერები. კონფერენცია 9 ივნისამდე გაგრძელდება.

## ბათუმში საქართველოს დედოფალს გამოავლენენ

ბათუმში, აჭარის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით აგვისტოში გაიმართება სილამაზის კონკურსი საქართველოს დედოფლის გამოსავლენად. შოუ-კონკურსის ორგანიზატორია "დომინოს" ხელმძღვანელი, დავით ბიბილეიშვილი, რომელიც საქართველოში დაბრუნებამდე რუსულ შოუ-ბიზნესში მოღვაწეობდა. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ 14-დან 15 წლამდე ასაკის გოგონები, რომელთაც საშუალება ექნებათ, გარეგნულ ხიბლთან ერთად, ინტელექტუალური შესაძლებლობებიც გამოავლინონ. კონკურსში რვა ნომინაციაა, მთავარ პრიზს თამარ მეფის გვირგვინის ფორმა ექნება, იგი ძვირფასი ლითონით იქნება გაკეთებული და მას "საქართველოს დედოფალი" დაიდგამს.

## მუზეუმს სტუმრები შემოეფანტა

"ალ-ყაიდას" წყალობით, არა მხოლოდ საერთაშორისო ავიახაზებმა იზარალეს. ტურისტების ნაკლებობა საკუთარ თავზე მთლიანად ნიუ-იორკმაც გამოსცადა. "დაზარალებულთა" შორის, პირველ რიგში, მუზეუმები აღმოჩნდა. ტერაქტების შემდეგ ხელოვნების მეტროპოლიტან მუზეუმმა უამრავი მნახველი დაკარგა. "ნიუ-იორკ პოსტის" ცნობით, მუზეუმს ყოველწლიურად 5 მილიონი სტუმარი ჰყავდა. ტერაქტების შემდეგ კი, მნახველების რიცხვი 1 მილიონით შემცირდა.

"ტურიზმის ბიზნესის კრიზისული პერიოდი შესახებ ბევრს საუბრობენ. ფაქტი კი ერთია, რომ ჩვენს შარშანდელთან შედარებით 20-25 პროცენტით ნაკლები დასწრება გვაქვს", - განმარტავს მეტროპოლიტან მუზეუმის წარმომადგენელი ჰაროლდ ჰოლცერი. თუმცა, ტურისტების შემცირებამ მუზემის შენაძენებზე არ იმოქმედა. შემდეგი სეზონისთვის დაგეგმილი გამოფენებიც ძალაშია.

## ლინდას შემდეგ

30 წელიწადია, პოლ მაკარტნის მსგავსი დღესასწაული არ აღუნიშნავს. 11 ივნისის დადგომას ის სულმოუთქმელად ელის. ამ დღეს მაკარტნი მეორედ იწერს ჯვარს. ამჯერად ექს-ბითლის რჩეული ჰიზერ მილსია. მოსალოდნელი ქორწილის დეტალები საიდუმლოდ ინახება. მოსამსახურეებსაც კი დუმილის ფიცი აქვთ ჩამორთმეული.

თუმცა, პრესაში რამდენიმე დეტალი მაინც ხმაურდება. უკვე ცნობილია, რომ პოლ მაკარტნი ჯვარს ირლანდიაში, ლესლის ციხესიმაგრეში დაიწერს. საზეიმო ცერემონიალს 100 კაცი დაესწრება. სტუმრებს მაკარტნი ვეგეტარიანული კერძებით გაუმასპინძლდება. მომავალი მისის მაკარტნი ბრიტანეთში სახელგანთქმული ფოტომოდელია. მას "მოდის ლეგენდადაც" მოიხსენიებენ – მილსს ხომ რამდენიმე წლის წინ მომხდარი ავტოკატასტროფის შემდეგ ფეხი მოკვეთეს... თუმცა, ჰიზერი სულით არ დაცემულა, ის მოდის სამყაროსაც დაუბრუნდა და საქველმოქმედო საქმინობაც წამოიწყო. ფაქტობრივად, პოლ მაკარტნისთან ის სწორედ ქველმოქმედებამ დააკავშირა. რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ ღონისძიებაზე მომღერალმა ჰიზერი შენიშნა და შემდეგ ოფისში საქველმოქმედო საკითხების განსახილველად მიიწვია. იმ დღის შემდეგ სამი წელი გავიდა. 2001 წლის ივლისში კი სერ პოლ მაკარტნიმ მუხლზე დაიჩოქა და ჰიზერს ხელი სთხოვა. რჩეულს მან საფირებით და ბრილიანტებით შემკული ბეჭედიც აჩუქა.

სხვათა შორის, ეს ბეჭედი რამდენიმე ხნის წინ სკანდალის მიზეზიც გახდა. ჰიზერთან წაჩხუბების შემდეგ, გაბრაზებულმა მაკარტნიმ ბეჭედი სასტუმროს ფანჯრიდან გადააგდო. მოგვიანებით, როცა წყვილი შერიგდა, ბეჭდის მოძებნა სასტუმროს დაცვას სთხოვეს. საბედნიეროდ, ფანჯრიდან მოსროლილი ნივთი დაცვამ იპოვა. მაკარტნიმ კი ის 1650 დოლარით დააჯილდოვა.

## პლაგიატების ბედი ესპანეთში

ბარსელონას სასამართლოს გადაწყვეტილებით, პლაგიატობის ბრალდებით გაყიდვიდან მოხსნეს მწერალ ლუის რასიონეროს წიგნი "უკანასკნელი კატარი". საინტერესოა, რომ რასიონერო ასევე ესპანეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორიც არის. ეს პოსტი პოლიტიკურია და კანდიდატებს მთავრობა არჩევს, ამიტომ, სასამართლოს გადაწყვეტილებას ბარსელონაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

რასინიეროს პლაგიატობაში ისტორიკოსები ფელიქს ვილარასი და ფრანჩესკო მაესტრა ადანაშაულებენ. მან 1998 წელს გამოქვეყნებული ჩვენი წიგნიდან არა მხოლოდ სათაური, არამედ მთლიანი ჩანაფიქრიც მოიპარა, - ამტკიცებენ ისტორიკოსები. რაც ყველაზე საინტერესოა, ბრალდებას არც თავად მწერალი უარყოფს. რასიონეროს თქმით, მან ისტორიკოსების წიგნიდან ცალკეული ციტატები მართლაც ამოიღო ისე, რომ წყარო არ მიუთითებია. თუმცა, ბრალდებული მწერალი ამას "ინტერტექსტუალობას" უწოდებს, ანუ, მისი განმარტებით, საქმე გვაქვს ქვეცნობიერ პლაგიატობასთან, როცა გაუაზრებლად (თუ პირიქით, ძალზე გააზრებულად) წერ იმ ფრაზებს, რომლებიც გახსოვს და რომლებიც საკუთარი გგონია. სხვათა შორის, ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორს მსგავს ბრალდებას პირველად არ უყენებენ. თავის წინა ნაწარმოებში მან ინგლისელი ისტორიკოსების არნოლდ ტოინბისა და ჯილბერტა მერეიას ფრაზები გამოიყენა. რასიონეროს გვერდს უმშვენებენ სხვა საზოგადო მოღვაწეებიც: მოდური ფილოსოფოსი ფერნანდო სავატერი და ნობელის პრემიის ლაურეატი კამილო ხოსე სელა (სხვათა შორის, მისი სასამართლო პროცესი სელას გარდაცვალების შემდეგაც კი გრძელდებოდა). უნდა ითქვას, რომ პლაგიატობის შემთხვევები ესპანეთში ისე გახშირდა, რომ ამ დანაშაულს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთით სჯიან.

## სკანვორდი





## TV პროგრამა 4 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 დოკ.ფილმი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ხელოვნური ინტელექტი"

### პირველი არხი

07.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.30 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: რუსეთი - ტუნისი
13.25 "მრავალჟამიერ"
13.50 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: აშშ - პორტუგალია
16.00 50-50 16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: გერმანია - ირლანდია
18.30 სერიალი "მორიგი მსხვერპლი"
19.10 "ინტერმეცო"
19.40 ბასტი-ბუბუ
20.00, 22.50 მოამბე
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: გერმანია - ირლანდია
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ვილეოპატრული
00.25 მხ.ფ. "ფარისევლობა"

### მეორე არხი

8.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
20.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
22.15 "მოამბე" მეორე არხზე
22.30 მხ.ფ. "ქეთო და კოტე"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.20 კომპიუტერის გაკვეთილი
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 საუბრები მწვანე ბუხართან. ს. ცინცაძის საავტორო გადაცემა
21.30 თინეიჯერი
22.30 მსოფლიო სპორტი
23.30, 00.30 მხ.ფ. "კაფე "მამბო"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.55, 12.15, 20.20, 21.55, 00.00 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "ბინძური საქმე"
10.05 ძველი კინო_მხ.ფ. "მარნი"
20.25 მხ.ფ. "ყველაფერი ჩვენს ხელშია"
22.05 მხ.ფ. "გულის მუსიკა"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეულის" განმეორებით
11.45 "კლიპები შეყვარებულთათვის" განმეორებით
13.15 მხ.ფილმი
15.00 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "ჩემი ახალი პისტოლეტი"
19.00 მუსიკა
20.00 ვიდეო-რადიო
22.00 მიქს-20 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ტეხასური რეინჯერი". მთ. როლში დილან მაკდერმოტი
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "სიკვდილი ნილზე" მთ.როლში პიტერ უსტინოვი
04.15 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "მიშველი პისტოლეტი"
13.30 მხ.ფ. "დარტყმის სიშორეზე"
15.00 მხ.ფ. "ტომ სოიერის თავგადასავალი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "პოლიციის აკადემია 3"
19.20 საქმე
21.00 სერიალი "მიშველი პისტოლეტი 2" (მე-3 სერია)
22.00 მხ. ფილმი "სიკაშკაშე"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-2 სერია
09.45 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-2 სერია
10.15, 16.20, 17.45, 18.45, 23.45, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.ფილმი "ვის ეშინია ვირჯინია ვულფის"
12.35 მხ.ფილმი "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"
14.00, 15.30, 19.30 დისქავერი
14.45, 21.30 "მთავარი თემა"
16.30 მხ.სერიალი "ბენზინი სისხლში" მე-7 სერია
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-3 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-3 სერია
18.55 მხ. ფილმი "მართალი დადლი"
20.20 დოკ.სერიალი "ჩემი ქვეყანა"_"ენთუზიასტები"
21.00 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.10 მულტფილმი
22.15 მხ.ფ. "ანაკონდა". მთ. როლებში ჯენიფერ ლოპესი, აის კიუბი
00.40 მხ.ფ. "ფრანკენშტეინი". მთ. როლებში რობერტ დე ნირო

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "რა არ ხდება"
09.40 სათავგადასავლო ფილმი "ქრისტეფორე კოლუმბი"
11.35 "წარსულიდან აწმყოში"
11.45, 21.35 მუსიკა
12.00, 16.00, 19.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 თრილერი "ძმები"
13.50 მელოდრამა "ესენია"
16.15 მულტფილმი "ტარზანი"
17.40 კომედია "ცხოველი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 "Pресс-папье"
19.40 თრილერი "ფანატი"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05 დოკუმენტური ფილმი
00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
01.05 კომედია "ბუმერანგი"
03.30 მელოდრამა "საბრალო, პატარა, მდიდარი გოგონა" 1 სერია

### VII არხი

0.35 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
11.25 მუსიკალური ბიორითმი
12.00 მულტსერიალი
12.15 "პაემანი" (განმეორებით)
13.10 ტექნიკის სიახლეები
13.15 გასართობი პროგრამა
13.40 დისნეი და მისი მეგობრები
14.15 სპორტი
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.35 მუსიკალური ტაიმაუტი
18.50 ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 საინფორმაციო გამოშვება
19.45 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა .
20.50 "ლა-ლა-ლა"
21.20 ასტროლოგიური პროგნოზი
21.30 მუსიკალური ტაიმაუტი
21.45 მოკლედ... სპორტი
22.00 პრესის მიმოხილვა
22.15 "კინოკლუბი" -ეკრანული სახეები ბრედ პიტი - მხ.ფილმი "ჯაშუშთა თამაშები".
23.55 პრესის მიმოხილვა
00.15 საინფორმაციო გამოშვება
00.35 მუსიკალური ბიორითმი
01.00 მხ.ფ. ჟანრებში: - "ექსკალიბური"

### ОРТ

7.00 "Доброе утро".
10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости.
10.15 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 ФУТБОЛ. РОССИЯ-ТУНИС.
13.50 Док. детектив "По следу Солоника"
14.20 х.ф."ПАРОЛЬ ЗНАЛИ ДВОЕ"
16.20 ФУТБОЛ. ГЕРМАНИЯ-ИРЛАНДИЯ.
18.30 Смехопанорама.
19.30 ФУТБОЛ. РОССИЯ-ТУНИС.
21.10 "Большой футбол" Ток-шоу.
22.00 Время.
22.35 "Слабое звено"
23.25 "Посдедная высота генерала Лебедя".
00.00 х.ф. "ПАРИЖСКИЙ АНТИКВАР" 2-я с.
01.00 Ночное "Время"
01.30 Чемпионат мира по футболу.
02.35 х.ф. "ОПЕРАЦИЯ "МЕДУЗА".

### РТР

06.50-10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 16.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 18.10 Афиша
07.40, 23.45 Дорожний патруль
08.10 Экспертиза РТР 08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
08.40 "Пролог" часть 1-я.
09.15 Москва-Минск
09.40 "Пролог" часть 2-я.
10.10 "СЕМЕЙНЫЕ ТАЙНЫ"
11.20 х.ф. "ПРЕВРАТНОСТИ ЛЮБВИ".
13.30 Сериал "СИБИЛЛ".
14.00 "ЛОДКА ЛЮБВИ"
15.00 Сериал "дикий ангел"
16.20 Что хочет женщина
16.50 х.ф. "ПУТЕШЕСТВЕННИКИ"
19.50 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
19.50 "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Док. сериал "Футбольные войны".
22.50 "КОБРА. ЧЕРНАЯ КРОВЬ". 1-я ч.
00.00 Вести - Подробности
00.30 ФУТБОЛ. США- ПОРТУГАЛИЯ.
02.40 Дневник чемпионата мира по футболу.

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.50, 20.40 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН".
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
11.25 "Крыминальная Россия". "Тюремный волк"
11.55 Квартирный вопрос.
12.30 Экологическая "Среда".
13.20,16.40, 19.40 Криминал
13.35 "ТЕНЫ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ"
15.20 Ток-шоу "Принцип "Домино"
17.30, 21.45 Сериал "ПО ИМЕНИ БАРОН..."
18.35 Фильм "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
23.35 Герой дня.
23.55 Сериал "скорая помощь-3"

### TV6

08.00, 08.15, 08.30, 08.45, 09.00, 09.15, 09.30, 09.45 Новости
09.30, 10.25 Место печати
08.15, 09.35,11.05 Свободное время
08.20, 09.20, 10.30 "АБС"
08.35, 09.45 Назло
08.45, 22.45 Тушите свет
09.10 Спорт.
10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00 Новости
10.35 Публичные люди.
11.10 "КОРОЛЕК-ПТИЧКА ПЕВЧАЯ" 5-я с.
12.25 "Рыцарь Овального кабинета"
13.35 фильм "НЕ ЗАБУДЬ, СТАНЦИЯ ЛУГОВАЯ"
15.00, 21.00, 01.25 "За стеклом
16.25 100 чудес света
17.25 фильм "ЗА ТРИДЕВЯТЬ ЗЕМЕЛЬ"
18.30, 23.00 Сериал "детектив нэш бриджес"
19.25 "Публичные люди"
20.35 "Смотрите кто пришел"
00.00 Грани 00.35 "Без протокола"

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ტრანსპორტი, რომელშიც უცნობმა ავტორმა მთელი საქართველო მოათავსა; 5. სადესერტო ღვინოც და პარფიუმერული ეთერზეთიც; 8. კარჩაკეტილი ზღვა; 9. მზე -თი იწყება, მაგრამ მზესუმზირა არ არის; 11. მედიკამენტი, რომლის ეფექტი სახამებლისას წააგავს; 13. თვითონ საბერძნეთში მოღვაწეობდა , ხოლო რომში კი მისი კოლეგა ვიქტორია; 14. საკეტი მოწყობილობა, რომელსაც პატრონი გასაღებით, ხოლო ყველა სხვა უმისოდაც აღებს; 16. მარჯნის კუნძული, რომლის სახელი დღეს უფრო მიმზიდველი მნიშვნელობით გვახსოვს; 17. თავიდან თუ არ გაქვს, ჭამის დროს მაინც მოვა; 19. ხან მედროგეა, ხან ამერიკული დაზვერვის რეზიდენტი; 21. ფრანგები 4,5 კილომეტრს უფრო მარტივად გამოთქვამენ ; 22. უდიდესი ქრისტიანული სახელმწიფო, რომლის ადგილიც დღეს საკმაოდ გავლენიან მუსულმანურ სახელმწიფოს უკავია; 24. საკვები პროდუქტი, რომელიც ადამიანებს, თაგვებს და ვეშაპებს ერთ კლასში აერთიანებს; 25. დედა -ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე; 29. ამ ქალმა ღალატიც, სიყვარულიც და შურისძიებაც ერთნაირი ძალით იცოდა; 30. ძველი მაინძელო , დღეს ამ მოწყობილობამ შეცვალა; 31. ლიქიორი, რომლის თითო ეგზემპლარი მაინც თბილისის ყველა სუპერ- და უბრალოდ მარკეტშიც დევს; 32. კარგი პლაჟისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ელემენტი; 34. ეს დაწესებულება მისჯილი აქვთ ბავშვებს 6-დან 17 წლამდე; 37. იტალიელები გამოირჩევიან ტემპერამენტით და ამ საკვები პროდუქტის სიყვარულით, რაც ერთმანეთთან ძნელი დასაკავშირებელია; 38. შამილისდროინდელი გამგებელი დაღესტანში; 40. ამ ქალაქს სახელი დილეტანტმა მშენებლებმა გაუთქვეს; 41. მრწამსი, მსოფლმხედველობა; 42. მუსლიმანთა წმინდა ადგილი; 43. სრული მარცხი, ანუ ფიასკო ასეც გამოითქმის; 45. ევგენი ლეონოვის გმირს საბჭოთა მილიციამ პედაგოგიური მოღვაწეობა საბავშვო ბაღის გამგიდან ამ თანამდებობაზე გააგრძელებინაა ; 46. იგი სიტყვასიტყვითაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა; 49. დიდი სხეულის გამოსაკვლევად საჭიროა პატარა ... აღება; 51. მას და ჩოხას ცალ-ცალკე ვერ იხმარ; 53. აქედან ზოგიერთს ვერც რეგლამენტით ჩამოიყვან; 54. ჯარისკაცებისთვის ყაზარმა მოიგონეს, შინაური ცხოველებისა და ფრინველებისთვის ...; 56. მეორე კამათელზეც თუ ის მოვა, თითქმის მოგებული ხარ; 57. ორი ნავის სიმბიოზი; 58. მაღაზიის სტუმარ-მასპინძელი აქ უსწორებენ ერთმანეთს ანგარიშს.

**შვეულად:** 1. ეს თვისება თუ ახასიათებს, ადამიანი არსობის პურსაც მოიპოვებს და მტერსაც ნაკლებს გაიჩენს; 2. ჩვეულებრივი სოკო წვიმის მერე ჩნდება, გიგანტური კი ...; 3. კისლოვოდსკი, პიატიგორსკი, ...; 4. გიგანტური ქვაბიდან გადმოსული ნახარში ; 5. ქართლის დედის ატრიბუტი; 6. გადაღლილობისას კაცს რომ სძვრება ; 7. ჰოლანდიის გამწვანებაში ამ ყვავილს საპატიო ადგილი უკავია; 8. ვედრება , მონანიება და ნატვრის ხე ერთი სიტყვით; 10. ისტორიული კამბეჩოვანის ცენტრი; 12. როლში შესვლის საშუალება; 15. ვიდეო ან აუდიო ინფორმაციის მინი საცავი ; 18. ნავსადგური, ავტოსადგური, რკინიგზის სადგური, ...; 20. პროვინციელი შვილიშვილი; 21. საღებავი ან ქიმიური ინდიკატორი; 23. უმარტივესი სანაოსნო საშუალება, რომელსაც ჩაძირვის არ ეშინია; 26. ორმოცი ყაჩაღის საგანძურის კოდური გასაღები; 27. ფიზიკის ნაწილია, მაგრამ თბილისის უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტს ეკუთვნის; 28. დენთი+ტყვია+მასრა=?; 33. ბედის ირონიაში რომ ყოველი ახალი წლის წინა დღეს მეგობრები აბანოში დადიან, ამასაც ... .ქვია; 35. ამ ერთ არაბს მთელმა ისრაელმა ვერაფერი მოუხერხა; 37. სანახაობა-შერკინება, რომელშიც დამარცხებულს უმეტესად კუდით მიათრევენ, იშვიათად კი საკაცით გაჰყავთ; 39. ამურის სამუშაო იარაღი ; 40. საჭადრაკო ჯარისკაცი, რომელსაც შეუძლია გენერალი გახდეს; 42. ზოგიერთ ადამიანს იმედი აქვს , რომ ეს არსება მისი წინაპარი იყო; 44. მაკროანტენა ; 46. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შინაურულად ...; 47. ცხენი მეზღვაურის მაისურში ; 48. ტრამვაის წინაპარი ; 49. პირველი კლიენტი; 50. არც მეტი, არც ნაკლები; 52. დილით ..., ზედ ლავაში ; 55. ყველაზე გავრცელებული საერთაშორისო სიტყვა.



### წინა ნომერში გამოქვეყნებული იაპონური კროსვორდის პასუხი

